საქ. ... ის
პარლამენტის
ბიბლიოთეკა

პრეზიდენტი

ედუარდ შევარდნაძე შეხვდა ილია კლებანოვს

ბესარიონ კეჟერაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

15 მაისს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ჩვენს ქვეყანაში ვიზიტად მყოფი რუსეთის ვიცე-პრემიერი ილია კლებანოვი, რომელიც საქართველოს ეწვია სამხედრო საკითხებში საქართველო-რუსეთის მოლაპარაკების მორიგი რაუნდის წინ. საუბარი დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა.

საქინფორმი.

მილოცვა

ქალბატონ მედეა ჩახავას დაბადების დღესთან დაკავშირებით

ქალბატონო მედეა, დაბადების დღეს გილოცავთ უმშვენიერესსა და უბერებელ ქალბატონს, დიდი ოჯახის დიდ დედას, დიდ ბებიას, შესანიშნავ მსახიობს, რომელიც დღეს კვლავაც სჭირდება ქართულ სცენას, კინოსა და ტელევიზიას.

თქვენ იმ ეპოქის ერთ-ერთი შემქმნელი და გამგრძელებელი ხართ, რომელსაც ქართულ თეატრში მიხეილ თუმანიშვილის ეპოქა ჰქვია და რა სასიხარულო და საამაყოა, რომ ის შესანიშნავი ტრადიცია თქვენს შვილში ასე დიდებულად გრძელდება.

გილოცავთ და ამ მოლოცვასთან ერთად გთხოვთ მიშუამდგომლოთ ბრწყინვალე რეჟისორ თემურ ჩხეიძესთან, რომ ისეთი მსახიობისთვის, როგორიც მედეა ჩახავაა, სპეციალური სპექტაკლი დადგას.

გპირდებით, თქვენს ერთგულ მაყურებელთა შორის მე და ჩემი მეუღლეც ვიქნებით.

გკოცნით და გეხვევით.

სიყვარულითა და პატივისცემით,

ედუარდ შევარდნაძე.

ორბიტაზე

სიღატაკის აღმოსაფხვრელად

გაეროს გენერალური მდივნის კოფი ანანის შესავალი განცხადება გაეროს მესამე კონფერენციაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნების შესახებ

ბრიუსელი, 2001 წლის 14 მაისი.

მე მხვდა განსაკუთრებული პატივი, გავწიო თავმჯდომარეობა ამ სპეციალურ ღონისძიებაზე. ეს კონფერენციის უჩვეულო და ფრიად მრავლისაღმთქმელი დასაწყისია. ამ სხდომის დროს ნაკლებად განვითარებული ქვეყნების სახელმწიფოთა მეთაურები თავად განიხილავენ თავიანთ პრობლემებს არა მარტო დონორი ქვეყნების მთავრობებთან და საერთაშორისო დაწესებულებებთან, არამედ, აგრეთვე, ფორუმის დამსწრე საქმიანი წრეებისა და სამოქალაქო საზოგადოების წამყვან წარმომადგენლებთან ერთად.

ეს განსაზღვრავს სტრატეგიული პარტნიორული ურთიერთობის ხასიათს, რომელიც ვალდებული ვართ გვქონდეს იმისათვის, რომ ნამდვილად მივაღწიოთ სიღატაკის აღმოფხვრას და უზრუნველვყოთ ნამდვილად მყარი განვითარება.

ნება მიბოძეთ, თავდაპირველად გამოვთქვა რამდენიმე ფრიად მარტივი შენიშვნა.

იხ. მე-3 გვ.

ჩვენი გაზეთი ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/sakartvelos-respublika

გუშინ ჩვენს გაზეთს ინტერნეტით გაეცნო 2462 მკითხველი. მათ შორის, 74% აშშ-დან, 22% – საქართველოდან.

„დილა ამ გაზეთის გადაშლით დაიწყეთ...“

საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი დაარსებულია 1919 წელს, აღდგენილია 1990 წელს.
№116 (3857)
ოთხშაბათი, 16 მაისი, 2001 წელი.
ფასი 50 თეთრი.

სნსკ
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

კანონმდებლები

დაიწყება კონსულტაციები კონსტიტუციური ცვლილების პროექტთან დაკავშირებით

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი ნიკო ლეკიშვილი აცხადებს, რომ უმრავლესობა ჩამოყალიბდა კონსტიტუციური ცვლილებების პროექტის ძირითად პრინციპებზე.

„პრინციპები ჩვენთვის მისაღებია, კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით კი შეიძლება გარკვეული დაზუსტება მოხდეს“, განაცხადა ნიკო ლეკიშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას 15 მაისს საპარლამენტო უმრავლესობის სხდომის შემდეგ, რომელზეც პრინციპებთან დაკავშირებით შეთანხმდნენ (**პარლამენტის თავმჯდომარის ზურაბ ჟვანიას გამოსვლა ამ სხდომაზე გაზეთის დღევანდელ ნომერში ქვეყნდება**).

უმრავლესობის ლიდერი ფიქრობს, რომ პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილი კონსტიტუციური ცვლილებების პროექტი იმდენად არის მნიშვნელოვანი, რამდენადაც ერთი ძალა იქნება ხელისუფლების სათავეში.

საპარლამენტო უმრავლესობა ამ დღეებში დაიწყებს კონსულტაციებს წარმოდგენილ კანონპროექტთან დაკავშირებით.

საქინფორმი.

სიტუაცია

შვიდი პარასკევი კვირაში

ერთხელ მოლას ჰკითხეს:

— რამდენი წლისა ხარ?

— ოცდათხუთმეტის!

უფრო ხნიერად გამოიყურებოდა, მაგრამ... გაჩუმდნენ. 10 წლის შემდეგ ისევ გაუმეორეს:

— რამდენი წლისა ხარ?

— ოცდათხუთმეტის!

— ვაა, 10 წლის წინათაც ოცდათხუთმეტისა იყავი და ახლაც? ეს როგორ?

— როგორ და... ის კაცი კაცია, რომელიც ერთხელ იტყვის და მერე გადათქვამს?

არ ვიცი, მოლას სიბრძნეც და სიცრუეც ისეა ათქვეფილი ერთმანეთში, რომ, მართლაც ალაჰმა უწყის მისი კაცობის ამბავი. მე, ჩვეულებრივ ორპირობაზე მოგახსენებთ, რომელსაც ჩვენში ოდითგანვე ზრახავენ, მაგრამ მაინც ხეირობს, მაინც ცოცხლობს...

მოდით, გადავშალოთ გაზეთი „ახალი თაობა“ (27 მარტი, №84, გვ.5).

შეკითხვა ბატონ აკაკი ასათიანს, — ტრადიციონალისტთა ლიდერს, მინისტრთა კაბინეტის შექმნის იდეის პიონერს:

„ — ბატონო აკაკი, თუ მინისტრთა კაბინეტი არ შეიქმნება, თქვენ გჯერათ, რომ საქართველოს კიდევ მეტი უბედურება ელის?

— რა თქმა უნდა. თუ მინისტრთა კაბინეტი არ შეიქმნება, სიტუაცია პოლიტიკური მეთოდებით არ განიმუხტება. ეს არის კრიტიკული სიტუაციის პოლიტიკური მეთოდებით განმუხტვა. სიტუაცია იურიდიულად, სამართლებრივად, სტრუქტურულად განიმუხტება. თუ არადა, ქვეყანაში დიდი დაძაბულობა იქნება.

— მიგაჩნიათ, რომ შევარდნაძის მმართველობის პერიოდში შემოღებული მინისტრთა კაბინეტი შეძლებს ქვეყანაში რადიკალური ცვლილებების გატარებას?

— მარტო მინისტრთა კაბინეტი არა. ეს იქნება პირველი ნაბიჯი (დაიხსომეთ: — პირველი ნაბიჯი — ბ. ზ.) ვითარების გაუმჯობესების გზაზე. ამას უნდა მოჰყვეს (ესეც დაიხსომეთ: — ამას უნდა მოჰყვეს— ბ. ზ.) აფხაზეთის პრობლემის მოგვარება, საგადასახადო კოდექსის შეცვლა, ტერიტორიულ-ადმინისტრაციული პრობლემების გარკვევა,

იხ. მე-3 გვ.

კარიკატურა თემაში



— რის წინააღმდეგი ხარ?

— არ ვიცი!

„გულმავიწყები“ ვერ იხსენებენ

პარლამენტი მალე პრეზიდენტის მიერ შემოტანილი მინისტრთა კაბინეტის პროექტს განიხილავს. პრეზიდენტი პარლამენტისგან ერთ თვეში საკონსტიტუციო ცვლილებების შეტანას, ხოლო თვე-ნახევარში მინისტრთა კაბინეტის დამტკიცებას მოითხოვს.

ოპოზიცია, რომელიც სულ რაღაც ერთი წლის წინათ თავგამოდებული მომხრე იყო მინისტრთა კაბინეტის შემოღებისა, ახლა საგონებელშია ჩავარდნილი და პრეზიდენტის ამ ინიციატივის წინააღმდეგ გამოდის. თუმცა აზუსტებს, მინისტრთა კაბინეტის წინააღმდეგი კი არა ვართ, მის შემოღებასთან ერთად სხვა პირობებიც წამოვაყენეთო. ვისაც მახსოვრობა არ ღალატობს, კარგად იცის, რომ მათ ეს „სხვა პირობები“ ერთი წლის წინათ არ წამოუყენებიათ. უბრალოდ, მინისტრთა კაბინეტის შემოღებას ითხოვდნენ. ახლა კი ყიყინა ატეხეს, ჩვენ ასე კი არა, ისე გვინდაო. პარლამენტის თავმჯდომარემ მათ ამ „გულმავიწყობას“ სახელი მოუძებნა: — ვაჭრობა მინისტრთა კაბინეტში პორტფელების დასაკავებლად.

მაინც, რას ითხოვს ოპოზიცია? მათი აზრით, მინისტრთა კაბინეტის ფორმირება ხელისუფლების სათავეში ამჟამად მყოფი პირების ადგილმონაცვლეობის გარდა, სხვა სიახლეებს არ გვპირდება.

— პრეზიდენტი ვერ მიიღებს პარლამენტში კონსტიტუციურ შესწორებებს, ის ჯერ არ არის მზად კოალიციური მთავრობის შესაქმნელად, ცოტა ხანში დარწმუნებული ვარ, ის მივა ამ გადაწყვეტილებამდე, ან საპარლამენტო არჩევნების შემდეგ გაერთიანებული ოპოზიცია შექმნის ახალ უმრავლესობას. მიიღებს ახალ კანონსაც და საქართველოსთვის მისაღებ მმართველობის ფორმასაც, — აცხადებს სოციალისტების ლიდერი ვახტანგ რჩეულიშვილი.

პრეზიდენტმა დაუფარავად განაცხადა, რომ ძალოვან მინისტრებს თვითონ დაიქვემდებარებს, რასაც „ალორძინება“ ხელოვნურ გამოყოფად მიიჩნევს.

იხ. მე-3 გვ.

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2001 წლის 15 მაისი ქ. თბილისი

ა. გოგიტიძის III ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის დროს მებრძოლებისა და დაზარალებული მოსახლეობის სურსათითა და მედიკამენტებით მომარაგებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, განსაკუთრებით საშიშ დამნაშავეთა, უკანონო ფორმირებებისა და შეიარაღებული დაჯგუფებების მიერ უკანონო მოქმედებათა აღმკვეთ ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობისა და მაღალი პროფესიონალიზმისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მართლწესრიგის დაცვის, კორუფციისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის უშიშროების საბჭოს წევრი **ანზორ გოგიტიძე** დაჯილდოვდეს III ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით.

ე. შევარდნაძე.

ზურაბ ჟვანია: თუ ადამიანს აქვს მართალი პოზიცია, თუ აქვს საკმარისი ნებისყოფა, საკმარისი ენერგია, ყველაფრის გაკეთება შეიძლება

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ზურაბ ჟვანიას გამოსვლა საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ინიციატივასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო ცვლილებების შესახებ

(საგაზეთო ვარიანტი)

მე ვთხოვე უმრავლესობის ლიდერს გამოვსულიყავი უმრავლესობის სხდომაზე, რათა მსჯელობა დავიწყოთ ბატონ ედუარდ შევარდნაძის მიერ საკონსტიტუციო ცვლილებების ინიციატივასთან დაკავშირებით. ეს არ არის ახალი იდეა, იგი პრეზიდენტმა სამიოდე კვირის წინათ უმრავლესობის საბჭოს სხდომაზე ოფიციალურად წამოაყენა. ეს იყო მისი მხრიდან ენერგიული პასუხი იმ პრობლემებზე, რომლებიც დღევანდელ ხელისუფლებაში არის.

იხ. მე-2 გვ.

რეგიონი

სიღარიბეში ჩაყვინთული სიმდიდრე

„ჭიათურმანგანუმში“ გასაყოფი მხოლოდ რქები და ჩლიქებიღა დარჩა

წერილი I

ზუსტად ასე მითხრეს აკაკი წერეთლის სახელობის მაღაროთა სამმართველოს სამთოელებმა, რომლებსაც ჭიათურაში ჩასვლისთანავე შევხვდი.

— როგორ ფიქრობთ, ინამუსებენ და ჩლიქებს მაინც დაგვიტოვებენ? — ვიკითხე შემცბარმა.

— ნამუსი რომ ჰქონოდათ, არც აქამდე მიიყვანდნენ საქმეს. შარშან დეკემბრიდან მოყოლებული, უდენობისა და უსახსრობის გამო, გაჩერებული ვიყავით. ორი დღეა ავმუშავდით, მაგრამ არა გვჯერა, რომ ხელფასს მოგვცემენ.

— ასე რამ გაგიცრუათ იმედი?

— „ჭიათურმანგანუმის“ ცრუ ხელმძღვანელობამ, რომელმაც ხელფასების გაუცემლობის (ბევრს 17 თვის ხელფასი არ მიუღია) მდიდარი პრაქტიკა დააგროვა.

— მართალს ამბობს ეს ხალხი? — ვეკითხები სამმართველოს თავკაცს გიორგი ქიტიაშვილს.

— ვერაფერში შევედავები, მუშას თუ ამუშავებ, ფული უნდა მისცე. ხალხი უკვე აღარ ენდობა ხელმძღვანელობას.

— მერედა, თქვენც ხომ ხელმძღვანელი ხართ, რა ზომებს იღებთ მდგომარეობის გამოსასწორებლად?

— მაგან რა ქნას, — წამოეხმარნენ აქეთ-იქიდან, — პასუხისმგებლობა დიდი აქვს, უფლებები კი — არა. დირექტორი ჰქვია, თორემ არც ხელფასების გაცემას ეკითხებიან და არც ჯილდოებისას, თავის ნებაზე უბრალო საკანცელარიო ნივთსაც ვერ იყიდის.

იხ. მე-4 გვ.

მაგთი MAGTI GSM

შპს მაგთიკომი

MAGTICOM Ltd

შპს „მაგთიკომი“ იცავს თავის საქმიანობაში აბსოლუტური გამჭვირვალობის პრინციპს და გაწვდით ინფორმაციას კომპანიის მიერ საქართველოს ეკონომიკაში შეტანილი წვლილის შესახებ.

2001 წლის მაისში – შპს „მაგთიკომის“ ამ წვლილმა ყოველგვარი ჩათვლის გარეშე შეადგინა – 1,096,651.83 ლარი, ხოლო 2001 წლის განმავლობაში (აგრეთვე ყოველგვარი ჩათვლის გარეშე) – 6,295,374.40 ლარი, აქედან:

	2001 წლის მაისში	2001 წლის 5 თვის განმავლობაში
საქართველოში მომუშავე უცხოურ იურიდიულ პირთა შემოსავლის დაბეგვრა 10 პროცენტი		101,697.43
დღგ	804,875.00	4,208,085.00
საშემოსავლო გადასახადი	20,228.54	247,138.54
ქონების გადასახადი	39,790.11	201,090.11
ქონების გადაცემისათვის გადასახადი	1,856.80	16,422.55
სამეწარმეო საქმიანობის გადასახადი		256,500.00
საგზაო ფონდი		268,180.00
სოცდაზღვევის გადასახადი	101,132.39	440,532.39
საბაჟო გადასახადი	16,124.36	108,173.89
დასაქმების გადასახადი	2,356.63	14,496.63
ჯანდაცვის გადასახადი	10,994.51	59,334.51
დარიცხული პროცენტების დაბეგვრა		7,455.07
რეკლამის გადასახადი	41,794.42	84,454.42
ადგილობრივი მოსაკრებლები	1,420.00	12,101.00
კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში საქმიანობის მარეგულირებელი ეროვნული კომისია.	56,079.07	269,712.86
სულ	1,096,651.83	6,295,374.40

შპს „მაგთიკომში“ დასაქმებულია 390 კაცი.

შპს „მაგთიკომი“ მუშაობს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის (ბასს)-ის მიხედვით.

გიორგი კიკნაძე, შპს „მაგთიკომის“ გენერალური დირექტორი.

გიხაროდეთ!

თამარი და რუსუდანი ღირსეულ. ქალებად გაიზრდებიან

ოთხი წლის წინათ 17 წლის ასაკში ოჯახი რომ შექმნეს ქეთევან ყაჭაშვილმა და გიორგი მოღებაძემ, ამის შესახებ მთელმა დედოფლისწყარომ შეიტყო, ქორწილიც ლამაზი გადაუხადეს.

ორივენი ჯერ კიდევ პირველი კურსის სტუდენტები იყვნენ, პირველი შვილი თამარი რომ შეეძინათ. გოგონას მაშინ ქეთევანმა დედამთილის პატივსაცემად მისი სახელი დაარქვა (თამარი უკვე ორი წლის ხდება). ამ დღეებში კი მან თბილისის ექსპერიმენტულ სამშობიარო სახლში მოილოგინა. მეორე გოგონას დედის, რუსუდანის სახელი დაარქვა.

შვილიშვილებმა სიხარულით აავსეს ყაჭაშვილებისა და მოღებაძეების ოჯახები, ასევე გიორგისა და ქეთევანის და-ძმა მარინა ყაჭაშვილი და ლექსო მოღებაძე. ახალგაზრდა ოჯახს ყველანი კვლავაც შვილთა სიმრავლეს უსურვებენ, — გვაცნობა დედოფლისწყაროდან ჩვენმა კორესპონდენტმა **ნანა ჭიჭინაძემ**.

ღირსეულ, ქართული ტრადიციების ერთგულ ქალებად გაიზარდონ თამარი და რუსუდანი.

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

ინფორმაცია

ამერიკიდან ჰუმანიტარულ სამედიცინო ტვირთს მივიღებთ

აგვისტოში აშშ-დან 6-13 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ჰუმანიტარულ სამედიცინო ტვირთს მივიღებთ, — იუწყება „იპრინდა“.

150 კონტეინერში განთავსებული იქნება მედიკამენტები და სამედიცინო აპარატურა. ტვირთი განაწილდება თბილისისა და მხარეების კლინიკებში, მათ შორის, ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში.

12 მილიონი ევრო - საქართველოს ბიუჯეტს

საქართველოს ბიუჯეტი გრანტის სახით 12 მლნ ევროს მიიღებს. გრანტი გამოიყოფა ევროკავშირის სასურსათო უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში. ამის თაობაზე გუშინ, ფინანსთა მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა ჟაკ ვანტომმა ხელშეკრულება გააფორმეს, — იუწყება „იპრინდა“.

პროგრამა მიზნობრივი ხასიათისაა და ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის, სოციალური და განათლების სფეროში პროექტების დაფინანსებას. გრანტის პირველ ნაწილს – 6 მლნ ევროს, საქართველო ივნისში მიიღებს.

მესაზღვრეები თანხებს ელიან

პრეზიდენტის განცხადებამ იმის თაობაზე, რომ მესაზღვრეები, დამატებითი სასაზღვრო-გამშვები პუნქტების გასახსნელად საჭირო თანხებს მიიღებენ, საზღვრის დამცავთ ოპტიმიზმი შემატა, — აცნობეს „იპრინდას“ სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტში.

წინასწარი მონაცემებით, ეს თანხა საქართველო-რუსეთის საზღვრის ინგუშეთის მონაკვეთზე საგუშაგოების გასახსნელად წარიმართება.

ინტერპოლი თბილისში იკრიბება

ინტერპოლის პრეზიდენტი ჰესუს ესპიგარეს მარა მონაწილეობას მიიღებს თბილისში დაგეგმილ ინტერპოლის ევროპის 30-ე რეგიონულ კონფერენციაში, რომელიც დღეს თბილისში „შერატონ მეტეხი პალასში“ გაიხსნება.

როგორც პრაიმ-ნიუსს ინტერპოლის ეროვნულ ბიუროში განუცხადეს, კონფერენციაზე, რომელშიც 44 ქვეყნის წარმომადგენლები მიიღებენ მონაწილეობას, მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა ამ სფეროში ქვეყნებს შორის ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავების საკითხებს.

იწყება სამეთაურო-საშტაბო წვრთნა

დღეს საქართველოს შეიარაღებულ ჯარში სამობილიზაციო და საბრძოლო მომზადების გეგმით გათვალისწინებული სამეთაურო-საშტაბო წვრთნა იწყება.

კრწანისის პოლიგონზე დღევანდელი წვრთნის სცენარია — „ტერორისტების მიერ დაკავებული ქალაქის გასათავისუფლებლად დესანტის გადმოსხმა“.

სწავლებაში სუ-25 ტიპის ორი თვითმფრინავი და შვეულმფრენები ჩაერთვება.

ქართული კულტურის დღეები მოსკოვში

გუშინ დაიწყო აჭარის კულტურის დღეები რუსეთის ფედერაციაში. ამასთან დაკავშირებით გუშინ ოთხი სპეციალური რეისით ბათუმიდან მოსკოვს გაფრინდნენ ავტონომიური რესპუბლიკის მრავალრიცხოვანი ოფიციალური დელეგაცია უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ასლან აბაშიძის მეთაურობით და დღეების მონაწილენი.

დღეების პროგრამა ითვალისწინებს მხოლოდ მუსიკალური კოლექტივების გამოსვლებს. კონცერტები გაიმართება პრესტიჟულ საკონცერტო დარბაზებში. პროგრამა მოიცავს მცირე ანსამბლების გამოსვლას სანკტ-პეტერბურგსა და პოდოლსკში.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: პრაიმ-ნიუსმა, ინტერპრესმა და იპრინდამ.

მაგთი MAGTI GSM

შპს მაგთიკომი

MAGTICOM Ltd

მაგთიკომი კვლავ სასიამოვნო სიახლეს გთავაზობთ!

10 მაისიდან საზღვარგარეთთან დაკავშირების მნიშვნელოვნად შემცირებული ტარიფები!

მხოლოდ კოდი 00-ის გამოყენებით!

რუსეთის ნებისმიერი მიმართულებით დარეკვისას

წუთი – 29 თეთრი

დსთ-ს დანარჩენ ქვეყნებში წუთი – 37,5 თეთრი

მსოფლიოს სხვა ქვეყნებში წუთი – 39 თეთრიდან

(აღნიშნული ტარიფები არ შეიცავს დღგ-ს).

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ:
მაგთი GSM-ის ოფისებს, ან მაგთი GSM-ის
უფასო საინფორმაციო სამსახურს
25-00-00 25-11-11 მობილურიდან 525
აკრიფეთ 00 და ისარგებლეთ ახალი ტარიფებით!

მაგთი GSM — მუდმივი ზრუნვისა და კომფორტის სამყარო.

უკანასკნელ საათს

უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრმა იური სმირნოვმა გუშინ სენსაციური განცხადება გააკეთა: ჟურნალისტ გონგაძის მკვლელობა ხულიგნური ქმედების შედეგია. გამოძიებისთვის მკვლელების ვინაობა ცნობილია. დამკვეთი არავინ არის. მკვლელობაში ბრალდებულები ცოცხლები არ არიან.

ამინდი დღეს

დასავლეთ საქართველოში

დაბლობში: ღამით +6+11;
დღისით +11+16.
მთაში: ღამით +2+7;
დღისით +7+12.

აღმოსავლეთ საქართველოში

ბარში: ღამით +10+15;
დღისით +18+23.
მთაში: ღამით +8+13;
დღისით +13+18.

თბილისში

ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ.
ღამით +13+15;
დღისით +21+23.

საქართველოს ჰიდრომეტცენტრი.

ლარის კურსი

16 მაისიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:

ინგლისური გირვ.	1	2.9325	ლარი
გერმანული მარკა	1	0.9250	ლარი
აშშ დოლარი	1	2.0670	ლარი
ევრო	1	1.8080	ლარი
რუსული რუბლი	1	0.0712	ლარი.

ინტერპანორამა

აშშ ტერიტორიულ წყლებში დააკავეს მექსიკისკენ მიმავალი გემი, რომელშიც აღმოჩნდა ჰეროინის რეკორდული რაოდენობა 900 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების 13 ტონა ნარკოტიკული ნივთიერება.

გროზნოში, კვლავ რთული ვითარებაა. ქუჩები პრაქტიკულად დაცარიელებულია, ყველა სკოლაში მეცადინეობა ორშაბათამდე შეწყვეტილია.



რუსეთმა დაიწყო ტურისტებისათვის ვიზების გამარტივებული გაცემის ექსპერიმენტი სამ ქალაქში – მოსკოვი, კალინინგრადი, სანკტ-პეტერბურგი. ვარაუდობენ, რომ ამ გზით გამრდიან ტურისტების ნაკადს.

„საქართველოს რესპუბლიკა“ — ავიაკომპანია „აირზენა-საქართველოს ავიახაზების“ თვითმფრინავებში.

პარლამენტის თავმჯდომარე

ზურაბ ჟვანია:

თუ ადამიანს აქვს მართალი პოზიცია, თუ აქვს საკმარისი ნებისყოფა, საკმარისი ენერგია, ყველაფრის გაკეთება შეიძლება

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ზურაბ ჟვანიას გამოსვლა საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ინიციატივასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო ცვლილებების შესახებ

(პირველი გვერდიდან)

მიმაჩნია, რომ პრესის საშუალებით არ უნდა დავიწყოთ ურთიერთობა, სჯობს ერთიანი პოზიცია შევიმუშაოთ სამუშაო ვითარებაში. ჩვენგან საზოგადოება კონსტრუქციულ მსჯელობას ელის. ეს ის მომენტია, როდესაც საზოგადოებამ უნდა დაინახოს, რომ მას ჰყავს ერთიანი, შეკრული, კონსოლიდირებული ხელისუფლება.

მე ტყუილად არ შეგახსენეთ, რა პირობებში წამოაყენა პრეზიდენტმა შევარდნაძემ ეს ინიციატივა. ეს მოხდა იმ მომენტში და აქ არ არის ლაპარაკი ერთ ინტერვიუზე, ერთ რაიმე კონკრეტულ გამოსვლაზე, მთელი ვითარება, როდესაც ხელისუფლების ნაცვლად ჩვენ გვყავდა ურთიერთდაპირისპირებული ჯგუფებისაგან შემდგარი რაღაც ნაკრები, როდესაც არა ოპოზიციასთან დაპირისპირების გამო, არა ოპონენტების შემოტევების გამო, არამედ გაუთავებელი შიდა დაპირისპირების გამო, პრაქტიკულად, სერიოზული კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა ქმედუნარიანობა ხელისუფლებისა. ამ სიტუაციაში ძალიან ბევრი ელოდა, თქვენ გახსოვთ კარგად ესეც და საგაზეთო კომენტარებიც, მიმომხილველების მოსაზრებებიც, ე. წ. ანალიზები და სხვა, სადაც წინასწარმეტყველებდნენ, რომ შევარდნაძე დატოვებდა, ალბათ, პარტიას, შევარდნაძე დაუპირისპირდებოდა „მოქალაქეთა კავშირს“ და სხვა და სხვა. ამის ნაცვლად, პრეზიდენტი შემოვიდა იმ წინადადებით, რომელიც ქვეყანას სთავაზობს სრულიად ახალ ჩარჩოს, პოლიტიკაში სრულიად ახალი ურთიერთობების წესს. ვიმეორებ, ეს, ჩემი ღრმა რწმენით, იყო ყველაზე ენერგიული და სერიოზული პასუხი იმ გამოწვევაზე, იმ პრობლემებზე, რომლებიც იმხანად იდგა თითოეული ჩვენგანის წინაშე.

როგორია ის მოდელი, რომელიც პრეზიდენტმა შემოიტანა?

იგი ასახავს რამდენიმე უმნიშვნელოვანეს პრინციპს.

პირველი პრინციპი გახლავთ ის, რომ საქართველო რჩება რესპუბლიკა, სადაც არის ძალიან ძლიერი საპრეზიდენტო მმართველობა, სადაც პრეზიდენტი ხდება არა სიმბოლური ფიგურა, არამედ რჩება იმ ინსტანციად, იმ უწყებად, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ქვეყნის ერთიანობა, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა, ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების ინტერესების დაცვა. ეს არის პრეზიდენტი, რომელიც აღიჭურვება უფლებებით, რომ ყოველგვარი ინსტიტუციური კონფლიქტის შემთხვევაში, მაშინ, როდესაც წარმოიქმნება ვთქვათ, გადაუჭრელი დაპირისპირება ხელისუფლების ცალკეულ შტოებს შორის, შეასრულოს უმაღლესი არბიტრის ფუნქცია და მოაგვაროს ეს დაპირისპირება.

ეს არ არის არც საქართველოში და არც რუსეთში შექმნილი კონცეფცია და მოდელი. პრეზიდენტი, როგორც უმაღლესი არბიტრი, ამავე დროს აღჭურვილია განსაკუთრებული კომპეტენციებით და ფუნქციებით უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებში, არის ტრადიციული, ევროპული მოდელი, რომელიც სათავეს იღებს საფრანგეთის რესპუბლიკიდან, რომელიც არაერთგზის იქნა განმეორებული მრავალ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყანაში და ჩვენ შეგვიძლია ასეთი კონსტრუქციის ბევრი მაგალითის დასახელება. უწინარესად პოლონეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, ხორვატია და ბევრი სხვა სახელმწიფო. არაფერს ვამბობ პოსტსაბჭოურ სახელმწიფოებზე.

ეს მართლაც არის პრინციპი, რომელსაც, მინდა პირდაპირ გითხრათ, აბსოლუტურად ვიზიარებ და მიმაჩნია, რომ ამ ეტაპზე განსახორციელებელი ცვლილებები სწორედ ამ უმნიშვნელოვანეს პრინციპს უნდა ასახავდეს. ეს პრინციპია დაფიქსირებული იმ მოდელში, რომელიც შემოტანილი გახლავთ.

მეორე საკითხი უკავშირდება საპარლამენტო ხელისუფლებას, საკანონმდებლო ხელისუფლებას. მე არანაირად არ ვიზიარებ იმ შეფასებას, რომ თითქოს ხდება პარლამენტის შესუსტება ამ ცვლილებების შედეგად. ეს წინადადება ითვალისწინებს პოლიტიკური კრიზისის სიტუაციას, როდესაც პარლამენტი, პრაქტიკულად, კარგავს ქმედუნარიანობას. აქ ლაპარაკია იმ შემთხვევებზე, როდესაც პარლამენტი ვერ ახერხებს მთავრობის შექმნას, მთავრობისადმი ნდობის ვოტუმის გამოცხადებას და იმ შემთხვევებზე, როდესაც პარლამენტი ვერ ახერხებს წლის განმავლობაში მთავარი კანონის მიღებას.

ამ ვითარებაში დგება ალტერნატივა, როდესაც უნდა გაკეთდეს არჩევანი გამომდინარე კონკრეტული ვითარებიდან. ან ინიშნება რიგგარეშე არჩევნები, როგორც ეს ხდება, პრაქტიკულად, აბსოლუტურ უმრავლესობაში ევროპული დემოკრატიებისა, ან ხდება მთავრობის ხელახალი ფორმირება.

დამეთანხმებით, რომ იმ ვითარებაში, როდესაც პარლამენტი ვერ აგროვებს ვერცერთ საკითხზე უბრალო უმრავლესობას, 118 ხმას, ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, აუცილებელია ჩატარდეს ახალი არჩევნები.

აქაც ახალი არაფერი არ არის. სამაგიეროდ პარლამენტი, ამ შემთხვევაში, ამ მოდელის პირობებში აღიჭურვება ბევრად უფრო სერიოზული კონტროლის მექანიზმებით აღმასრულებელ ხელისუფლებაზე, მთავრობაზე. ამერიკული მიდგომა, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების აბსოლუტური გამიჯვნის და ურთიერთდაცულობისა იცვლება სხვა მიდგომით, როდესაც პარლამენტს გააჩნია უფლება პოლიტიკური შეხედულებების გამო უნდობლობა გამოუცხადოს მთავრობას და, პრაქტიკულად, დაითხოვოს მთავრობა.

მე იმედი მაქვს, რომ აქ დამსწრე ჟურნალისტებიც, არაფერს ვამბობ დეპუტატებზე, კარგად ხედებიან განსხვავებას იმპიჩმენტის მექანიზმსა და პოლიტიკური უნდობლობის ვოტუმს შორის. იმპიჩმენტი გულისხმობს მხოლოდ კრიმინალის, მხოლოდ კონსტიტუციის დარღვევის, მხოლოდ კანონის დარღვევის, მხოლოდ დანაშაულის, ასე ვთქვათ, კანონმდებლობით გათვალისწინებული დანაშაულის შემთხვევაში ურთულესი პროცედურის აღძვრას. პოლიტიკური უნდობლობის ვოტუმი გულისხმობს იმას, რომ თუ პარლამენტი მიიჩნევს ან პარლამენტის უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მთავრობა არასაკმარისად ეფექტიანად მუშაობს, მისი პოლიტიკა არ შეესაბამება იმ მოლოდინს, რომელიც გააჩნია პარლამენტს და სცდება იმ ჩარჩოებს, რომლებიც არის განსაზღვრული პარლამენტის მიერ, მას უნდობლობას გამოუცხადებენ. პოლიტიკური უნდობლობის ვოტუმის ეს მექანიზმი, რა თქმა უნდა, არის ძალიან მნიშვნელოვანი ახალი ბერკეტი პარლამენტის ხელში. ეს არის მეორე პრინციპი, რომლის ძალითაც ამ ცვლილებების შედეგად, რა თქმა უნდა, არ უნდა მოხდეს პარლამენტის შესუსტება. არაფერს ვამბობ პარლამენტის კანონშემოქმედებით ფუნქციაზე, ვგულისხმობ იმ ფუნქციებსაც, რომლებიც პარლამენტის საზედამხედველო საქმიანობას განეკუთვნება.

მესამე პრინციპი, რომელიც საფუძვლად დაედო ამ მოდელის შექმნას, გულისხმობს, რომ ქვეყანას ჰყავდეს ის აღმასრულებელი ხელისუფლება, რომელიც შეკრული იქნება ერთიანი პასუხისმგებლობის მექანიზმით, რაზეც, სხვათა შორის, ბატონმა ნიკო ლეკიშვილმა ძალიან ზუსტად ისაუბრა შაბათის სხდომაზე. ჩვენ გვჭირდება ისეთი აღმასრულებელი ხელისუფლება, რომელიც კონსტიტუციური მექანიზმით იქნება იძულებული დაპირისპირება და ინტრიგები კი არ გააღვივოს გაუთავებლად, არამედ შექმნას კოლეგიალობის ატმოსფერო, როდესაც თითოეულ მინისტრს ეცოდინება, რომ მისი კოლეგის წარუმატებლობა ნიშნავს სერიოზული ლახვარის ჩაცემას პირადად მისი პოლიტიკური კარიერისათვის. აქ გამოირიცხება სხვისი ცუდის ხარჯზე საკუთარი სფეროს წარმოჩენის შესაძლებლობა, რაც უფრო მეტი წარუმატებლობა ექნება სხვას, მით უკეთესია, იმიტომ, რომ მე უკეთესი ფონი შემექმნება. კაბინეტური სისტემა, კოლექტიური პასუხისმგებლობის სისტემა, აბსოლუტურად, გამჭვირვალეს, ნათელს გახდის პასუხისმგებლობის ცნებას და დამთავრდება ეს გაუთავებელი ლაპარაკი, იმიტომ, რომ პოლიტიკური უნდობლობის ვოტუმის საკითხი დადგება. იქნება ერთიანი გუნდი, რომელიც ერთიანად ყველა მიმართულებით არის პასუხისმგებელი იმაზე, თუ რა პოლიტიკა აღსრულდება ქვეყანაში, რა პოლიტიკას ახორციელებს ყოველდღიურად ქვეყნის მთავრობა, ქვეყნის აღმასრულებელი ხელისუფლება.

მთავრობა ამ მოდელში, რა თქმა უნდა, არ არის ის მთავრობა, რომელიც არსებობს საპარლამენტო რესპუბლიკებში, დავუშვათ, როგორიც არის გერმანიაში, ან სხვა ტრადიციულ საპარლამენტო რესპუბლიკებში, მაგრამ ეს არის მთავრობა, რომელიც აღიჭურვება ძალიან სერიოზული ავტონომიური უფლებებით, მთავრობა, რომელიც შეძლებს დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღებას და დამოუკიდებელ მოქმედებას.

აი, ეს გახლავთ სამი პრინციპი, რომელიც ჩვენ ყველამ კარგად უნდა გავაცნობიეროთ. ძლიერი საპრეზიდენტო მმართველობის შენარჩუნება, პარლამენტის არამცთუ შესუსტება, არამედ დამატებითი საზედამხედველო ბერკეტის შექმნა პარლამენტისათვის და ავტონომიური, ქმედუნარიანი და ცალკე მყოფი აღმასრულებელი ხელისუფლების, ანუ მთავრობის ფორმირება, რომელიც შეკრული იქნება ერთიანი, კოლექტიური პასუხისმგებლობით. აი, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი.

აქვს თუ არა ხარვეზები იმ პროექტს, რომელიც იქნა შემოტანილი. რა თქმა უნდა, აქვს იმიტომ, რომ ჯერ ერთი, ახლა თვითონ ტექსტზე მუშაობა შეიძლება გრძელდებოდეს უსასრულობამდე და მჯობნის მჯობნი ტექსტი ნამდვილად არ დაილევა. და ეს არის ისეთი საკითხი, ყოველ წუთში რომ შეიძლება დაიხვეწოს. და მე ვფიქრობ, რომ ჩვენ უნდა ვიმუშაოთ დახვეწაზეც. მე სხდომაზეც ვთქვი, რომ ვერ ვიტყვი, სწორედ ისე, როგორც იქ არის ჩამოყალიბებული, ყველა დებულება მე მიმაჩნია ყველაზე უკეთ ფორმულირებულად, რა თქმა უნდა, არა. მაგრამ ის, რაც იქნა შემოტანილი, უკვე ხელ-ფეხს გვიხსნის ჩვენ, პირველ ყოვლისა, ხელისუფლებას, რომ ვიმოძრაოთ ქვეყანაში დღეს არსებული კრიზისის დასაძლევად.

მე არ ველოდი, მართალი გითხრათ, რომ პრეზიდენტი გუშინ გააკეთებდა თავის კომენტარებს თუ შენიშვნებს პრემიერის სავარაუდო კანდიდატურებთან დაკავშირებით. ვინაიდან ასე მოხდა, მე, რა თქმა უნდა, ძალიან მადლობელი ვარ პრეზიდენტის მიერ გამოთქმული შეფასებების გამო. მინდა გითხრათ, რომ მე ღრმად ვარ დარწმუნებული, – ჩვენ შეგვიძლია ძალიან სერიოზული გადაწყვეტილებების მიღება და ქვეყნის გამოყვანა დღევანდელი მდგომარეობიდან. პირადად ჩემთვის, თუნდაც ის გარემოება, რომ სააკაშვილმა, დავუშვათ, თავის სფეროში, მაჭავარიანმა, ნოღაიდელმა, გნებავთ, დათო კირვალიძემ, რაც ამ ერთი წლის განმავლობაში შეძლეს, ძალიან სერიოზული ნაბიჯებია. მიუხედავად იმისა, რომ ეს საკმაოდ რთული პერიოდი იყო. რთული, ბევრი ობიექტური მიზეზის გამო და რთული იმ ვითარების და ურთიერთობების გამო, რაც არსებობდა სახელისუფლებო სტრუქტურებში. მათ შეძლეს იმის დემონსტრირება, რომ საქართველოში მართლაც შეიძლება დღეს არსებული პრობლემების დიდი ნაწილის დაძლევა, თუ შენ არ იფიქრებ ფულის მოხვეჭაზე, თუ არ იფიქრებ ინტრიგებზე და დაკავებული იქნები იმ პრობლემების მოგვარებით, რომელიც ასე აწუხებს ჩვენს საზოგადოებას.

ვკითხულობ კომენტარებს, რომ ჟვანიასთვის ეს იქნება ძალიან დიდი განსაცდელი და კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება მისი პოლიტიკური კარიერა... მეგობრებო, ჩვენ არც ერთი არა ვართ აქ მზეთუნახავები, რომლებიც ვინახავთ ჩვენს მშვენიერებას რაღაც ჩაკეტილ კოშკში. ჩვენ ვართ პოლიტიკაში იმიტომ, რომ განვაცხადეთ: გვსურს და შეგვიძლია ჩვენი ამომრჩევლების და ჩვენი მოსახლეობის პრობლემების გადაწყვეტა. ხალხი, რომელიც ელოდება იმას, რომ ჩვენ დავძლევთ იმ სტაგნაციას, რომელიც არის დღეს ქვეყანაში, ელოდება ჩვენგან ენერგიულ და, უფრო მეტიც, აგრესიულ გადაწყვეტილებებს, ელოდება ძალიან ბევრ საკითხზე საბოლოო წერტილის დასმას და რიგორიკის და ლამაზი გამოსვლების და სიტყვების ნაცვლად, ელის კონკრეტულ ქმედებებს და კონკრეტულ გაუმჯობესებას თავისი ცხოვრებისა. ამ ხალხს მე უნდა ვუპასუხო, რომ იცით, მე აქ პარლამენტში ბევრად უფრო დაცული ვარ. რა თქმა უნდა, ასე რომ მივუდგეთ და წარმოვიდგინოთ, რომ ეს შენობა და, საერთოდ, სახელისუფლებო კვარტალი ჩვენი დედაქალაქისა არის ცალკე აღებული კუნძული და მოსახლეობა სადღაც ცალკე არსებობს, რა თქმა უნდა, დღევანდელი სიტუაცია, ჩემთვისაც და თითოეული თქვენგანისთვისაც, ყველაზე იდეალური გახლავთ.

აბსოლუტურად ხელშეუხებელი და რეალურად მეორე პირი სახელმწიფოში არის დღევანდელი პარლამენტის თავმჯდომარე, რომელსაც 2003 წლის შემოდგომის ბოლომდე არაფერი დედამიწის ზურგზე არ ემუქრება, იმდენად ასმაგად დაცულები ვართ ჩვენი იმუნიტეტებით, პრივილეგიებით და სხვა. ერთადერთი ჩვენი ფუნქცია დღეს არის აღმასრულებელი ხელისუფლების კრიტიკა. აი, რა ცუდები ხართ, და თითი დავუქნიოთ, პენსიამ ისევ დაიგვიანა. მერე, ე. ი. უფრო ხმამაღლა და უფრო მაგრად დავუქნიოთ თითი, რომ მასწავლებლებს ისევ დაუგვიანდათ ხელფასი და ამით შევიქციოთ თავი. იმედი მაქვს, ყველანი ეხვდებით, რომ ყოველგვარი რესურსი ამგვარი თამაშებისა დღეს ამოწურულია. ახლა არის იმისი დრო, ერთი-ერთი მთავარი ლოზუნგი, რომელიც ჩვენ გვქონდა პრეზიდენტის საარჩევნო კამპანიის დროს – 180 გრადუსით შებრუნება ეკონომიკისაკენ, მართლაც უზრუნველვყოთ, რომ ქვეყანაში დაიწყოს რეალური ეკონომიკური აღმავლობა. საბოლოოდ დასრულდეს ის პროცესი, რაც ბოლო ერთი წლის განმავლობაში, მე ამას ხმამაღლა ვიტყვი, წარმატებით დაიწყეს ჩვენმა მეგობრებმა, ვინც შესაბამის სამინისტროებს უდგანან სათავეში. აი, ამის დასრულება და საბიუჯეტო წესრიგის დამყარება ქვეყანაში არის დღეს უმთავრესზე უმთავრესი და არა იმაზე ფიქრი, რომ ვისი რეპუტაცია და ავტორიტეტი, რა შემთხვევაში და რა მდგომარეობაში იქნება უფრო მეტად დაცული.



ჩემთვის აბსოლუტურად უცხოა იმგვარი მიდგომა, როდესაც ლაპარაკობდნენ, დავუშვათ, მაჭავარიანის და ზარამიძის წასვლაზე შემოსავლების სამინისტროში. თითქოს არ არსებობს ჩემთვის პირადად იმის ცნება, რომ რა კარგი ბიჭი არის და ცოდოა, იქ რომ გავუშვათ. პოლიტიკაში კარგი ბიჭები არ არსებობენ, არ უნდა არსებობდნენ. უნდა იყვნენ ის ადამიანები, რომელთაც გააჩნიათ უნარი, რაღაც სასარგებლო გააკეთონ. მე დარწმუნებული ვიყავი, რომ წარმოუდგენელი სირთულეების მიუხედავად, ისინი შეძლებდნენ სერიოზული განსხვავებების შექმნას იმასთან შედარებით, რაც იყო ქვეყანაში და, მე მგონი, თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში, როგორიც არ უნდა იყოს ოპოზიციის კიჟინი ამ თვალსაზრისით, ჩვენ დავრწმუნდით, რომ ეს იყო შესაძლებელი. როდესაც ლაპარაკია ჩემს მეგობრებზე და მე ვიყავი, ასე ვთქვათ, „დაუნდობელი“ მათ მიმართ, რა თქმა უნდა, მე დარწმუნებული ვარ და იგივე პრინციპი ძალაში არის დღესაც. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ყოველგვარი მიკიბე-მოკიბვის გარეშე, მე აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ შეგვიძლია ძალიან ბევრი რამე შევცვალოთ. მე პირადად მაქვს აუარებელი გეგმა, აუარებელი კონკრეტული პროექტი და დარწმუნებულიც ვარ, რომ ვერავინ დედამიწის ზურგზე, თუ იქნება ჩვენი ერთიანი ნებისყოფა, ჩვენი ყველასი – საპარლამენტო უმრავლესობის, მთავრობის, რომელიც შეიქმნება და, რა თქმა უნდა, ამ გუნდის ლიდერის, ქვეყნის პრეზიდენტის, ვერავინ ვერ შეგვიშლის ხელს ამ გეგმების განხორციელებაში და ჩვენ შევძლებთ დავადასტუროთ და დავანახოთ ჩვენს მოსახლეობას, რომ ნაცვლად ლამაზი გამოსვლებისა ჩვენ შეგვიძლია მათ თავიანთ ყოფაში, თავიანთ ყოველდღიურ ცხოვრებაში შევუქმნათ განსხვავება უარესიდან უკეთესობისაკენ და დავარწმუნოთ, რომ ჩვენ მართლაც შეგვიძლია შევქმნათ ის ქვეყანა, რომელზეც ამდენს ვსაუბრობთ. აი, ეს არის ჩვენთვის (მე არ მინდა ეს ჟღერდეს პათეტიკურად) უმთავრესი მორალური იმპერატივი ამ სიტუაციაში, ეს არის ჩვენი ზნეობრივი მოვალეობა და მე სხვაგვარი ყოველგვარი მიდგომა მიმაჩნია, უბრალოდ, ჩვენი ამომრჩევლების და ჩვენი მოსახლეობის გასაჭირის მანიპულირებად.

ძალიან მინდოდა ჩემს მეგობრებს და ჩემს თანამებრძოლებს სცოდნოდათ ძალიან მკაფიოდ და ერთმნიშვნელოვნად ჩემი ეს დამოკიდებულება.

აი, საუბრები იმის თაობაზე, რომ ძალოვანი სტრუქტურები დარჩება გარკვეული გავლენის ქვეშ პრეზიდენტისა. მე კიდევ ერთხელ ვამბობ და ამითვე დავიწყე. პრეზიდენტი ამ სისტემაში რჩება ქვეყნის უსაფრთხოების, თავდაცვისუნარიანობის უპირველეს გარანტად. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ რომელიმე სამინისტრო იდგება მინისტრთა კაბინეტიდან ცალკე, იმიტომ, რომ ყველა მექანიზმი, დანიშვნით დაწყებული და ერთობლივი პასუხისმგებლობით დასრულებული, პასუხისმგებლობის განხორციელებით, რა თქმა უნდა, იქნება ერთნაირი, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ამ უწყებებთან, ეროვნული უშიშროების საბჭოს ჩარჩოებში თუ უშუალო ურთიერთობების გზით, პრეზიდენტს ექნება ბევრად უფრო ინტენსიური კონტაქტი, პრეზიდენტს რჩება მისი განსაკუთრებული პასუხისმგებლობები ამ სფეროში და, მე ამაში ვერაფერს ვერ ვხედავ დრამატულს, რომელიც შეუძლებელს ხდის იმ გადაწყვეტილებების მიღებას, რომელზეც ვსაუბრობ.

დღეს მე მიმაჩნია, რომ ჩვენი გუნდის, ჩვენი პარტიის და ჩვენი უმრავლესობის მთავარი ამოცანა უნდა იყოს სრული ფოკუსირება, სრული კონცენტრირება ეკონომიკურ საკითხებზე, ეკონომიკურ ზრდაზე, ეკონომიკური პრობლემების მოგვარებაზე, საბიუჯეტო წესრიგის საბოლოო დამყარებაზე. სწორედ ეკონომიკაზე არის დამოკიდებული ის, რომ ჩვენს თავდაცვის სამინისტროს არ ჰქონდეს სიმბოლური და მიზერული ბიუჯეტი, ეკონომიკურ წარმატებაზე არის დამყარებული ის, რომ ჩვენ სერიოზული არგუმენტები და ბერკეტები შევქმნათ აფხაზეთის ან ცხინვალის პრობლემების მოგვარებისთვის. ბოლოს და ბოლოს, სწორედ ეკონომიკურ წარმატებაზე არის დამოკიდებული ის, რომ ამ ქვეყანაში ძალიან ბევრ ადამიანს არ უჩნდებოდეს, თუნდაც შინაგანად, თუნდაც გახმაურების გარეშე, შეკითხვა იმასთან დაკავშირებით, რომ აი, გვჭირდებოდა კი ჩვენ, საერთოდ, დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა? ჩვენ თანდათან იმდენად დრამატულ და იმდენად ტრაგიკულ ზღვარს მივაღწიეთ ერთმანეთის გაუთავებელი მოფრთხილებით, მზეთუნახავების პოზიციის შენარჩუნებით და იმით, რომ აი, ჩვენი ფრაქცია არის კარგი, მოხერხებული, ლამაზი სიტყვებით გამოდის პარლამენტში და ა. შ.

არ მინდა დიდხანს შევაწყინოთ თავი, მაგრამ კიდევ ერთხელ მინდა დავაფიქსირო, რომ სრული უზნეობა იქნება ამ სიტუაციაში რაღაც დამატებითი ინტრიგების ხლართვა და რაღაც ფსევდოთეორიული კონსტრუქციების შექმნა. თუ ვინმეს აწუხებს, რომ აი, ჟვანია იქ წავა, მერე გადააგდებენ, მოისერიან, დაითხოვენ და სხვა, მე გეტყვით პირდაპირ: თუ ჟვანია გადავა მთავრობაში, შეიქმნება ერთიანი მთავრობა და ის თავისი მოღვაწეობით ვერ დაარწმუნებს მოსახლეობას იმაში, რომ მართლაც ჩვენ შეგვიძლია აღმასრულებელ ხელისუფლებაშიც ისევე წარმატებით ფუნქციონირება, როგორც სხვა სფეროებში, მაშინ ნამდვილად არანაირ ღირებულებას არ წარმოადგენს არც ჟვანია და არც მისი მეგობრები ამ საზოგადოებისთვის. მაშინ მართლაც არა აქვს არანაირი მნიშვნელობა იმას, ჟვანია მივა იქ სათავეში თუ ჩვენი პატივცემული ოპოზიციის რომელიმე წარმომადგენელი. ამიტომაც, მე ვაცხადებ: ჩვენ ამის გაკეთება შეგვიძლია, ამას სჭირდება ნებისყოფა და ის ხედვა, რომელიც ჩვენ გვაქვს. ჩვენ გვაქვს ყველაფერი საიმისოდ, რომ შევქმნათ სერიოზული განსხვავება და მოსახლეობა დავარწმუნოთ იმაში, რომ ჩვენ სამართლიანად და სწორად მოგვეცეს თავის დროზე ხმა, როდესაც აგვირჩიეს საპარლამენტო უმრავლესობად. მე არ მინდა ახლა ჩვენი ოპონენტების პოზიცია გავშიფრო და ძალიან ბევრი ვისაუბრო ამაზე, იმიტომ, რომ შაბათსაც, როდესაც გარკვეული ემოციური მუხტი გვქონდა ყველას, ვფიქრობ, საკმაოდ გასაგებად გამოვხატე ჩვენი პოზიცია ამ მოდელთან დაკავშირებით. დარწმუნებული ვარ, მე შემიძლია ვთქვა, ეს უმრავლესობის სახელითაც, ჩვენ გახსნილები ვიქნებით ნებისმიერი, სერიოზული კონსულტაციებისთვის. მე არ ვიცი, რატომ უკავშირებენ ამას ან საარჩევნო კანონმდებლობას, ან თვითმმართველობას, იმიტომ, რომ ბოლო 6 თვის განმავლობაში ორივე ამ საკითხზე ჩვენ ინტენსიურ კონსულტაციებს ვატარებდით ოპონენტებთან. ჩვენ რომ გვდომებოდა მათი მონაწილეობის გარეშე გადაწყვეტილებების მიღება, ყველამ შესანიშნავად იცის, არა მხოლოდ პარლამენტში, არამედ მის გარეთაც, რომ 118 ხმის პრობლემა ჩვენ არც გვქონია და არც შეგვექმნება. ჩვენ მივდიოდით ამ გზით იმიტომ, რომ აქ გადაწყვეტილებები უნდა მოიძებნოს კომპრომისების გზით, ერთიანი მიდგომების, თუნდაც მტკივნეული იყოს ეს პროცესი, შექმნის გზით. ამდენად, დაკავშირება მინისტრთა კაბინეტის იდეისა ამ კანონმდებლობასთან, მე აბსოლუტურად უადგილოდ და უაზროდ მეჩვენება. თუმცა აქაც ჩვენ მზად ვართ კონსულტაციებისთვის.

რაც შეეხება ვაჭრობას, მე კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რაღაც თანამდებობრივ გარიგებებს და სხვა, აქ ჩემი პირადი პოზიცია იქნება სრულიად კატეგორიული – ჩვენ თუ ისევ გვინდა შევქმნათ აღმასრულებელი სტრუქტურა და ხელისუფლება, სადაც ათასგვარი ინტერესი, პოლიტიკური, ფინანსური, ჯგუფური ურთიერთგადაკვეთილი და ურთიერთდაპირისპირებული იქნება – ეს „სიკეთე“ ჩვენ დღეს უკვე გვაქვს და საქართველოს აღარა აქვს კვლავ ექსპერიმენტების ჩატარების არანაირი დრო და საშუალება. ჩვენ გვჭირდება ერთიანი აღმასრულებელი ხელისუფლება, რომელიც იქნება რეალურად ქმედუნარიანი და შეკრული ერთი იდეით და ერთი ნებით. თუ დაფიქრებულხართ, აი, ჩემ მეგობრებს მინდა ვკითხო, ვინც ამდენ კითხვას სვამს მინისტრთა კაბინეტთან დაკავშირებით, რატომ მოხდა ისე, რომ ფრაქციები, რომლებიც ჯერ კიდევ ორი კვირის წინათ ქადაგებდნენ კაბინეტის იდეას და ამის აუცილებლობას, აი, ასე ურცხვად 180 გრადუსით შეიცვალეს პოზიცია. იმიტომ, ჩემო ძვირფასებო, რომ ისინი, ისევე როგორც მე და უმეტესობა თქვენგანი, დარწმუნებულნი არიან (ჩვენი ოპოზიციაც არის დარწმუნებული), რომ რასაც მე გეუბნებით, ჩვენ ნამდვილად შეგვიძლია ცვლილების შეტანა და სერიოზული წარმატების მიღწევა. ეს იციან მათაც. აი, ამით აიხსნება ყველაფერი.

სანამ საუბარი იყო იმაზეც, რომ შევარდნაძესა და ჟვანიას შორის, ჩვენ მაინც მოვახერხეთო ბოლო ერთი წლის განმავლობაში რაღაც ინტრიგის შექმნა და, რა თქმა უნდა, ახლა შევარდნაძე შექმნის კაბინეტს, რომ იქ კიდევ ახალი ფიგურა წავიდეს, ტაშს უკრავდნენ. მიდგომა აქ არის ძალიან მარტივი: რაც უფრო დაქსაქსულია ხელისუფლება, რაც უფრო დაპირისპირებულია ხელისუფლება, რაც უფრო სუსტია ქართული ხელისუფლება, სამწუხაროდ, ჩვენი ოპოზიციის ერთი ნაწილისთვის ეს უკეთესია. იმ დებატებში გამოიკვეთა, რომ არის ხალხი, ვინც სერიოზულად, ჩვენს ოპონენტებს შორის, ფიქრობს, თუ როგორი გადაწყვეტილებები უნდა მივიღოთ და არის ხალხი, ვინც გახსნილად, უკვე ყოველგვარი შენიღბვის გარეშე, აცხადებს, რაც უფრო უარესი იქნება, მით უფრო უკეთესი, რაც უფრო სუსტი იქნება ქართული ხელისუფლება, მით უფრო უკეთესი... ძალიან გთხოვთ, რომ აი, ეს ფონი და ეს მიდგომა კარგად გავითვალისწინოთ, როდესაც ჩვენს შეხედულებებს ვაყალიბებთ.

პრეზიდენტის ეს ინიციატივა, მე ამით დავასრულებ, ეს არის ჩვენთვის შანსი. ეს არ არის, რა თქმა უნდა, გარანტირებული წარმატება, რომ არიქა, ახლა დაფითა და ზურნით აღვნიშნოთ დიდი გამარჯვებები. ეს არის შანსი იმისა, რომ ამ ქვეყანას თავისი კეთილშობილური მიზნების მიღწევაში ჰყავდეს ძლიერი, შემტევი, ენერგიული, აგრესიული ხელისუფლება და მე მაინტერესებს, ვის ეყოფა იმის გამბედაობა, რომ ამ სიტუაციაში, რომელიც დღეს არის საქართველოში, განაცხადოს: არ გვსურს გამოვიყენოთ ეს შანსი, შანსი არა ჩვენი, პოლიტიკოსების, არამედ ჩვენი მოსახლეობისა.

პროექტი ნამდვილად დაიხვეწება, თუმცა, რა თქმა უნდა, არ უნდა იყოს ლაპარაკი პრინციპული დებულებების და პრინციპული მექანიზმების ცვლილებაზე.

ვიმეორებ, რომ ჩვენ გვაქვს შანსი, ჩვენ, როგორც სახელმწიფოს, როგორც ხალხს და ეს შანსი არის ჩვენი განსახორციელებელი. 12-წლიანი ჩემი პოლიტიკური საქმიანობის განმავლობაში არასოდეს მითქვამს უარი შანსის გამოყენებაზე. იქ, სადაც იყო ოდნავი იმედი იმისა, რომ შეიძლებოდა აქტიური მოქმედებით, ბრძოლით რაღაცა შეგვეცვალა, უარს ვამბობდით ლოდინზე, საწინააღმდეგოდ ბევრი სხვა პარტიისა, რომლებიც მუდმივი მომლოდინეების პოზაში დარჩნენ დღესაც. ჩვენ ყოველთვის ვცდილობდით თითოეული შანსის გამოყენებას და ეს ყოველთვის ამართლებდა. ღრმად ვარ დარწმუნებული, თუ ადამიანს აქვს მართალი პოზიცია, თუ აქვს საკმარისი ნებისყოფა, საკმარისი ენერგია, ყველაფრის გაკეთება შეიძლება. აი, ამაზე არის საუბარი. რა თქმა უნდა, ეს დისკუსია უნდა გახდეს ჩვენი ერთიანობის ძალიან სერიოზული საფუძველი. თუ შეიქმნება მთავრობა, მან უნდა უზრუნველყოს სრული ერთიანობა პრეზიდენტის, აღმასრულებელი ხელისუფლების და პარლამენტის უმრავლესობის, ყველა უნდა ვიყოთ ერთიანი ორგანიზმი.

პარლამენტის პრესსამსახური – „საქართველოს რესპუბლიკა“.

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება

2001 წლის 15 მაისი ქ. თბილისი

გ. ალთუნაშვილისა და გ. დავითაშვილის მედლით „მხედრული მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს შეიარაღებულ ბოროტმოქმედებთან შეტაკებისას გამოჩენილი მამაცობისა და მხედრული ვალის მოხდისათვის მედლით „მხედრული მამაცობისათვის“ დაჯილდოვდნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მცხეთის შინაგან საქმეთა სამმართველოს მუშაკები:

გიორგი ალთუნაშვილი – პოლიციის მაიორი, მეორე ქვეგანყოფილების სისხლის სამართლის სამძებრო ჯგუფის ინსპექტორი;

გიორგი დავითაშვილი – პოლიციის სერჟანტი, მეორე ქვეგანყოფილების საპატრულო-საგუშაგო სამსახურის პოლიციელი.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება

2001 წლის 15 მაისი ქ. თბილისი

შ. გლოველის წახალისების შესახებ

გარდაბნის რაიონის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაში შეტანილი წვლილისათვის, მაღალი პროფესიონალიზმისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი საქმიანობისათვის ქვემო ქართლის რეგიონალური სახაზინო სამსახურის უფროსს **შალვა გლოველს** გამოეცხადოს მადლობა.

ე. შევარდნაძე.

დოკუმენტი

საქართველოს კანონი

„პარლამენტის წევრის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის სავალდებულო დაზღვევის და საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

მუხლი 1. „პარლამენტის წევრის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის სავალდებულო დაზღვევის და საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, № 30 (37), 1999 წელი, მუხ. 160) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატება:

1. მე-12 მუხლის ტექსტი ჩაითვალოს მე-2 პუნქტად და მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის პირველი პუნქტი:

„1. ამ კანონით გათვალისწინებული საპარლამენტო პენსიებით უზრუნველყოფა ხდება იმ პარლამენტის წევრებისა, რომლებიც არჩეულ იქნენ 1992 წლიდან“.

2. 22-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ამ კანონის მე-15 და მე-18 მუხლები ამოქმედდეს 2002 წლის 1 იანვრიდან, მე-16 მუხლის მოქმედება შეჩერდეს 2002 წლის 1 იანვრამდე, ხოლო მე-17 მუხლით განსაზღვრული პირების საპენსიო უზრუნველყოფა განხორციელდეს საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის ერთიანი სახელმწიფო ფონდის სახსრებიდან“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2001 წლის 1 მაისიდან.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი, 2001 წლის 27 აპრილი.

საქართველოს კანონი

„ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს კანონში დამატების შეტანის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

მუხლი 1. „ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, № 25 (32), 1999 წელი) მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. კავშირს უფლება აქვს ეწოდებოდეს შესაბამისად ბავშვთა ან ახალგაზრდული, თუ იგი აკმაყოფილებს ამ მუხლის მოთხოვნებს“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი, 2001 წლის 27 აპრილი.

გვწერენ

იმედი ბოლოს კვდება...

კორუფცია საქართველოს რომ დაეპატრონა, იმ ზღაპრულ გველეშაპს გვაგონებს, ქალაქს რომ შემოეჩვეოდა ხოლმე, წყალს გადაუკეტავდა და სადილ-ვახშმად სულ რჩეულ ქალ-ვაჟებს ითხოვდა. ხალხსაც რაღა დარჩენოდა, უწყლოდ რომ არ ამომწყდარიყო, თავისივე მომავალს მუსრს ავლებდა. ასე გრძელდებოდა, სანამ არ გამოჩნდებოდა ვინმე, წმინდა გიორგის დარი გმირი...

ასე, დათქმულად, დღეში სამ-სამ წყვილს არა, მაგრამ, ქართული კორუფცია საბოლოო ჯამში, მეტსაც გვართმევს – მთელ გენოფონდს გვინადგურებს... ქართველებისავე ხელით. ჰოდა, ღმერთმა ქნას, იმ გმირ რაინდად მოგვევლინოს ახლადშექმნილი ანტიკორუფციული საკოორდინაციო საბჭო, „თორმეტკაცა“ რომ შეარქვეს (მით უკეთესი, რომ შემადგენლობაში ხუთი ქალია).

ძალიან გვინდა, მოდგეს ეს ჩვენი „თორმეტკაცა“ და ყველა თავი დააყრევინოს ჩვენი სისხლით და ხორცით გაუმაძღარ გველეშაპ კორუფციას, გაათავისუფლოს ქვეყანა მისი ტყვეობიდან, გადაგვირჩინოს მომავალი და სული მოგვათქმევინოს.

ვიცით, ბევრი ქართველი, ამის წამკითხველი, ირონიულად ჩაიღიმილებს, მაგრამ იმედი, ეს დიდი შვება და სასოება ხომ იმადაც არსებობს, რომ ჩავებღაუჭოთ, გვერდიდან არ მოვიცილოთ, არ დავკარგოთ. თორემ, თუ, როგორც ამბობენ, იმედი ბოლოს კვდება, მერე ხომ ჩვენი რიგიც დადგება. ღმერთმა გვაშოროს!

ჰოდა, შენ მოგმართავთ, ძვირფასო თორმეტკაცავ, არ შეუშინდე საზარელ ურჩხულს, იხსენი საქართველო!

დოდო ჟღენტი,
თამარ ჯვარშეიშვილი.
ბათუმი.

პრესკონფერენცია

„ევროპული აზრის“ ჩამოყალიბებისთვის

15 მაისს გაიმართა ევროპის საბჭოში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის, ელჩის ლანა ღოღობერიძის პრესკონფერენცია, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა სამინისტროს ინფორმაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორმა კახა სიხარულიძემ.

ელჩმა ჟურნალისტებს მოკლედ გააცნო წარმომადგენლობის მუშაობის სპეციფიკა, მოუთხრო 10-11 მაისს სტრასბურგში გამართულ ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის (საბჭოს მთავარი აღმასრულებელი ორგანო, რომელიც წელიწადში ორჯერ იკრიბება) სხდომაზე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ირაკლი მენაღარიშვილის გამოსვლის შესახებ, რომელშიც მკაფიოდ იყო ჩამოყალიბებული აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების საკითხზე (თბილისსა და სოხუმს შორის კომპეტენციების უფლებამოსილებათა გამიჯვნა) საქართველოს პოზიცია. მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია. თუმცა გადაწყვეტილება ამ საკითხზე არ მიუღიათ (საამისოდ ყველა მონაწილის თანხმობა-კონსენსუსია საჭირო), მაგრამ „ევროპული აზრის“ ჩამოყალიბებისათვის მას დიდებითი მნიშვნელობა აქვს.

ელჩმა ჟურნალისტების შეკითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

ორბიტაზე

სიღატაკის აღმოსაფხვრელად

გაეროს გენერალური მდივნის კოფი ანანის შესავალი განცხადება გაეროს მესამე კონფერენციაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნების შესახებ

(პირველი გვერდიდან)

ლატაკნი იშვიათად ამოჩნდებიან სიღატაკეში თავიანთი არჩევნით. ფრიად ცოტანი არიან ადამიანები, რომელთაც კმაყოფილებას ჰგვრიდეს მოწყალებით ცხოვრება. უქონელთა უმრავლესობამ იცის, რომ მათ სავსებით შესწევთ უნარი ირჩინონ თავი საკუთარი შრომით, და კიდევაც ესწრაფვიან ამას. მაგრამ მათ უნდა მიეცეთ სამართლიანი შანსი, რათა შეძლონ კონკურენციის გაწევა.

ზემოაღნიშნული ეხება ადამიანებს, სამართლიანია კომპანიათა მიმართ და სწორია ქვეყნების მიმართ გამოსაყენებლადაც.

დღეს ყველა ქვეყნის წინაშე დგას საკუთარი რესურსების მობილიზაციისა და საზღვარგარეთიდან ინვესტიციათა მოზიდვის ამოცანა.

მათი ამგვარი უნარი, უწინარესად, დამოკიდებულია მათი მართვის ხარისხზე. ქვეყნებს შეუძლიათ კონკურენციის გაწევა გლობალურ ბაზარზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი მცხოვრებნი — თანაბრად ქალები და მამაკაცები — ისარგებლებენ განათლებისა და კანონიერების სიკეთით, იმ პირობით, თუ არსებობს ეფექტიანი სახელმწიფო ინსტიტუტები, უზრუნველყოფილი არიან ტრანსპარენტულობითა და სახელმწიფო საქმეებში ანგარიშვალდებულებით, ადამიანის უფლებათა პატივისცემითა და იმ გადაწყვეტილებათა შემუშავებაში მონაწილეობის შესაძლებლობით, რომლებიც გავლენას ახდენენ მათს ცხოვრებაზე.

ამრიგად, ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებსაც კი შეუძლიათ აკეთონ და აკეთებენ ბევრ რამეს საკუთარ ძალებზე დაყრდნობით. ბევრმა მიაღწია თვალსაჩინო პროგრესს დემოკრატიისა და ჯანსაღი ეკონომიკური მმართველობის გზაზე, სიღატაკეში ყოფნის დროსაც კი.

მაგრამ ისინი ვერ აღწევენ თავს მანკიერ წრეს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მათ გაცილებით ცოტა აქვთ საკუთარი კაპიტალი, მათ სხვებზე მეტად სჭირდებათ უცხოური ინვესტიციები.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი ძალიან ცოტა ინვესტიციებს იზიდავენ. რადგანაც მათი მცხოვრებლები ღარიბნი არიან, მათ მიერ განხორციელებული პოლიტიკა ხშირად არასტაბილურია, საშინაო ბაზარი კი ვიწრო. ამრიგად, მათი მცხოვრებლები კიდევაც სიღატაკეში ცხოვრობენ ინვესტიციათა უქონლობის გამო.

ამრიგად, რაც უფრო ღარიბია ქვეყანა, მით უფრო ვიწროა მისი სამინაო ბაზარი, მით უფრო დაბეჯითებით დგას მათ წინაშე მოთხოვნილება, თავი დააღწიონ ამ მანკიერ წრეს და დაეყრდნონ ექსპორტს. ამიტომ ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს მეტად, ვიდრე ქვეყნების ნებისმიერ სხვა ჯგუფს, სჭირდებათ ღია ბაზრები, სადაც მათი საქონელი კონკურენტუნარიანი იქნებოდა.

უფრო მეტად უზრუნველყოფილ ქვეყნებს ყველა საფუძველი აქვთ იმისათვის, რომ საკუთარი ბაზრები გაუხსნან ნაკლებად განვითარებული ქვეყნების პროდუქციას. მათი მომხმარებლები მოგებული დარჩებოდნენ ფართო არჩევნით და ფასების შემცირებით. მათი მრეწველობა იგრძნობდა კონკურენციის კეთილნაყოფიერ გავლენას.

ამასთანავე, ღარიბი ქვეყნების უქონელ მცხოვრებლებს თუ მიეცემოდათ შესაძლებლობა, პატიოსანი შრომით მოეპოვებინათ არსებობის სახსრები, ამით ისინი ხელს შეუწყობდნენ უფრო სამართლიანი და უფრო სტაბილური მსოფლიო წესრიგის დამყარებას.

მიმღები მხარე, ევროპის კავშირი, როგორც ჩანს, მიხვდა ამას. ევროპის კავშირის ქვეყნებმა, რომლებმაც წამოაყენეს ინიციატივა „ყველაფერი, გარდა იარაღისა", მაგრამ არ დაელოდნენ ამგვარივე დათმობას ნაკლებად განვითარებული ქვეყნების მხრივ, სწორი მიმართულებით გადადგეს ნაბიჯი, თუმცა ზოგიერთი სახეობის პროდუქტების მიმართ შესაბამისი ღონისძიებანი საკმაოდ ნელა შევა ძალაში.

ვიმედოვნებ, რომ სხვა ეკონომიკური სახელმწიფოებიც მიიღებენ ანალოგიურ გადაწყვეტილებებს და ოპერატიულად შეუდგებიან მათს გამოყენებას. უკვე გასული წლის სექტემბერში ხომ მიიღეს მათ ათასწლეულის დეკლარაცია, რომელშიც მოუწოდებენ ამ კონფერენციის მუშაობის დაწყებამდე განეხორციელებინათ ღონისძიებათა კომპლექსი, რათა უზრუნველეყოთ ნაკლებად განვითარებული ქვეყნების პრაქტიკულად ყველა საექსპორტო საქონლის უბაჟო და არაკვოტირებული შემოსვლა თავიანთ ბაზრებზე. არსებული ვითარების პირობებში მათი ექსპორტი ჯერ კიდევ აწყდება მნიშვნელოვან ბარიერებს.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების საშუალო სატარიფო განაკვეთები კვლავინდებურად 40 პროცენტს, ხოლო ზოგიერთი სახეობის პროდუქტების მიმართ 300-პროცენტიან ნიშნულსაც კი აღემატება. ამას გარდა, არსებობს მრავალი უტარიფო ბარიერი: ეს არის არა მარტო კვოტები, არამედ ტექნიკური ბარიერებიც, რომლებიც უკავშირდება იმპორტირებული საქონლის მოცულობისა და ხარისხის რეგლამენტაციას ან იმპორტირებული პროდუქციის გარკვეული მარკირების მოთხოვნებს. ამას გარდა, სანიტარიული ნორმები და უსაფრთხოების სტანდარტებიც არ უნდა დავივიწყოთ.

ყველა ეს ღონისძიება ოფიციალურად მომხმარებელთა დაცვისა და იმის უზრუნველსაყოფად არის განკუთვნილი, რომ მათ იცოდნენ, რას ყიდულობენ. მე არ ვამბობ, რომ ეს აუცილებელია. მაგრამ შესაბამისი მოთხოვნები ხშირად აუსრულებლობამდე რთულია.

ნება მიბოძეთ, მოვიყვანო ერთი მაგალითი, რომელიც ეხება ევროპულ რეგლამენტს აფლატოქსინების მიმართ. მსოფლიო ბანკის მიერ განხორციელებული გამოკვლევის ფარგლებში დაანგარიშებულია, რომ ამ რეგლამენტის შედეგად აფრიკა ყოველწლიურად მთლიანად ვერ იღებს ექსპორტის დარგში მარცვლეულ კულტურებს, ჩირსა და თხილს 760 მილიონი ამერიკული დოლარის ოდენობით.

და, რას ვაღწევთ ამით? შესაძლებელია, ორ წელიწადში გადავარჩინოთ ევროპის კავშირის ერთი მცხოვრები.

გთხოვთ, სწორად გამიგოთ. მე სულაც არა მაქვს მხედველობაში, რომ ერთი კაცის სიცოცხლე არაფრად ღირდეს. მაგრამ ამ შემთხვევაში სასწორზე დევს ბევრი აფრიკელის სიცოცხლე — ვისი გადარჩენაც შეიძლებოდა ამ საქონლის ექსპორტის შედეგად უდროო სიკვდილისაგან, რაც განპირობებული იყო კვების ნაკლებობითა თუ ენდემური დაავადებებით.

არავითარ ეჭვს არ იწვევს, რომ ეს რეგლამენტი გადასახედია ზომიერების გრძნობის დაცვით! უთუოდ შესაძლებელია უფრო გონიერული ბალანსის გამოძებნა.

ჩემი აზრით, ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს, და ყველა განვითარებად ქვეყანას დიდ სიკეთეს მოუტანს გლობალური, მრავალმხრივი, სავაჭრო მოლაპარაკების ახალი რაუნდი. თანაც, ამჯერად იგი ჭეშმარიტად „განვითარების რაუნდი" უნდა გახდეს.

ახალი რაუნდის მიზანი უნდა იყოს განვითარებად ქვეყნებში არსებული სატარიფო და არასატარიფო ბარიერების ლიკვიდაცია სოფლის მეურნეობის პროდუქციის, საფეიქრო ნაწარმისა და სხვა იმ საქონლის ვაჭრობაში, რომლებიც განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისათვის. ამავე დროს, მის ფარგლებში უნდა იყოს მიმოხილული პროგრესი წინა — ურუგვაის რაუნდის დროს მიღწეულ შეთანხმებათა განხორციელებაში.

ურუგვაის რაუნდის შემდეგ განვითარებადმა ქვეყნებმა აღმოაჩინეს, რომ გაცილებით ნაკლები სარგებელი ნახეს, ვიდრე განვითარებულმა ქვეყნებმა.

მრავალ მათგანს, ისევე როგორც ზოგიერთ არასამთავრობო ორგანიზაციას, მიაჩნია, რომ არ არის საჭირო ახალი რაუნდის გამართვა, დასჯერდნენ წინა რაუნდის შედეგების გადასინჯვას. მაგრამ, მათი უკმაყოფილება სავსებით გასაგებიც რომ იყოს, უთუოდ არ არის სწორი გამოსვლა ახალი რაუნდის მოწყობის წინააღმდეგ. ახალი რაუნდი ხომ სწორედ ის ფორუმია, რომელზეც შეიძლება მოხდეს ხელახალი გადაფასება და საჭირო კორექტივების შეტანა. ამასთან დაკავშირებით, მე დაბეჯითებით მოვუწოდებ ყველა ქვეყნის მთავრობებს აქტიურად, მთელი საჭირო ოპერატიულობით დაუჭირონ მხარი მრგვალ მაგიდასთან მრავალმხრივი მოლაპარაკების ახალი რაუნდის გამართვას.

ქალბატონებო და ბატონებო, ჯერჯერობით მე ყურადღება გავამახვილე ვაჭრობისა და ხელმისაწვდომი ბაზრების საკითხებზე, რამდენადაც დარწმუნებული ვარ, რომ ვაჭრობის გარეშე ნაკლებად განვითარებული ქვეყნები ვერ მოიზიდავენ ინვესტიციებს და ვერ შეძლებენ ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფას.

თუმცა ბაზრების ხელმისაწვდომობა აუცილებელია, მაგრამ ეს პირობა უეჭველია, არ არის თვითსაკმარისი. ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს იმისათვის, რომ ექსპორტის საშუალებით გაიკაფონ კეთილდღეობის გზა, ბევრი რამ სჭირდებათ ისეთი, რაც მათ ამჟამად არა აქვთ. მათ სჭირდებათ ტექნოლოგია, განსაკუთრებით ინფორმაციული ტექნოლოგია. მათ სჭირდებათ საკუთარი ფიზიკური, სოციალური და ინსტიტუციური ინფრასტრუქტურის განვითარება.

მათ სჭირდებათ დახმარება მთელ რიგ სერიოზულ დაბრკოლებათა გადალახვაში.

ბევრი მათგანი აწყდება მწვავე ეკოლოგიურ პრობლემებს ისეთ პირობებში, როცა სწრაფი ტემპით მზარდი მოსახლეობა გადარჩენისათვის იბრძვის დასამუშავებლად ვარგის მიწებზე, რომელთა ფართობები სულ უფრო მცირდება. ბევრი იტანჯება ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ქრონიკული კრიზისის გამო, რომელიც სტანჯავს ადამიანებს და რომელსაც ბევრის სიცოცხლე ეწირება, და დღეს მოსალოდნელი, ახალი უფრო საშიში ფორმით გამოვლენილი შიდსის დაავადება.

არსებითად, აფრიკის მნიშვნელოვან ნაწილში შიდსმა ამჟამად შექმნა არა მარტო ჯანმრთელობის დაცვის სისტემის კრიზისი, არამედ რაღაც გაცილებით სერიოზულ სენს წარმოადგენს. იგი გახდა სიკვდილიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, მაგრამ ამავე დროს უდიდესი დაბრკოლებაც განვითარების გზაზე — თანაც ამგვარივე ვითარება შეიძლება მალე შეიქმნას აზიის მთელ რიგ ქვეყნებშიც.

ახლანდელ ეტაპზე ეს ამოცანა ჩემს პირად პრიორიტეტად მიმაჩნია. ვიმედოვნებ, რომ მომდევნო თვეს დამლევს, როცა გენერალური ასამბლეა შეიკრიბება თავის სპეციალურ სესიაზე შიდსთან დაკავშირებით, ჩვენ გვექნება შეთანხმებული გლობალური სტრატეგია და გლობალურ საფუძველზე მობილიზებული არსებითი მოცულობის სახსრები, რათა შევებრძოლოთ ამ მსოფლიო უბედურებას.

ბევრი შედარებით განვითარებული ქვეყანა დასუსტდა, აგრეთვე, დამანგრეველი კონფლიქტების შედეგად. მათ დახმარება სჭირდებათ თავიანთ უთანხმოებათა მოგვარებასა და მშვიდობიანი ეკონომიკის აღდგენაში.

ბევრი სხვა ქვეყანა კვლავინდებურად ვერ ფუნქციონირებს ნორმალურად დავალიანების პრობლემის გამო. დღეს არავინ დაიწყებს დავას იმის შესახებ, რომ ისინი უნდა გავანთავისუფლოთ ამ ტვირთისაგან. მაგრამ მდიდარ ქვეყნებს ჯერ არ გამოუყვიათ საკმარისი მოცულობის სახსრები ამ მიზნებისათვის. უღარიბესი ქვეყნებიც კი, რომლებიც შეესაბამებიან ვალის ჩამოწერის პირობებს და მიეკუთვნებიან დიდი მოცულობის დავალიანების მქონე ღარიბი ქვეყნების კატეგორიას, კვლავინდებურად გაცილებით მეტს ხარჯავენ ვალების გადასახდელად, ვიდრე ჯანმრთელობის დაცვის საჭიროებათათვის.

ალბათ, ნამდვილად საჭირო იქნება დამატებითი ძალისხმევა დავალიანების ტვირთის შესამსუბუქებლად — გაცილებით ღრმა, მასშტაბური და ოპერატიული იმასთან შედარებით, რაც დღემდე განხორციელებულა. ამასთანავე შესაბამისი დახმარება ჭეშმარიტად დამატებითი უნდა იყოს და არ უნდა გამოიქვითოს იმ სახსრებიდან, რომლებიც უკვე გამოყოფილია დასახმარებლად განვითარების მიზნით.

ამის მიზეზი ის არის, რომ — და ეს ჩემი ბოლო არგუმენტია — ეს სახსრები ძალიან მცირეა. ქაღალდზე განვითარებულმა ქვეყნებმა დიდი ხანია იკისრეს ვალდებულება, რომ თავიანთი მთლიანი ეროვნული პროდუქტის 0,7 პროცენტი გამოყონ განვითარების მიზნით დახმარების გასაწევად. მათგან ძალიან ცოტა ასრულებს ამ ვალდებულებას, მაშინ როცა საერთო მაჩვენებელი მსოფლიოს ყველა განვითარებული ქვეყნის მიხედვით მხოლოდ 0,2 პროცენტს შეადგენს. 90-იანი წლების განმავლობაში, მრეწველობის მხრივ განვითარებული მეტი წილი ქვეყნებისათვის ათწლიანი უპრეცედენტო აყვავების წლები რომ გახდა, განვითარების მიზნით ოფიციალური დახმარების მოცულობა შემცირდა და ნაკლებად განვითარებულმა ქვეყნებმა არათანაბარზომიერი ზარალი განიცადეს.

მთავრობები თუ უფრო სერიოზულად არ მოეკიდებიან მათ მიერ მიღებულ მიზნობრივ მაჩვენებელს — 0,7 პროცენტს, მათ ნაკლები შანსი ექნებათ იმ ახალ ვალდებულებათა შესრულებისათვის, შარშან გამართულ ათასწლეულის სამიტზე რომ იკისრეს. ნება მიბოძეთ, შეგახსენოთ თქვენ, რომ მათ შორის არის ვალდებულება — 2015 წლისათვის ორჯერ შემცირდეს უკიდურესი სიღატაკის პირობებში მცხოვრები მოსახლეობის წილი; აღნიშნული ვადისათვის შეჩერდეს შიდსის გავრცელება და დასაბამი მიეცეს მისი მასშტაბის შემცირების ტენდენციას; და განხორციელდეს ღონისძიებანი ნაკლებად განვითარებული ქვეყნების განსაკუთრებულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

მე დაბეჯითებით მოვუწოდებ ყველა განვითარებულ ქვეყანას, შეასრულონ დასახული მიზნობრივი მაჩვენებელი 0,7 პროცენტი — და ამ ფარგლებში გამოყონ თავიანთი მთლიანი ეროვნული პროდუქტის სულ ცოტა 0,15 პროცენტი ნაკლებად განვითარებული ქვეყნების დასახმარებლად, როგორც დაპირდით მათ ბოლო კონფერენციაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნების შესახებ, რომელიც პარიზში გაიმართა ათი წლის წინათ.

საბოლოო ანგარიშით, რატომ უნდა ეწყობოდეს ეს კონფერენციები, თუ სახელმწიფოები საქმით არ განამტკიცებენ ლამაზ სიტყვებს.

როგორც ცნობილია, ამ კონფერენციაზე მიღებული იქნება მოქმედების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს მონიტორინგის სისტემას. მოდით, გამოვიყენოთ იგი იმის უზრუნველსაყოფად, რომ ამ კონფერენციამ, წინა კონფერენციებისაგან განსხვავებით დასაბამი მისცეს რეალურ შემობრუნებას უკეთესობისაკენ უღარიბეს ქვეყნებში უქონელთა ფენების ყოველდღიურ ცხოვრებაში.

საქინფორმი.

სახელმწიფო მინისტრი

თამბაქო — ბიუჯეტის დაუძინებელი მტერი

— ჩვენი შეკრების მიზანია განვსაზღვროთ და დავასახელოთ ბიუჯეტის შესრულების უმთავრესი ხელისშემშლელი ფაქტორები. იმ საკითხებში, რომლებშიც სახელმწიფო კანცელარიას შეუძლია დახმარების გაწევა, ამისათვის მზად ვართ, — განუცხადა 15 მაისს გამართულ თათბირზე სახელმწიფო მინისტრმა გიორგი არსენიშვილმა საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს, საბაჟო და საგადასახადო დეპარტამენტების ხელმძღვანელებს.

მაისის ბიუჯეტის სრულფასოვანი შესრულების პირობა, პრინციპში, თათბირზე საბაჟო და საგადასახადო დეპარტამენტების ხელმძღვანელებმა საჯაროდ დადეს. გარდა ერთი ფაქტორისა — თამბაქოს პროდუქტების დაბეგვრიდან შემოსული თანხა ქვეყნის ბიუჯეტისათვის ისევ და ისევ პრობლემატურ და მტკივნეულ საკითხად რჩება. არსებული მონაცემებით თითქოსდა თამბაქოს რეალიზაცია არ მცირდება, პირიქით, სიგარეტზე მოთხოვნა დღითი დღე იზრდება, სამაგიეროდ, ტრადიციულად მცირეა ბიუჯეტში თამბაქოს პროდუქტებიდან ამოღებული და ასახული თანხა.

— საბაჟო სფეროში ადმინისტრირება ძლიერდება, „რკინის ხელები ხავერდის ხელთათმანებით" — დაახლოებით ამ პრინციპით ვმუშაობთ. სადღეისოდ დასახული გეგმის 23,8 პროცენტია შესრულებული. საბაჟო დეპარტამენტი კი მაისის გეგმას აუცილებლად შეასრულებს. გადაულახავ და შეუსრულებად პრობლემებს ჩვენ ვერ ვხედავთ. რაც შეეხება თამბაქოს, ეს ჩვენი პრეროგატივა არ არის, ამ საკითხში ქმედითი მექანიზმი საბაჟო უწყებას არა აქვს, — განაცხადა საბაჟო დეპარტამენტის ახალმა ხელმძღვანელმა ბადრი აბზიანიძემ.

საგადასახადო დეპარტამენტის უფროსის დავით რამიშვილის თქმით, ამ ეტაპზე გეგმა 16 პროცენტით არის შესრულებული. თუ გავითვალისწინებთ, რომ მხოლოდ 15 მაისის შემდეგ იწყება დამატებითი გადასახადის ღირებულების დეკლარირება, უფრო ნათელი სურათი სავარაუდოდ 20 მაისისათვის გამოიკვეთება. თუმცა, მსხვილგადამხდელთა ინსპექციის მუშაობაში ხარვეზები არსებობს, დავით რამიშვილი, თავისი კოლეგის მსგავსად, მაისის ბიუჯეტის შესრულებაში დარწმუნებულია.

აღსანიშნავია, რომ ბოლო 4 თვის განმავლობაში საქართველოში 70 მილიონი ლარის იმპორტი განხორციელდა, აქედან 38 მილიონი ლარის ოდენობით დაუბეგრავი რეჟიმით შემოსული ჰუმანიტარული ტვირთი და გრანტები დაფიქსირდა.

— თამბაქოს პროდუქტი იმდენად ბურუსით მოცული თემაა, რომ ან არ სურთ ამის გარკვევა, ან კიდევ წარმოუდგენლად დიდ შრომასა და ძალისხმევას მოითხოვს, — აღნიშნა საგანგებო ლეგიონის უფროსმა თემურ ხევსურიანმა. მისი თქმით, ლეგიონის 72-კაციანი კოლექტივი საკმაოდ მცირერიცხოვანია დასახული ამოცანების შესასრულებლად. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ლეგიონის მიერ განხორციელებულ ღონისძიებათა საფუძველზე ბოლო პერიოდში ბიუჯეტს დაახლოებით 2 მილიონამდე ლარი შეემატა, სულ კი აღძრულია 180 სისხლის სამართლის საქმე.

როგორც თათბირზე აღინიშნა, მაისში ნავთობპროდუქტების იმპორტი 2 მილიონ 160 ათასი ლარით გაიზარდა, შესაბამისად მკვეთრად მოიმატა დედაქალაქის ბაზებიდან ბენზინის რეალიზაციამ. ისევ გადაუჭრელ პრობლემად რჩება გარე ვაჭრობა და უაქციზო პროდუქციის რეალიზაცია.

საგანგებო ლეგიონის უფროსი თემურ ხევსურიანი კონკრეტული წინადადებებითა და მონაცემებით უახლოეს მომავალში გამართულ უშიშროების საბჭოს სხდომაზე წარდგება.

რამდენიმე დღეში ჩვენი ქვეყნის ფინანსური სტაბილიზაციის კომისიის წევრები სახელმწიფო მინისტრთან გიორგი არსენიშვილთან შეიკრიბებიან და კიდევ უფრო კონკრეტულ და შედარებით ზუსტ მონაცემებს დაასახელებენ.

და, ბოლოს: რაც შეეხება შეკითხვას — ვისი პრეროგატივაა თამბაქოს პროდუქტები, რა არის უმთავრესი ბერკეტი და წინააღმდეგობა თამბაქოს დაბეგვრისა და გადასახადის მაქსიმალური ამოღებისათვის, სამწუხაროდ, ამჯერადაც უპასუხოდ დარჩა... ყოველ შემთხვევაში, ჟურნალისტებისათვის.

საქინფორმი.

ტელეკომის პრივატიზება სექტემბრისათვის გადაიდო

„საქართველოს ტელეკომისა" და სს „ელექტროკავშირის" პრივატიზაცია უკვე მეორე ფისკალური წელია მწვავედ დგას სახელმწიფო ეკონომიკური პროგრამის დღის წესრიგში. სადღეისოდ საპრივატიზაციო ტენდერის მეორე, გადამწყვეტი ეტაპი 3,5 თვით — 16 სექტემბრამდე გადაიდო. ტელეკომის პრივატიზება ერთგვარ აქილევსის ქუსლად იქცა, მიზეზები კი, სამწუხაროდ, საკუთარ ქვეყანაში ეკონომიკური გუნდის წევრებსა და ამ საკითხისათვის პასუხისმგებელ სტრუქტურებში უნდა ვეძებოთ.

— ტელეკომის პრივატიზების პროცესში, 1998 წლიდან დღემდე, საკმაოდ ბევრი მცდარი ნაბიჯია გადადგმული. ბოლო ერთი წლის განმავლობაში კი პირადად ჩემთან გამართულ შეხვედრებზე არაერთხელ მოვუსმენია, რომ ტელეკომის პრივატიზების პროცესი საკმაოდ კარგად ვითარდება, რომ ამ მხრივ პრობლემები არ შეგვექმნება. სადღეისო შედეგი კი, სამწუხაროდ, არასახარბიელოა. ტელეკომის პრივატიზება კი უშუალოდ უკავშირდება 2001 წლის ბიუჯეტში უკვე გათვალისწინებულ სოციალურ დავალიანებათა დაფარვას, კერძოდ, მასწავლებელთა ხელფასებისა და დევნილთა შემწეობის გასტუმრებას, ხალხის წინაშე ნაკისრ ვალდებულებათა პირნათლად შესრულება კი ჩვენთვის უალტერნატივოა, — განაცხადა სახელმწიფო მინისტრმა გიორგი არსენიშვილმა 15 მაისს გამართულ შეხვედრაზე, რომელზეც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური გუნდის წარმომადგენლებმა სატელეკომუნიკაციო სისტემების პრივატიზების სტრატეგიაზე იმსჯელეს.

სატელეკომუნიკაციო სისტემის წარმატებულ პრივატიზაციაზე დრო საკმაოდ ნეგატიურად მოქმედებს. გასაყიდად მომზადებული საწარმოების ხელმძღვანელობა დილემის წინაშე დგას: განახორციელოს საწარმოებში ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე ტექნოლოგიური ძვრების შესაბამისი ღონისძიებანი (იგულისხმება ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის პროექტი), თუ დატოვოს საწარმო ამჟამად არსებულ მდგომარეობაში. ქვეყანაში მიმდინარე პროგრესული და დინამიკური ტექნოლოგიური პროცესების ფონზე სატელეკომუნიკაციო ობიექტებს, ნორმატიული სარეგულაციო ჩარჩოს ხარვეზიანობისა და ტექნიკური არხების აუთვისებლობის გათვალისწინებით, ნაკლებად მიმზიდველს ხდის პოტენციური ინვესტორისათვის როგორც ინფრასტრუქტურის, ისე საწარმოო ხარჯების გათვალისწინებით.

საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის ლევან ძნელაძის თქმით, ამჟამად პოსტსაბჭოთა სივრცეში და თურქეთში მიმდინარე სატელეკომუნიკაციო სისტემების პრივატიზების პროცესმა შესაძლებელია უარყოფითად იმოქმედოს საქართველოს ტელეკომის პრივატიზების ეფექტიანობაზე. აქვე გასათვალისწინებელია აღნიშნული ქვეყნების როგორც შიდა საბაზრო ბალანსი, ასევე მათი სატრანზიტო ფუნქცია. საქართველოს ეკონომიკური გუნდი ამ მხრივ ჩვენი ქვეყნის სატელეკომუნიკაციო სისტემის პრივატიზაციის პროცესის წარმართვაში კონკრეტულ საფრთხეს ვერ ხედავს. „ ჩვენი კონკურენტი ჩვენივე უმოქმედობა და ინერტულობაა, ყველაფერი მარტივია და ძალიან კონკრეტული",— განაცხადა ფინანსთა მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა. მისივე თქმით, პოტენციური ინვესტორისათვის ტელეკომის საპრივატიზაციო თანხა მოცულობით სრულებით არ არის „კოსმოსური" ციფრი, უბრალოდ ეს მისთვის დამატებითი პრობლემების წყარო შეიძლება გახდეს.

ეკონომიკური გუნდის წარმომადგენლები საქართველოს სატელეკომუნიკაციო სისტემების პრივატიზების პროცესში ფინანსური მრჩეველისა და საერთაშორისო შუამავლის გერმანული კომერცბანკის საქმიანობითაც არ არიან აღფრთოვანებული. ბანკის ნაკლები აქტიურობის მიზეზი, მათივე აზრით, უწინარესად პასუხისმგებელი პირების პასიურობაა. 21-22 მაისს თბილისს კომერცბანკის კონსორციუმის წევრები ეწვევიან, საქართველოს შესაბამის უწყებათა ხელმძღვანელებთან შეხვედრისას კიდევ უფრო კონკრეტულად განიხილავენ პრივატიზაციის სამომავლო პერსპექტივას.

როგორც სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრმა აღნიშნა, ჩვენი ქვეყნის სატელეკომუნიკაციო სისტემის პრივატიზაციის ეფექტიანად წარმართვისათვის გადაუდებელ სამუშაოთა ნუსხა ამგვარად გამოიყურება: საინფორმაციო კამპანიის ხარვეზების აღმოფხვრის პარალელურად, სასწრაფოდ უნდა დაიხვეწოს სექტორის მარეგულირებელი ნორმატიული ბაზა, კავშირგაბმულობის ეროვნულმა დამოუკიდებელმა კომისიამ კი 25 მაისამდე უნდა მიიღოს დებულება ტარიფებისა და ურთიერთჩართვების შესახებ. ასევე, ერთ თვეში უნდა იყოს წარმოდგენილი შესაბამისი წინადადებანი საქართველოს „ელექტროკავშირისა" და „ტელეკომის" განვითარების საინვესტიციო პირობების შესახებ. მკაცრად უნდა გაიმიჯნოს სუვერენული და კორპორაციული ფინანსური სექტორების კომპეტენციები. მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით ახლო მომავალში გაიმართება საქართველოს სატელეკომუნიკაციო სისტემების საპრივატიზაციო პრეზენტაციები ევროპის ქვეყნებისა და ამერიკის შეერთებული შტატების მოწინავე ბიზნეს-ცენტრებში.

— თუ გავითვალისწინებთ, რომ ახლა მთავრობასა და პარლამენტში აქტიურად განიხილება მინისტრთა კაბინეტის შემოღების ინიციატივა, ეკონომიკური გუნდის წევრებს ყურადღების მოდუნება არანაირად არ მართებთ ტელეკომის პრივატიზაციის საქმეში. პირიქით, არ უნდა დავიშუროთ ძალისხმევა, რათა, რაც შეიძლება მოკლე ვადაში გაიყიდოს ეს სისტემა. მიღებული თანხის მნიშვნელოვანი ნაწილით ხომ უშუალოდ დავალიანებათა დაფარვაა გათვალისწინებული, — განაცხადა დასასრულ გიორგი არსენიშვილმა.

საქინფორმი.

გიორგი არსენიშვილი ჩინეთში ვიზიტს გეგმავს

საქართველოს სახელმწიფო მინისტრი გიორგი არსენიშვილი, სავარაუდოდ, ივნისში, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილის ლი ლანცინის მიწვევით ოფიციალურ ვიზიტად ჩინეთს ეწვევა.

ჩვენს ქვეყანაში ჩინეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ჩუან ინც იუანს 15 მაისს გამართულ შეხვედრაზე გიორგი არსენიშვილმა გულითადი მადლობა გადაუხადა მიწვევისათვის და აღნიშნა, რომ საქართველოსა და ჩინეთის ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობა კიდევ უფრო უნდა გაღრმავდეს. ამ ძალისხმევის ერთ-ერთი დასტური რამდენიმე ხნის წინათ საქართველოში ჩინეთის დელეგაციის ვიზიტი გახდა, რომელსაც სწორედ ლი ლანცინი ხელმძღვანელობდა.

— საგულისხმოა, რომ დამოუკიდებელ საქართველოში პირველი ჰიდროელექტროსადგური სწორედ ჩინეთის დახმარებით შენდება, ეს ფაქტი ორი ქვეყნის მეგობრობისა და პარტნიორობის ნათელი მაგალითია. ვიმედოვნებ, რომ სამომავლოდ ჩვენს ქვეყნებს შორის არაერთი ეკონომიკური და კულტურული პროექტი განხორციელდება, — განაცხადა გიორგი არსენიშვილმა.

საქინფორმი.

სიტუაცია

შვიდი პარასკევი კვირაში

(პირველი გვერდიდან)

თვითმმართველობა — ადგილებზე არჩევითი ხელისუფლების მოსვლა (ეს ყველაზე მეტად დაიხსომეთ: — ყველაზე ბოლოა! — ბ. გ.). ასე თანდათანობით ნამდვილად უკეთესობისაკენ შეიძლება. (ასეა დედანში — ბ. გ.). აქედან პირველი და ყველაზე აქტუალური დღეს მინისტრთა კაბინეტის ფორმირებაა (გავიმეოროთ: პირველი და ყველაზე აქტუალური — ბ. გ.)".

მოლამ 10 წლის შემდეგ, კაცური პრინციპით ისევ ადრინდელი გაიმეორა. აკაკი ასათიანმა კი თვენახევრის შემდეგ „პლასტინკა" გადაატრიალა...

გადავშალოთ იგივე „ახალი თაობა" (15 მაისი, №131, გვ. 3).

„ — *ბატონო აკაკი, როგორც თქვენ, საპარლამენტო ბირჟაზე ვაჭრობა დაიწყო, ვაჭრობის საგანი კი, ალბათ, პრემიერ-მინისტრის თანამდებობა იქნება.*

— ჩემთვის პრემიერ-მინისტრის თანამდებობა და მინისტრთა კაბინეტი არ არის მთავარი (ეს ხომ პირველი ნაბიჯი იყო? — ბ. გ.). ჩვენ თვითმმართველობას ვითხოვთ (ეს ხომ ბოლო იყო? — ბ. გ.), მერების, გამგებლების, გუბერნატორების დანიშვნას. ამის შემდეგ ვილაპარაკოთ მინისტრთა კაბინეტზე.

— ფიქრობთ ამისათვის მზად არის ხელისუფლება და პარლამენტი? არც პარლამენტშია ამ მხრივ ერთიანობა.

— ჯერ ვერ ვატყობ, რომ ხელისუფლება მზად იყოს ამ კანონის მისაღებად (აბა, რაზე ილაპარაკა პრეზიდენტმა ოთხი საათი? — ბ. გ.). თვითმმართველობის არჩევნები ოქტომბერ-ნოემბერში უნდა ჩატარდეს. თუ დემოკრატიაზეა საუბარი, მაშინ რეალურ ცვლილებებს გულისხმობს, თორემ ამ ეტაპზე მინისტრთა კაბინეტი გადაჯგუფებას ნიშნავს. ჩვენ კი ეს არ გვაინტერესებს. ჩვენ ხომ ვიცით, ვის შეიყვანენ ახლანდელ მინისტრთა კაბინეტში?".

ააა, აი, სად ყოფილა ძაღლის თავი დამარხული. თურმე უკვე იციან, ვის შეიყვანენ ახლანდელ მინისტრთა კაბინეტში. საიდან იციან? ვინ ჩაუკაკლათ? ინტუიციით ხვდებიან? ყოჩაღ!

იმ წინა ინტერვიუში აკაკი ასათიანს ჰკითხეს:

„ — *პრემიერ-მინისტრის პოსტზე თქვენ თავს ხომ არ მოიაზრებთ?*

— ახლა ვერაფერით, მაგრამ მომავალში პარტია იბრძოლებს... თუ ჩემი პარტია გაიმარჯვებს, ან სხვა პარტიასთან კოალიციას შექმნის, პოლიტიკოსი იმისაა, რომ მას ასეთი სურვილი აქვს. ყოველ შემთხვევაში, ნორმალურ პოლიტიკოსს ასეთი სურვილი უნდა ჰქონდეს. არა მგონია, ვერ შევძლო ამის გაკეთება. ყოველ შემთხვევაში, სხვაზე უარესი არ ვიქნები (კიდევ ერთხელ, ყოჩაღ! — ბ. გ.)".

ესე იგი, აშკარად არა, მაგრამ ფარულად მაინც იყო დამიზნება პრემიერ-მინისტრის სავარძელზე. სხვას აბა, რას ნიშნავს, — „არა მგონია, ვერ შევძლო ამის გაკეთება. ყოველ შემთხვევაში, სხვაზე უარესი არ ვიქნები?" დიახ, სწორედ ამას ნიშნავს. ქვეყნის პრეზიდენტმა კი ამ შაბათს პარლამენტში კატეგორიულად თქვა: **„მარწმუნებდნენ, რომ მინისტრთა კაბინეტის შექმნა აუცილებელია. თუ თავის თავს გულისხმობდნენ, ძალიან ცდებოდნენ, რადგან მე უნდა ავარჩიო პრემიერ-მინისტრი და არა — თქვენ".**

მორჩა, მოიჭრა ყველა გზა ჩარჩვაჭრობისა, შეთავაზებ-შემოთავაზებისა, თორემ... დაითვლით რამდენი „ნორმალური პოლიტიკოსია" საქართველოში და რამდენს სურს მათგან პრემიერ მინისტრობა? აუჰ, ნამდვილად ვერ დაითვლით. ათასი? ათი ათასი? ალბათ მეტი...

— ვახტანგ რჩეულიშვილს რა აქვს სათქმელი? — იკითხა ქვეყნის პრეზიდენტმა იმავე შაბათს პირველი სოციალისტ-კაპიტალისტის გამწარებული გამოსვლის გამო.

რა აქვს და...

ერთ-ერთ ტელეინტერვიუში ვახტანგ რჩეულიშვილს ჰკითხეს:

„— *როგორი უნდა იყოს პრემიერ-მინისტრი?*

— როგორი და, ედუარდ შევარდნაძე რომ რომელიმე მინისტრის კანდიდატურას შესთავაზებს, თუ არ მოსწონს, ეს კანდიდატურა უკან უნდა გადაუგდოს...

— ვინ მიგაჩნიათ ასეთ პიროვნებად?

— მაგალითად, ქვანია... მაგალითად, მე..."

პოდა, როცა ეს „მე" არ გავა, იტყვიან, აბა, არ იტყვიან (იმავე „ახალ თაობაში"):

„საქართველოში აღმასრულებელი ხელისუფლება არ არსებობს — არსებობს უამრავი დაქსაქსული და ურთიერთდაპირისპირებული სამინისტრო, რომელთაც სათავეში უდგას ასევე გაურკვეველ ვითარებაში მყოფი პრეზიდენტი. შევარდნაძემ დროზე მიხედოს იმ დომხალს, რომელსაც რატომღაც საქართველოს მთავრობას ვუწოდებთ, თორემ..."

გაიგეთ?

თუმცა ამას რაღა გაგება უნდა?

ბონდო გულიაშვილი.

„გულმავიწყები" ვერ იხსენებენ

(პირველი გვერდიდან)

— ის მოდელი, რაც პრეზიდენტმა შემოგვთავაზა, ჩვენთვის მიუღებელია, — აცხადებს „ახალი ფრაქცია".

პრეზიდენტის შემოთავაზებული მოდელით უკმაყოფილოა საპარლამენტო უმცირესობის ლიდერი ჯემალ გოგიტიძე, თუმცა იგი არც ოპოზიციით არის კმაყოფილი. მისი თქმით, საპარლამენტო თუ არასაპარლამენტო ოპოზიცია ამბიციებმა დააცალკევა და დააჩანაკა.

დათმობა თუ არა ოპოზიციას მომავალი მინისტრთა კაბინეტში გარკვეული ადგილები? მოქკავშირის ახალგაზრდა რეფორმატორების აზრით, უკეთესია საკონსტიტუციო ცვლილებები ჩავარდეს, ვიდრე ოპოზიციასთან გარიგება მოხდეს. ვასილ მაღლაფერიძე მიიჩნევს, რომ თუ ოპოზიციასთან მოხდება გარიგება, ამ შემთხვევაში ჭრელი და უარესი ბალანსით შედგენილ მთავრობას მივიღებთ და რაც მთავარია, გუნდური პასუხისმგებლობის პრინციპი არ იარსებებს.

— საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელების კატეგორიულად წინააღმდეგი ვარ. ვიბრძოლებ იმისათვის, რომ პრემიერ-მინისტრი არავინ არ გახდეს, რათა არ შეიცვალოს კონსტიტუცია, — ამბობს კობა დავითაშვილი. არადა, დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, ის მინისტრთა კაბინეტის შემოღებასთან დაკავშირებით ხელმოწერებს რომ აგროვებდა. მოკლედ, ერთი წლის წინათ მინისტრთა კაბინეტის შემოღების მსურველები პოზიციიდან თუ ოპოზიციიდან მხოლოდ მისი შემოღებით კმაყოფილდებოდნენ, ახლა კი ისეთი მთაბეჭდილება რჩება, წამოყენებულ პირობებს მართლაც ვაჭრობისთვის იყენებენ.

— ჩვენ მინისტრთა კაბინეტზე მხოლოდ მაშინ ვისაუბრებთ, თუ მთლიანად იქნება დაკმაყოფილებული ჩვენი მოთხოვნები — თვითმმართველობა, მერების და გუბერნატორების არჩევითობა, თუკი თვითმმართველობის არჩევნების გადადება დღის წესრიგში დადგება, მაშინ საყოველთაო-სახალხო მოთხოვნით ხელისუფლებას ვაიძულებთ გადადგეს, — აცხადებს ტრადიციონალისტთა ლიდერი აკაკი ასათიანი.

თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ ტრადიციონალისტებისაგან განსხვავებით ოპოზიცია ვადამდელი არჩევნების საკითხსაც აყენებს.

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: თუკი ეს მართლა პოლიტიკური ვაჭრობა არ არის, რატომ დაიჟინეს ასე ვადამდელი არჩევნები? საპარლამენტო ოპოზიციას შეუძლია უარი თქვას პარლამენტარობაზე, რაც პარლამენტის დაშლას გამოიწვევს. ამას კი, ბუნებრივია, ახალი პარლამენტის არჩევა მოჰყვება. თუკი მართლა ფიქრობენ, რომ ვადამდელი არჩევნები გამოასწორებს. სიტუაციას, რატომ არ დაიხურავენ ქუდს?

საქმე ის არის, რომ წასვლა, რა თქმა უნდა, ხელს არ აძლევთ.

მზია გელენავა.

დოკუმენტი

არ ეწინააღმდეგება არც საქართველოს კონსტიტუციას, არც ქვეყანაში მოქმედ კანონმდებლობას

საქართველოს პრეზიდენტის 26 აპრილის №155 ბრძანებულებას სააქციო საზოგადოება „ჭიათურმანგანუმსა" და ზესტაფონის „ფეროშენადნობთა" ქარხანაში მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გადაუდებელ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ, დოკუმენტის მნიშვნელობიდან გამომდინარე, საკმაოდ დიდი რეზონანსი მოჰყვა. იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლებმა საჯაროდ გამოხატეს თავიანთი პოზიცია ამ საკითხისადმი და განაცხადეს, რომ შესაძლებელია ეს ბრძანებულება ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კონსტიტუციასა და მოქმედ კანონმდებლობას. საქართველოს პრეზიდენტის დავალებით იუსტიციის სამინისტრომ სახელმწიფო კანცელარიაში წერილობით წარადგინა თავისი პოზიცია.

15 მაისს კანცელარიის იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელმა მაია ცაცანაშვილმა, იუსტიციის სამინისტროს განცხადების შესწავლის საფუძველზე გაკეთებული შესაბამისი ცნობა სახელმწიფო კანცელარიის უფროსთან პეტრე მამრაძესთან გამართულ შეხვედრაზე წარმოადგინა. შეხვედრას ესწრებოდნენ იუსტიციის მინისტრის მოადგილე ირაკლი ოქრუაშვილი, სამინისტროსა და კანცელარიის იურიდიული სამსახურის წარმომადგენლები (აღსანიშნავია, რომ ოქრუაშვილი სკანდალური განცხადების ერთ-ერთი ავტორი იყო).

— კანცელარიის იურიდიული სამსახურის დასკვნით საქართველოს პრეზიდენტის აღნიშნული ბრძანებულება სამართლებრივი და ფორმალური თვალსაზრისით აბსოლუტურად არ ეწინააღმდეგება არც საქართველოს კონსტიტუციას, არც ქვეყანაში მოქმედ კანონმდებლობას, — განაცხადა შეხვედრის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო კანცელარიის უფროსმა პეტრე მამრაძემ.

საქინფორმი.

რეგიონი

სიღარიბეში ჩაყვინთული სიმდიდრე

„ჭიათურმანგანუმში" გასაყოფი მხოლოდ რქები და ჩლიქებიღა დარჩა

(პირველი გვერდიდან)

ამას ბევრი სხვაც მოაყოლეს:

– ჩვენ არ მოვითხოვთ სს „ჭიათურმანგანუმიდან" გამოყოფას, მაგრამ აუცილებელია სამმართველო ცალკე სამეურნეო ერთეულად გაფორმდეს და თავისი ანგარიში ჰქონდეს. როგორი საქმეა, „ჭიათურმანგანუმის" მიერ დამზადებული მთლიანი პროდუქციის თითქმის ნახევარს ჩვენ ვიძლევით, მართვით კი სხვები გვმართავენ (თანაც როგორ გვმართავენ!). რატომ, დღემდე ვერ გაგვირკვევია. ისიც გაუგებარია, რატომ მომრავლდნენ „ჭიათურმანგანუმსა" და სამეთვალყურეო საბჭოში არასპეციალისტი და არაპროფესიონალი თბილისელები. ვითომ ჩვენს წარუმატებლობაზე ეწვებათ გული და საქმის ამოსაწევად გვეწვიენ?

– დიახ, არაპროფესიონალიზმი მოეძალა სამთო წარმოებას, რომლის შედეგებს კარგა ხანია ვიმკით. აი, ნახეთ, „ჭიათურმანგანუმის" ხელმძღვანელობა სულ რომ გადაქექოთ, პროფესიონალს, როლანდ გოცაძის გარდა, თითქმის ვერავის წააწყდებით. თავის დროზე წარმოებას პროფესიულად უძღვებოდა ნიკო შეყლაშვილი (ყოფილი გენერალური დირექტორი), მაგრამ რატომღაც თავიდან მოიცილეს. ცენტრალური აპარატი კი იბერება და იბერება არაკვალიფიციური და შემთხვევითი ადამიანებით, რომლებიც ხშირად კვალიფიციურ სპეციალისტებზე გაცილებით მეტ ანაზღაურებას იღებენ.

– ყოველივე ამან, – განაცხადა ზეინკალმა იუზა გაფრინდაშვილმა, – მუშაობის ხალისი დაგვიკარგა. უთაური ხელმძღვანელობის გამო, სამუშაო უბნებზე აღარც მასალები გვაქვს, აღარც სათადარიგო ნაწილები, საპონიც კი აღარ შემოაქვთ, რომ ხელები გადავიბანოთ. ადგილობრივი, ქუთაისელი და თბილისელი ჩინოვნიკები მოვლენ, ყველაფერს დაგვპირდებიან, მაგრამ მერე არაფერს ასრულებენ. მახსოვს, ერთხელ პრეზიდენტმა თქვა, ჩემი რეზიდენციიდან გამორთეთ დენი და ჭიათურას მიეცითო. ეს ვისაც უნდა გაეგო, ყური მოიყრუა. ამ წელიწადში მხოლოდ 5 დღეს გვქონდა ელექტროენერგია – 1 იანვარს, 14 იანვარს, 30 იანვარს, 14 და 15 აპრილს. ასეთ პირობებში რა უნდა გვემუშავა, მაგრამ რაც ვიმუშავეთ, იმასაც რომ არ გვაძლევენ? შარშან დეკემბერში, მაგალითად, წაიღეს 280 ათასი დოლარის ღირებულების კონცენტრატი, რომელიც გაყიდეს, ფულიც აიღეს, მაგრამ იქიდან ერთი თეთრიც არ მოგვცეს.

– სამ ათეულ წელზე მეტია მაღაროში ვმუშაობ, – გააგრძელა საუბარი გვირაბგამყვანმა რეზო გაბრიჩიძემ, – დიდი სურვილი მაქვს ყოველდღიურად მქონდეს საქმე, მქონდეს ნორმალური კვება და საყოფაცხოვრებო პირობები, მაგრამ სად არი. სოფელ ვანიდან, სადაც მე ვცხოვრობ, ავტობუსი არ მოძრაობს. კიდეც რომ დადიოდეს, სამგზავრო ფული არა მაქვს და იძულებული ვარ ყოველდღიურად 19 კილომეტრი ფეხით გავიარო. მოვდივარ და ისიც არ ვიცი, სამუშაო დამხვდება თუ არა. უფრო უარესი კი ის არის, რომ ჩვენი გასაჭირი არავის აწუხებს, მათ შორის პარლამენტსაც, რომელმაც დღემდე ვერ მიიღო კანონი პენსიის შესახებ. განსაკუთრებით სამთოელები ველოდებით ამ კანონს, რომლისგანაც დიდ შეღავათებს მოველით. აი, ვინც 14 ლარი პენსია დანიშნა, ის ორი დღე მაინც უნდა ამუშაო მაღაროში, რომ მიხვდეს, რა მძიმე შრომას ვეწევით.

– როგორ ფიქრობთ, რამ მიიყვანა ერთ დროს მდიდარი „ჭიათურმანგანუმი" ასეთ უკიდურეს გაჭირვებამდე? – ვკითხე გიორგი ქიტიაშვილს, ამ გამოცდილ, ენერგიულ და ნაჯაფ ხელმძღვანელს, როცა მარტონი დავრჩით.

– საწარმოს არასწორმა, უფრო სწორად, უთაურმა და უგერგილო მართვამ. ასეთი მენეჯმენტის პირობებში, როცა ყველას გაკვრა-გაგლეჯაზე უჭირავს თვალი, აბა მითხარით, წარმოებას რა სიკეთე დაეყრება? აკი არც დაეყარა, იგი, ფაქტობრივად, გაკოტრებამდე მივიდა.

მახსოვს, ერთ პერიოდში „ჭიათურმანგანუმთან" რაღაც კონტაქტები დაამყარა კომპანია „ალიონ ჰელიუსმა", რომელსაც ჭიათურაში საწვავი მასალები და ელექტროენერგია შემოჰქონდა. ეს „პარტნიორობა" იმით დასრულდა, რომ „ჭიათურმანგანუმმა" „ჰელიუსიდან" 63 ათასი დოლარი ვალი აიკიდა. შემდეგ, როგორც ჩანს, ეს ვალი სარფიან ფასად – 10 ათას დოლარად იყიდა შპს „ჯი და ემ



ენერჯი კორპორეიშენმა", რომელმაც შემთხვევა ხელიდან არ გაუშვა და „ჭიათურმანგანუმის" გაკოტრების თაობაზე სასამართლოში სასწრაფოდ სარჩელი შეიტანა.

თავისთავად ეს ფაქტი (გაკოტრება), თუ სწორად გამოვიყენებთ, შეიძლება კიდევაც წაგვადგეს (გარკვეული მოგების დაგროვებამდე ყველა კრედიტორს ჩამოგვაცილებს), მაგრამ ამან მშრომელებში უსიამოვნო რეაქცია გამოიწვია. „ჭიათურმანგანუმს" მათი ხომ გაუცემელი ხელფასების სახით, ფაქტობრივად, 3 მილიონამდე ლარი მართებს. მაშინ ჩვენ შევიტანდით სასამართლოში სარჩელს და გაკოტრების პროცესს ჩვენვე წარვმართავდით. როგორ ფიქრობთ, ჩვენ უფრო დავიცავდით „ჭიათურმანგანუმის" ინტერესებს, თუ ის ვიღაც „ჯი და ემ ენერჯი კორპორეიშენი"?

– ინვესტორებზე რას იტყოდით?

– სასიკეთოს ვერაფერს, ერთი მხრივ, არასწორმა მენეჯმენტმა, ხოლო, მეორე მხრივ, თაღლითმა ინვესტორებმა დააქციეს „ჭიათურმანგანუმი" და მასთან ერთად ჭიათურელების ეკონომიკა. არ დავმალავ, სიხარულით ცას ვეწიეთ, როცა ჩეხეთის კომპანია „საგა-პრინტმა" სს „ჭიათურმანგანუმის" აქციათა პაკეტი იგდო ხელთ და ქალაქში მამლის ფაფხურით შემოაბიჯა. პირველ ხანებში მართლაც არაერთი სასიკეთო ნაბიჯი გადადგა. საწარმოს ოფიციალურად ჩაბარების შემდეგ 70 ათას დოლარად ღირებული საბრუნავი საშუალებები შეუძინა, მერე ამას „ხელის მოსაბრუნებლად" 15 ათასი დოლარიც წაუმატა, თანაც მუშაკებს თითო თვის ხელფასი დაურიგა.

მაგრამ გამოხდა მცირე დრო და „საგა-პრინტის" საინვესტიციო პროგრამა საპნის ბუშტივით გასკდა. ასევე გასკდა და გაცამტვერდა (ეს უკვე მერამდენედ) ჭიათურელი სამთოელების იმედი და რწმენა. წარმოების მოცულობის გაფართოება, მარკეტინგის სრულყოფა, კრედიტორების გასტუმრება, ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარება და უამრავი სხვა რამ, რასაც ხელშეკრულება ითვალისწინებდა, ჰაერში გამოეკიდა. თვითონ განსაჯეთ, როცა „საგა-პრინტი" ჭიათურაში შემოვიდა, „ჭიათურმანგანუმს" 15 მილიონ ლარამდე ვალი ჰქონდა, მისი წასვლის შემდეგ კი ეს ციფრი 32 მილიონამდე გაიზარდა. თუ ნაღდი ინვესტორი იყო, ვალები დამძიმების მაგივრად ხომ უნდა შეემსუბუქებინა?

ახლა მთელ საქართველოში ლაპარაკობენ, ჭიათურელებმა ინვესტორი გააგდესო. კი არ გავაგდეთ, წავიდა და მოსვლის პირი რომ არ ჰქონდა, აღარ დაბრუნდა.

– მაგრამ ხომ შეგეძლოთ ინვესტორის შესაძლებლობები წინასწარ აგეწონ-დაგეწონათ და საწარმოში მერე შემოგეშვათ?

– ვინ რა გვკითხა, თორემ კი. საერთოდ, კოლექტივისთვის არაფერი უკითხავთ. „საგა-პრინტი" ქონების მართვის სამინისტრომ მოიყვანა და დაგვისვა, თან დაამატა – დიდებული ინვესტორია და აგაშენებთო. თუ როგორ აგვაშენ-დაგვამშვენა, ამას დღეს ყველა ხედავს, მაგრამ რაღადროსია. თურმე ფულის საშოვნელად მოსულან, ჩვენ კი გვეგონა საწარმოს სამართავად და ჭიათურელთა საკეთილდღეოდ მოდიოდნენ.

ოთარ ხუციშვილი.
(გაგრძელება იქნება).

რკინიგზა

იცის, რომ ქვეყნის სასიკეთო საქმეს აკეთებს

ბათუმელები თითქმის ყოველ სისხამ დილით ნახულობენ ლიანდაგების გასწვრივ მიმავალ კაცს, რომელიც ყოველ მტკაველ ლიანდაგს საგულდაგულოდ ჩაჰკირკიტებს, ნელ-ნელა მოიწევს სადგურ ბათუმი-სატვირთოს ოფისისკენ და როცა თავზე დაათენდება, კაბინეტის კარს შეაღებს და გვიან საღამომდე, თუ რამე საგანგებო არ მოხდა, არსად გადის. მას იცნობენ და უყვართ, პროფესიონალ რკინიგზელად მიიჩნევენ. ეს პიროვნება სადგურ ბათუმი-სატვირთოს უფროსი, მუდამ ღიმილიანი თამაზ ანთაძე გახლავთ.

– ჯერჯერობით ფეხით დავდივარ, ლიანდაგებს, განძელებს, საერთო გზის მდგომარეობას ვამოწმებ, – გვიყვება ბატონი თამაზი, ჯერჯერობით-მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ ჩვენი უწყების კომპიუტერიზაცია დაწყებულია და სულ მალე საშუალება გვექნება ყველა პროცესი იქიდან ვმართოთ, მაშინ უკვე ლიანდაგებში სიარული აღარ დაგვჭირდება.

თამაზ ანთაძე იხსენებს იმ დღეებს, როცა სამოქალაქო ომი მძვინვარებდა, ირგვლივ ყველაფერი ინგრეოდა და იძარცვებოდა, მაგრამ რკინიგზას მუშაობა მაინც არ შეუწყვეტია. მას მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა, დანგრეული აღსდგა, მაგრამ იმ დროის ულმობლობისგან გაცვეთილი ლიანდაგები მაინც თავისას ითხოვს, უფრო კი მიმღები ლიანდაგები, რომელზეც ყველაზე მეტია დატვირთვა. მათი გამოცვლა აუცილებელია, რადგან თითოეული 20-30 წლისაა და საქართველოს რკინიგზის მესვეურთა თაოსნობით ეს უკვე იგეგმება კიდეც.

თამაზ ანთაძე უბრალო კაცია, უამბიციო და სხვისი ღირსების დამფასებელი. იგი მადლიერებას ვერ მალავს საქართველოს რკინიგზის გენერალური დირექტორის აკაკი ჩხაიძის მიმართ, რომელსაც არაერთი კეთილი საქმის წამომწყებად მიიჩნევს.

ვთვლი, რომ ადამიანს დამსახურება არ უნდა დაუკარგო, – ამბობს ბატონი თამაზი, – ყოველთვის უნდა დაუფასო სიკეთე, რომელსაც უანგაროდ აკეთებს. ჯერ კიდევ კომუნისტების დროს ვერავინ გაბედა ქალაქ ბათუმის შუაზე გამყოფი ლიანდაგების აყრა. ეს გაკეთდა ბატონ ასლან აბაშიძის ინიციატივით. საერთოდ ჩვენ ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ყურადღებას და დახმარებას არ გვაკლებს, მაგრამ არის საკითხები, რომელიც უშუალოდ საქართველოს რკინიგზის გადასაწყვეტი და გასაკეთებელია. ასეთია ბათუმის ვაგზლის მომავალი შენობა, რომელიც მაკეტის მიხედვით ერთ-ერთი ულამაზესი იქნება.

თამაზ ანთაძეს წუწუნი არ უყვარს. საქმის კეთება ურჩევნია ტყუილუბრალო ლაპარაკსა და დროის დაკარგვას, ეს მის ოფისსაც ეტყობა. იმ ადგილზე, სადაც ადრე ტრიალი მინდორი, ბარაკის ტიპის სახლები და მომცრო საბოსტნე ნაკვეთები იყო, დღეს სადგურ ბათუმი-სატვირთოს ლამაზი ფეშენებელური ოფისი დგას. დეკორატიული ყვავილებით დამშვენებული ეზო მიგიყვანთ სადგურის უფროსთან, რომელიც თვლის, რომ კარგი იერსახე ბევრ რამეს მატებს სამსახურს. დამკვეთები, უცხოელები იქნებიან თუ ადგილობრივები, ერთი შეხედვით აკეთებენ დასკვნას, როგორ ადამიანთან აქვთ საქმე, შეიძლება თუ არა მისი ნდობა. თუ ხელმძღვანელი თადარიგიანი, ყაირათიანი და წესრიგის მოყვარულია, სილამაზის დანახვა და დაფასება შეუძლია, ის ნებისმიერ საქმიან ურთიერთობაში საიმედო იქნება, – ასე სწამს და სჯერა თამაზ ანთაძეს, რომელსაც ზეპირად ახსოვს ტვირთბრუნვის მონაცემები, 1996 წელთან შედარებით იგი თითქმის მილიონნახევარი ტონით გაიზარდა. არის მშრალი ტვირთებიც, მაგრამ ნავთობპროდუქტები ჭარბობს. წლეულს 7,5 მილიონი ტონა ტვირთის გადატანას ვარაუდობენ საქართველოს რკინიგზის მხოლოდ ბათუმის სადგურიდან. ტერმინალის რეკონსტრუქციაც მალე დამთავრდება და ტვირთების გადაზიდვა წლიურად 9-10 მილიონ ტონამდე გაიზრდება. საამისოდ ნიადაგი უკვე მზადდება, დაწყებულია კომპიუტერიზაცია...

თამაზ ანთაძემ რკინიგზაში თავიდან ტვირთის მიმღებ-ჩამბარებლად დაიწყო მუშაობა. მას შემდეგ არ დარჩენილა საქმე, რომ არ გამოეცადოს და არ აეთვისებინოს. ეამაყება, რომ ნებისმიერი სარკინიგზო საქმის კეთება შეუძლია სხვის დაუხმარებლად. მეისრეობა, დისპეტჩერობა, ლიანდაგებისა და ვაკისის მდგომარეობის სწრაფად განსაზღვრა. თუმცა, დღეს სხვა მოვალეობა აკისრია, რომელიც გაცილებით მასშტაბურია. ნატვრად ჰქონდა გადაქცეული ერთიანი გუნდი შეექმნა და ეამაყება, რომ ეს შეძლო კიდეც. ოჯახიც სანაქებო ჰყავს – მეუღლე მარინა ღოლიძე მედდად მუშაობს, ერთი ვაჟი – ჯემალი ტექნიკური უნივერსიტეტის პირველკურსელია, მეორე – ჯაბა, მეშვიდეკლასელი.

თამაზ ანთაძე დღესაც იხსენებს რკინიგზაში სამუშაოდ ძმამ როგორ მიიყვანა, მაგრამ საკუთარ მოძღვრად მაინც ელგუჯა შარაბიძეს მიიჩნევს, თვლის, რომ დღესაც, ხანში შესული რკინიგზელის რჩევა-დარიგება მეტად ფასეულია მისთვის.

1883 წელს დაარსებულა სადგური ბათუმი-სატვირთო, პირველ ოფისში პირველი მაგიდა რომ შემოუტანიათ, იმას გაუკეთა რესტავრაცია თამაზ ანთაძემ და დღესაც მასზე მუშაობს. კედლებს კი XX საუკუნის დასაწყისის ბათუმის რეპროდუქციული გამოსახულება უმშვენებს. რაგინდ დაღლილი იყოს, შეხედავს მათ და ახალი ძალით და ენერგიით ივსება, იცის, რომ ოჯახისა და ქვეყნის საკეთილდღეო საქმეს აკეთებს.

ნინო გელოვანი.

ჰუმანიტარული ტვირთები. ინვესტიციები...

საბაჟო დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის მონაცემებით, 2000 წელს წინა წელთან შედარებით გავრცელებული შეღავათებით შემოტანილი დაუბეგრავი ტვირთების მოცულობა თითქმის 40 პროცენტით გაიზარდა. 1999 წელთან შედარებით 2000 წელს ჰუმანიტარული დახმარების სახით შემოტანილია 8,5 მილიონი ამერიკული დოლარის ღირებულებით მეტი საქონელი, რამაც სულ 61,1 მილიონი დოლარი შეადგინა. გრანტებით, შესაბამისად შემოტანილია 14 მილიონი ამერიკული დოლარის ღირებულებით მეტი საქონელი და 21,3 მილიონი დოლარი შეადგინა; გარდა ამისა კანონმდებლობით გათვალისწინებული შეღავათებით 2000 წელს შემოტანილია 30,1 მილიონი ამერიკული დოლარის ღირებულების საქონელი, რამაც სულ 155,5 მილიონი დოლარი შეადგინა.

საქონელბრუნვა გაიზარდა

სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, 2001 წლის იანვარ-მარტში საქონელბრუნვა საქართველოსა და თურქეთს შორის გაიზარდა 2000 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით და 12.654 ათასი ამერიკული დოლარი შეადგინა. ამავე დროს იმპორტი კვლავ აღემატება ექსპორტს. კერძოდ, შემოტანილია 23.383 ათასი დოლარის საქონელი, საექსპორტოდ კი 7.728 ათასი დოლარის ნაწარმია გაგზავნილი.

როგორც ანალიზი გვიჩვენებს, თურქეთი გასული წლიდან მტკიცედ ინარჩუნებს ლიდერობას საქართველოს სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებს შორის.

ტურისტები გვიმრავლდებიან

მუდმივად იზრდება ინტერესი საქართველოსადმი, როგორც ევროპა-აზიის გზაჯვარედინზე მდებარე სატრანზიტო ქვეყნის მიმართ. სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, 2001 წლის პირველ კვარტალში ქვეყანას ეწვია 67 ათასი კაცი, რაც 1.100-ით მეტია გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. ტურისტთა რიცხვის ზრდა მოხდა, ძირითადად, ევროპის სახელმწიფოებიდან შემოსული სტუმრების რიცხვის გადიდების ხარჯზე.

ამავე დროს, იკლო რუსეთიდან ჩამოსულთა რიცხვმა, მაგრამ იმატა აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან, აგრეთვე უკრაინიდან ჩამოსულ ტურისტთა რაოდენობამ.

რაც შეეხება იმ კატეგორიის ადამიანებს, რომლებიც საქართველოში იმყოფებოდნენ 2001 წლის დამდეგიდან, ისინი, ძირითადად, არიან სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, ბიზნესმენები, პოლიტიკოსები და მოგზაურები.

ინფორმაციები მოგვაწოდა საქინფორმმა.

გზები

ქვეყნის სახე და ღირსება

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სატრანსპორტო კომუნიკაციების ქსელის განვითარებას. 90-იანი წლების დასაწყისიდან საქართველოში შექმნილმა სოციალურ-პოლიტიკურმა პროცესებმა მძიმე დაღი დაასვა საგზაო დარგის განვითარებას. მკვეთრად შემცირდა დაფინანსება, რამაც კატასტროფულად გააუარესა გზების ტექნიკური პარამეტრები. შეუძლებელი გახდა შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო ტვირთების შეუფერხებელი და უსაფრთხო გატარება. დაკნინდა და განადგურების გზაზე დადგა საგზაო დარგის საწარმოო ბაზა. დაიწყო კვალიფიციურ მუშათა და საინჟინრო კადრების გადინება.

დარგის ასეთი მძიმე მდგომარეობიდან გამოსაყვანად, დაფინანსების საიმედო წყაროების მოძიების მიზნით, საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის თავკაცი ბორის სარალიძე და მთელი კოლექტივი იძულებული გახდა გადაედგათ ჩვენი ქვეყნისათვის უცნობი, არაორდინარული ნაბიჯები, მსოფლიოს მრავალი ქვეყნის გამოცდილებაზე დაყრდნობით მომზადდა და საქართველოს პარლამენტმა 1995 წლის 2 სექტემბერს მიიღო კანონი „საქართველოში საგზაო ფონდის შესახებ", რითაც შეიქმნა ის მინიმალური ფინანსური რესურსები, რომლებმაც საშუალება მისცა დარგს დაეწყო გზების მოვლა-პატრონობა, განეხორციელებინა სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ფონდი დღემდე მოქმედებს, მაგრამ იმისათვის, რომ საქმიანობა იყოს გამჭვირვალე, როგორც დარგის მუშაკებისთვის, ასევე ქვეყნის მთელი მოსახლეობისთვის, მიზანშეწონილად მიიჩნიეს შექმნილიყო სახელმწიფო საგზაო ფონდის საკონსულტაციო, იგივე საზოგადოებრივი საბჭო, რომელიც თვალყურს ადევნებს ფონდის ფინანსური რესურსების სწორად განკარგვას, კრიტიკულად და ობიექტურად შეაფასებს დარგის მიმდინარე გარდაქმნას. საბჭო წელიწადში ორჯერ შეიკრიბება.

ამ დღეებში გაიმართა ზემოაღნიშნული საგზაო ფონდის საკონსულტაციო საბჭოს პირველი შეხვედრა, სადაც მოხსენებით წარსდგა საავტომობილო გზების [illegible] ვეღარ იარსებებდა, იქ შექმნილი უკიდურესი მდგომარეობა ვერ აღმოიფხვრებოდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია 1996-99 წლებში მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილი 7100 ათასი აშშ დოლარის კრედიტი, რომლითაც მოხერხდა 1300 კმ სიგრძის საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზების შეკეთება. გაიწმინდა ზვავები და მეწყერები, წყალმიმღები არხები. ნაწილობრივ აღდგა საგზაო ნიშნები და დამცავი ნაგებობები, ამავე თანხებით შეიძინეს საგზაო სამუშაოებისათვის აუცილებელი მოწყობილობა-დანადგარები, ხიდსაცდელი და ეკოლოგიური ლაბორატორიები, საბურღი მოწყობილობა, კავშირგაბმულობის სისტემები, ავტოსათადარიგო ნაწილები, საოფისე ტექნიკა და სხვა...

აღნიშნული კრედიტი 1999 წლის ბოლომდე უნდა ათვისებულიყო. ასეც მოხდა, თანაც დეპარტამენტმა შეასრულა ყველა ის პირობა, რასაც მსოფლიო ბანკი მოითხოვდა. კერძოდ, დაიწყო დარგსდაქვემდებარებული სახელმწიფო საწარმოების პრივატიზაციის პროცესი, რომელიც წლის ბოლომდე მთლიანად დასრულდება.

მსოფლიო ბანკის რეკომენდაციების გათვალისწინებით ფართოდ დაინერგა საგზაო სამუშაოების საკონკურსო წესით შესრულების პრაქტიკა. არსებული საგზაო-საექსპლოატაციო სამსახურების გამსხვილების გზით საავტომობილო გზები დაიყო ტერიტორიული პრინციპით, ზონებად, გამოცხადდა კონკურსები ყველა ზონაში (სულ საქართველოს გზები დაიყო ათ ზონად) და გაფორმდა 4-წლიანი კონტრაქტები გზების მოვლა-შენახვის სამუშაოებზე.

ევროგაერთიანების მიერ 1997- [illegible] ხრამზე, ე. წ. ისტორიული ძველი „წითელი ხიდის" გვერდით. ხიდის გახსნის ცერემონიალში მონაწილეობდნენ აზერბაიჯანისა და საქართველოს პრეზიდენტები, ევროგაერთიანების ელჩი საქართველოში, უცხო ქვეყნების წარმომადგენლები. შესრულებულმა სამუშაოებმა მაღალი შეფასება დაიმსახურეს, ცერემონიალზე აღინიშნა, რომ ამ ხიდის გახსნით გადაიდგა პირველი სერიოზული ნაბიჯი ძველი აბრეშუმის გზის აღორძინებისათვის.

ბატონ ბორის სარალიძის თქმით, 1996 წლიდან დღემდე საგზაო ფონდის შემოსავლების მოცულობები ყოველწლიურად ზრდის ტენდენციებით ხასიათდება.

კერძოდ, 1996-98 წლებში საგზაო ფონდის შემოსავლებმა ნავარაუდევს გადააჭარბა, 1999-2000 წლებში დაგეგმილი შემოსავლების გეგმაც შესრულდა.

სწორედ ამ თანხებით გახდა შესაძლებელი 1996-2000 წლებში ჩაეტარებინათ მნიშვნელოვანი მოცულობის საგზაო სამუშაოები, მოეწესრიგებინათ საერთაშორისო მნიშვნელობის მაგისტრალები, რომელთა ძირითად ნაწილზე დღეისათვის შესაძლებელია ტვირთებისა და მგზავრთა ნაკადების უსაფრთხოდ და შეუფერხებლად გადაადგილება.

მიუხედავად ბოლო წლებში გაწეული დიდი სამუშაოებისა, პრობლემები საქართველოს საავტომობილო გზებზე ჯერ კიდევ ბევ- [illegible] ნეს და ითვალისწინებს მხოლოდ ნაწილს იმ სამუშაოებისა, რომლებიც აუცილებელია საავტომობილო გზების მთელი ქსელის რეაბილიტაციისა და მოვლა-შენახვისათვის, სათანადო დონეზე ვერ სრულდება.

პროგრამის რეალიზაციის დაწყებიდან, 1997 წლიდან 2000 წლის პროგრამის ჩათვლით, გათვალისწინებული იყო 335,7 მლნ ლარის სამუშაოების შესრულება – ფაქტობრივად, დაფინანსების უკმარისობის გამო შესრულდა მხოლოდ 145 მლნ ლარის სამუშაოები, ანუ პროგრამის დეფიციტმა 190,7 მლნ ლარი შეადგინა. ამიტომაც დღეისათვის საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ქსელის 80 პროცენტი, ანუ 3850 კმ და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების 90 პროცენტი, ანუ 13900 კმ, საჭიროებენ სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას.

აღინიშნა, რომ მძიმე მდგომარეობა შეიქმნა 2001 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საავტომობილო გზების დაფინანსების საქმეში.

გადაუდებელი ხარჯების (გასული წლის დავალიანება 4,0 მილიონი ლარი, კრედიტების თანადაფინანსებისა და მომსახურების თანხები 12,4 მილიონი ლარი და სხვა) და საგზაო ფონდის შემოსავლებში მიმდინარე წლის მოსალოდნელი გარღვევის 13,6 მილიონი ლარის გათვალისწინებით საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზების მოვლა შენახვისათვის, რომელსაც განახორციელებენ ტენდერში გამარჯვებული კონცესიები, ნაცვლად კონტრაქტით გათვალისწინებული 24,8 მლნ ლარისა, შესაძლებელია მხოლოდ 6,0 მლნ ლარი წარიმართოს, რაც პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის ამ გზების განვლადობის უზრუნველყოფას.

იმისათვის, რომ შეინარჩუნონ საგზაო დარგის დაფინანსების 1999 წლის დონე, როგორც ამას მოითხოვს მსოფლიო ბანკთან დადებული სასესხებო ხელშეკრულება, საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტმა შე- [illegible]

ლალი ქინქლაძე.

იუბილე

ტორტი მმართველის კაბინეტში

გაზაფხულის ერთ ჩვეულებრივ, მზიან დღეს, დილით, სააქციო საზოგადოება „საქართველოს ელექტროკავშირის" ტერიტორიული ფილიალის „გორის ელექტროკავშირის" მმართველმა გივი სამადალაშვილმა თავისი სამუშაო ოთახის კარი რომ შეაღო, სახტად დარჩა: მაგიდაზე ლარნაკში გაზაფხულის მინდვრის ყვავილები, შორიახლო კი უზარმაზარი, სადღესასწაულო ტორტი და შამპანურის ბოთლები დაედგათ.

ახლაღა გაახსენდა: დღეს მისი დაბადების დღე იყო, ამასთან, ჩვეულებრივი კი არა, 50 წელი შესრულებოდა.

შემდეგ ის იყო, თანამშრომლებიც შემოვიდნენ მმართველის ოთახში, დაბადების დღე მიულოცეს და კვლავაც კოლექტივის ხანგრძლივი წინამძღოლობა უსურვეს. იუბილარმა გონების თვალი გადაავლო თავის ნახევარსაუკუნოვან გარდასულ დღეებს, არცთუ გრძელი აღმოჩნდა წუთისოფლის განვლილი გზა: სოფლის სკოლა, კოლმეურნეობის ბაღ-მინდვრები, საბჭოთა არმიაში გატარებული წლები, ყაზახეთის ყამირი მიწები, უკრაინის შაქრის ჭარხლის პლანტაციები და, აგერ, ოდესაც, კავშირგაბმულობის საკავშირო ელექტროტექნიკური ინსტიტუტი, რომლის დამთავრების შემდეგ, 1978 წელს, გივი სამადალაშვილმა მუშაობა დაიწყო გორის საქალაქთაშორისო-საერთაშორისო კავშირგაბმულობის გამაძლიერებელი სადგურის ინჟინრად, 1981 წლიდან – მთავარ ინჟინრად, 1985 წლიდან კი – კვანძის უფროსად.

1985 წლიდან გივი სამადალაშვილი სააქციო საზოგადოება „საქართველოს ელექტროკავშირის" შიდა ქართლის ტერიტორიული ფილიალის მმართველია. აღნიშნული ფილიალი რომ ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს ერთ-ერთი მოწინავე ქვედანაყოფია, კარგად ჩანს ბიუჯეტთან მისი ურთიერთობიდანაც.

შარშან ფილიალში სატარიფო შემოსავლების დავალება, რომელიც 336 ათას ლარს ითვალისწინებდა, 341,7 ათასი ლარით შესრულდა, მიმდინარე წლის პირველი კვარტალის დავალება კი 3060 ლარის გადაჭარბებით განაღდდა.

ფილიალმა შარშან ბიუჯეტში 183118 ლარი შეიტანა, წლეულს პირველ კვარტალში კი – 43100 ლარი, დავალების გადამეტებით – 700 ლარი.

ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, ავტომატიზაცია და კომპიუტერიზაცია, მუშა-მოსამსახურეთა სოციალური პირობების გაუმჯობესებისთვის ზრუნვა ტერიტორიული ფილიალის თავკაცების მუდმივი საქმიანობის საგანია.

ყველაფერი ამის გვირგვინი იყო საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის განკარგულება, რომლითაც ამ დღეებში საკომუნიკაციო საშუალებების განვითარებისთვის, საბიუჯეტო შემოსავლების სტაბილურ ზრდაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილის, მაღალი პროფესიონალიზმისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი საქმიანობისათვის გივი სამადალაშვილი ღირსების ორდენით დაჯილდოვდა.

გილოცავთ!

გურამ ვაშაკიძე,
„სრ" საკ. კორესპონდენტი.

უცხოური პრესა

ბაქო-ჯეიჰანის პროექტი უალტერნატივოა

კასპიის ზღვა და მისი შემოგარენი ნავთობის უზარმაზარ მარაგს მოიცავს. ნავთობის მაგნატები მას მეორე ქუვეითს უწოდებენ. მაგრამ ნავთობსადენთა მშენებლობამ, რომლის მეშვეობით „შავი ოქრო" ცენტრალური აზიიდან ევროპაში, ამერიკასა და შორეულ აღმოსავლეთში უნდა გაიტანონ, როგორც კონსორციუმთა, ასევე მთავრობათა ეპიკური ჭიდილი გამოიწვია, რაც კარგა ხნის მანძილზე მიმდინარეობდა.

მაგრამ, როგორც ჩანს, მარტის დასაწყისში ამერიკის მთავრობამ საბოლოოდ ყველაფერი გადაწყვიტა. ამის ნათელი დასტურია, რომ აზერბაიჯანის,. საქართველოს, ყაზახეთისა და თურქეთის მთავრობებმა ხელი მო- [illegible] გაივლის თბილისს და დამთავრდება ხმელთაშუა ზღვის თურქულ საპორტო ქალაქ ჯეიჰანში. დასაწყისში ეს დოკუმენტი თითქოს შორს იდგა საბოლოო გადაწყვეტილებისგან, რადგან ეს ვარიანტი ალტერნატიული იყო და შეიძლება შეცვლილიყო რუსული ან ირანული ვარიანტით, მაგრამ სადღეისოდ ეს მარშრუტი რეალურია და სრულიად დამაჯერებლად გამოიყურება.

ამის დასამტკიცებლად რამდენიმე მიზეზის მოყვანა შეიძლება. პირველი – აზერბაიჯანის მთავარი ნავთობკონსორციუმი (კონსორციუმის ხელმძღვანელია „ბრიტიშ პეტროლიუმი") მზად არის დააფინანსოს ნავთობსადენი და გაიღოს 2,3-2,7 მილიარდი ამერიკული დოლარი. კომპანიამ მზა- [illegible]

ალსანიშნავია, რომ „შევრონი" ფლობს ყაზახეთში თენგიზის ნავთობსაბადოს კაპიტალის 50 პროცენტს და ასევე აზერბაიჯანის ოფშორული საბადოების 20 პროცენტს.

მეორე ფაქტორი. გასულ ზაფხულს კასპიის ზღვის ყაზახურ აკვატორიაში აღმოჩნდა ახალი საბადო, სადაც ყაზახეთის ოფშორული ინტერნაციონალური კომპანია მუშაობდა და აწარმოებდა ბურღვით სამუშაოებს. ექსპერტები ამას მსოფლიოში ბოლო 30 წლის განმავლობაში ყველაზე მდიდარ აღმოჩენად თვლიან. ყაზახეთის პრეზიდენტმა ნურსულთან ნაზარბაევმა ამერიკის პრეზიდენტის მრჩეველს კასპიის ენერგორესურსების საკითხებში ელიზაბეტ ჯონსს განუცხადა, რომ ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენი უზრუნველყოფს ქაშაგანიდან პირველი ადრეული ნავთობის ექსპორტს. პროდუქციის მიწოდება მილებით 2005 წელს დაიწყება.

აქვე გასათვალისწინებელია ამერიკის სანქციები ირანის მიმართ. სანავთობო კომპანიები ვარაუდობენ, რომ სანქციებს ვადა [illegible] პროექტს განხორციელება არ უწერია. ამერიკული დიპლომატია იუწყება, რომ ირანი კარგა ხნის განმავლობაში ვერ აიძულებს ამერიკას სანქციები მოუხსნას ქვეყანას.

არსებობს კიდევ ერთი ფაქტორი, რომლის ძალითაც ბაქო-ჯეიჰანის პროექტი უალტერნატივოა. ახლად აგებული მილსადენი, რომელიც თენგიზის ნავთობსაბადოს რუსეთის შავი ზღვის პორტ ნოვოროსიისკთან აკავშირებს, ამ ზაფხულს ამოქმედდება და ყაზახური ნავთობის მთავარი საექსპორტო ხაზი იქნება. ამავდროულად არსებობს სხვა მომენტიც. ეს სადენი იმდენ ნავთობს ვერ გადაქაჩავს, რამდენსაც ყაზახური მხარე ამ წლებში ვარაუდობს.

რაც შეეხება რუსულ მხარეს, მას ამ საკითხებისადმი განსხვავებული მიდგომა აქვს – სასტიკად აკრიტიკებს ბაქო-ჯეიჰანის მარშრუტს. საკვირველია რუსული ნავთობკომპანიების პოზიცია, ისინი მოთმინებით შეჰყურებენ მოვლენებს და თავიანთ აკვატორიაში თუ ახალი საბადო აღმოაჩინეს, რაღა თქმა [illegible]

„ეკონომისტი",
№10-16, მარტი, 2001 წ.
ინგლისურიდან თარგმნა
მიხეილ ქუჯასელმა.

პოლიცია

გასული კვირის განმავლობაში საქართველოში რეგისტრირებულია 149 სისხლის სამართლის დანაშაული, რომელთაგან 111 უკვე გაიხსნა. წინა კვირასთან შედარებით მოხდა ერთით ნაკლები მკვლელობა, მაგრამ ცალკეულ რეგიონებში კვლავ დაძაბული რჩება კრიმინოგენური ვითარება.

გამოვლენილია 24 ჯგუფური დანაშაული, რომელშიც მონაწილეობდა 62 ბოროტმოქმედი, გაიხსნა წინა პერიოდის 12 და წინა წლებში ჩადენილი 42 დანაშაული.

ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურმა ერთი კვირაში გამოავლინა 59 დანაშაული, მათ შორის ნარკოტიკების რეალიზაციის 2 შემთხვევა.

„რამზანა“ და „თაო“ გაებნენ

პანკისის ხეობისა და ცხინვალის რეგიონის ნარკოვაჭართა ორი ლიდერი პოლიციამ დააკავა

14 აპრილს შსს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის რეალიზაციის შედეგად, დააკავეს თბილისში მცხოვრები ეთერ ბუდაღაშვილი, რომლის ბინიდანაც ამოიღეს სარეალიზაციოდ გამზადებული 20 გრამი ჰეროინი. განსაკუთრებით დიდი ოდენობის ნარკოტიკების ამოღების ფაქტს ფრიად საყურადღებო და დამაფიქრებელი გაგრძელება მოჰყვა.

შსს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს განყოფილების უფროსი, პოლიციის პოლკოვნიკი ზურაბ ჩაჩურიშვილი:

– ჰქონდა ინფორმაცია, რომ ეთერ ბუდაღაშვილი სისტემატურად გადადიოდა პანკისის ხეობაში. იქ ერთიდაიგივე პირისაგან – ვინმე „რამზანასაგან“ ყიდულობდა ჰეროინს, რომელსაც ასაღებდა თბილისში.

ეთერ ბუდაღაშვილი საკუთარ ბინაში უპრობლემოდ დააკავეს და სარეალიზაციოდ გამზადებული 20 გრამი ჰეროინიც იოლად ვიპოვეთ. მან მაშინვე განაცხადა, რომ ნარკოტიკები პანკისის ხეობიდან გადმოჰქონდა.

გვქონდა ინფორმაცია, რომ იმ დღეს ბუდაღაშვილთან „შეხვედრაზე“ უნდა მოსულიყო ერთი პიროვნება. იგი მართლაც მოვიდა. დაკავებული აღმოჩნდა რუსეთის ფედერაციის მოქალაქე, ეროვნებით ჩეჩენი ბესლან კუსტანაშვილი. ეთერმა განაცხადა, რომ ბესლან კუსტანაშვილი „რამზანას“ ძმაა და უკვე გაყიდული ჰეროინის ფულის წასაღებად იყო ჩამოსული. ამის დასამტკიცებლად მან მობილური ტელეფონით დაურეკა „რამზანას“ და შეატყობინა მისი ძმის დაკავების ამბავი. ამ სატელეფონო საუბარმა საბოლოოდ დაადასტურა ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაცია „რამზანას“ საქმიანობაზე.

ეთერ ბუდაღაშვილის წინააღმდეგ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. სასამართლომ მას განუსაზღვრა წინასწარი პატიმრობა. რაც შეეხება ბესლან კუსტანაშვილს, იგი შედარებით იოლად გადარჩა. რაკი დაკავების მომენტში ნარკოტიკებით იყო გაბრუებული, სასამართლომ კანონის შესაბამისად – ადმინისტრაციული წესით ფულადი ჯარიმა გადაახდევინა და გაათავისუფლა, რადგან მას ნარკოტიკების კონტრაბანდასა და რეალიზაციაში უშუალო მონაწილეობა არ ჰქონდა მიღებული.

როგორც ვთქვით, 14 აპრილის ისტორიას ამით არ დასმია წერტილი. შსს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს უფროსის გოჩა სისაურისა და ეროვნული ბიუროს უფროსის მოადგილის კახა მუხამაერიას ხელმძღვანელობით სასწრაფოდ დაიგეგმა პანკისის ხეობაში მოქმედ ნარკოვაჭართა ერთ-ერთი ლიდერის, ეროვნებით ჩეჩენის, რუსეთის ფედერაციის მოქალაქის, სოფელ ომალოში მცხოვრების ელიზბარ ფარეულიძის, იგივე „რამზანას“ დაკავების ოპერატიული ღონისძიება.

მკითხველს ცხადია, დააინტერესებს „რამზანა“ და მისი ღვიძლი ძმა ბესლანი რატომ ატარებენ სხვადასხვა გვარს. ჩეჩნური ტრადიციების მიხედვით, შეიძლება ერთმა შვილმა ატაროს მამის გვარი, მეორემ კი დედისა.

ორივენი დაბადებული არიან პანკისის ხეობაში. 1983 წლიდან მათი ოჯახი საცხოვრებლად გადავიდა შუა აზიაში, შემდეგ კი ყაზახეთში. 1998 წელს ისინი ჩეჩნეთში გადასახლდნენ. საქართველოში, კერძოდ, პანკისის ხეობაში კი ჩამოვიდნენ 2000 წლის დეკემბერში. „რამზანა“ მაშინვე ჩაება ნარკობიზნესში.

ეროვნული ბიუროს ოპერატიული ჯგუფი, რომელსაც სათავეში ედგა პოლიციის პოლკოვნიკი ზურაბ ჩაჩურიშვილი, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროს ინსპექტორთან ოლეგ მელნიკოვთან, უფროს ინსპექტორებთან გიორგი ჯაჭვაძესთან, კახაბერ ურუშაძესთან, გიორგი ჩიტიძესთან, დავით ჭანტურიასთან, შესაშური ალღოსა და გამბედაობის მქონე ახალგაზრდა ინსპექტორთან თამარ ძნელაძესთან, აგრეთვე, კახეთის პოლიციის მთავარი სამმართველოს შესაბამისი სამსახურის თანამშრომლებთან ერთად, მთელი ერთი თვის განმავლობაში ინტენსიურად, პროფესიულ დონეზე ახორციელებდა შესაბამის ღონისძიებებს ნარკოვაჭართა ლიდერის დასაკავებლად. ანგარიში კეთდებოდა იმაზე, რომ მგელი მგლობას არ მოიშლიდა. რაკი პარტნიორი – ეთერ ბუდაღაშვილი დაკარგა, „რამზანა“ თვითონვე შეეცდებოდა ნარკოტიკების გასაღებას პანკისის მიმდებარე ტერიტორიაზე. პოლიციელებს ოპერატიულმა ალღომ არ უმტყუნა. მათ შეიტყვეს, რომ „რამზანა“ 10 მაისს ხეობიდან სარეალიზაციოდ გამოიტანდა პეროინს, როგორ და, რა გზით, – ესეც დაადგინეს.

10 მაისს ეროვნული ბიუროსა და კახეთის სამხარეო პოლიციის ოპერატიული ჯგუფი თელავის რაიონის სოფელ რუისპირის განაპირას, ხიდთან ჩაუსაფრდა „რამზანას“. ოპერაციას კოორდინირებას უწევდა შს მინისტრის მოადგილე კახა ბაკურაძე, რომელიც იმ დღეებში კახეთში იმყოფებოდა პარლამენტარ პეტრე ცისკარიშვილისა და მისი მეგობარი გოგონას ანა სურმავას გატაცებასთან დაკავშირებით.

„რამზანას“ მოძრაობას პანკისიდანვე აკონტროლებდა პოლიცია, აყვანაც უცებ და გართულების გარეშე განხორციელდა. მას სარეალიზაციოდ გამზადებული 11,4 გრამი ჰეროინი აღმოაჩნდა. „რამზანასთან“ ერთად პოლიციამ დააკავა სოფელ მატანში მცხოვრები ნოდარ ექვთიმიშვილი და სოფელ ხალაწანში მცხოვრები როლანდ იმედაშვილი.

იმავე დღეს, 10 მაისს ნარკობიზნესის თვალსაზრისითაც მეორე „ცხელ წერტილში“ – ცხინვალის მიმდებარე ტერიტორიაზე ეროვნული ბიუროსა და შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს შესაბამისი სამსახურის თანამშრომლებმა დააკავეს კიდევ ერთი ცნობილი ნარკოვაჭარი – ცხინვალის რაიონის სოფელ გუჯაბაურში მცხოვრები, მრავალჯერ ნასამართლევი იური ხაჩიროვი, მეტსახელად „თაო“. მას სარეალიზაციოდ გამიზნული 42 ცალი ე. წ. „ბაშად“ დაფასოებული 16,7 გრამი ჰეროინი აღმოაჩნდა.

ზედ ცხინვალთან, კონფლიქტის ზონაში ყველასთვის ცნობილი მიზეზების გამო ერთობ რთული გახლდათ იქიდან გადმოსული ბოროტმოქმედის დაკავება. ოპერატიულმა ჯგუფმა, რომელსაც სათავეში ედგა ეროვნული ბიუროს განყოფილების უფროსი გოჩა ცირეკიძე და მონაწილეობდნენ განყოფილების უფროსის მოადგილე სოსო აგიაიანი, უფროსი ინსპექტორები იოსებ გვენეტაძე, ვასილ ზარიძე, გია აფციაური და ინსპექტორი ვენალი ფერაძე, წარმატებით გაართვა თავი ამ რთულ ამოცანას. განსაკუთრებით იმარჯვა პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკმა, ჭიდაობა ძიუდოში საერთაშორისო კლასის ოსტატმა იოსებ გვენეტაძემ. მან ელვისებურად შებოჭა და ავტომანქანაში შეტენა, ასევე მოჭიდავე, ას კილოგრამზე მეტი წონის ნარკოვაჭარი „თაო“ – იური ხაჩიროვი.

შსს ეროვნული ბიუროს თანამშრომლებმა გასულ კვირას ყალბი ფულის დამამზადებლის გამოვლენაშიც მიიღეს მონაწილეობა. თბილისში დააკავეს ეკა ბეჟანიშვილის ქუჩაზე მცხოვრები 26 წლის მამუკა ჯიბლაძე, რომელიც შინ, მის მიერ დამზადებული ყალიბების მეშვეობით კუსტარული წესით ამზადებდა ყალბ 20 და 50-თეთრიან მონეტებს და სავაჭრო ობიექტებში ასაღებდა თბილისში მცხოვრებ ნინო ცნობილაძესთან ერთად. პოლიციამ ჯიბლაძის ბინიდან ამოიღო 67 ცალი 50 თეთრიანი და 77 ცალი 20 თეთრიანი ყალბი მონეტა, აგრეთვე, ყალბი მონეტების დასამზადებელი ხელსაწყოები და მასალები.

ვალერიან გოგოლაშვილი.

სააქციო საზოგადოება „თბილსრესმშენი“ აცხადებს

2001 წლის 15 ივნისს, პარასკევს 14 საათზე სააქციო საზოგადოების სხდომათა დარბაზში შედგება აქციონერთა საერთო კრება.

დღის წესრიგი:

1. 2000 წლის საფინანსო-სამეურნეო ანგარიში.
2. მოგების განაწილება.
3. ორგანიზაციული საკითხები.

აქციონერთა რეგისტრაცია იწარმოებს 15 ივნისის დილის 9 საათიდან.

მისამართი: ქ. გარდაბანი, ალმაშენებლის ქ. №1.

სს „მოდების რესპუბლიკური ცენტრის“ აქციონერთა საყურადღებოდ!

აქციონერთა საერთო კრება, რომელიც დანიშნულია 2001 წლის 18 მაისს, ტექნიკური მიზეზების გამო გადადებულია. კრების დანიშვნის თარიღს გაუწყებთ პრესის საშუალებით.

ადმინისტრაცია.

განცხადება

სს-ის მორიგი კრების მოწვევის შესახებ

სააქციო საზოგადოება „ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის“ გენერალური დირექტორი იწვევს სს-ის აქციონერებს მორიგ საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება 2001 წლის 6 ივნისს ქ. ზესტაფონში, საქარხნოს ქ. №9-ში 14 საათზე.

დღის წესრიგი:

1. 2000 წლის წლიური ანგარიშის წარმოდგენა გენერალური დირექტორის და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.
2. გენერალური დირექტორის ანგარიშის დამტკიცება.
3. სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშის დამტკიცება.
4. 2001 წლისათვის აუდიტორის არჩევის შესახებ.
5. მიმდინარე საკითხები.

დღის წესრიგის საკითხების გამო დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება აქციონერებს შეუძლიათ სს-ის თბილისის ოფისში, მისამართზე: დარიალის შესახვევი №12 ტ. 25-26-22.

აქციონერების მოთხოვნები დღის წესრიგის საკითხად შეიტანება, თუ ისინი შესაბამისი განცხადებით მიმართავენ გენერალურ დირექტორს 2001 წლის 28 მაისამდე.

კრების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელია კერძო პირებმა იქონიონ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, ხოლო იურიდიულმა პირებმა შესაბამისი დოკუმენტი.

«მაინ კამპფი» და ერთიანი ევროპა

ბრიტანული გაზეთების მთავარი თემაა მომავალი 7 ივნისის საყოველთაო არჩევნები. კამპანია ეს-ეს არის დაიწყო, გაზეთები კი უკვე დღეს ტკბებიან პირველი სერიოზული სკანდალით: კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთმა წამყვანმა მოღვაწემ, მისი ახლანდელი ლიდერის უილიამ ჰეიგის თავისებურმა ნათლიამ, ააფეთქა საშუალო სიმძლავრის მორიგი პოლიტიკური ბომბი.

სერ პიტერ ტეფსელის თქმით, ევროპის მომავალი – გერმანიის კანცლერის გერჰარდ შრედერის თვალთახედვით – წააგავს ჰიტლერის მანიფესტს (?!), ხოლო ლეიბორისტების პოლიტიკა ევროპის მიმართ ნაციზმს მოაგონებს: „შეიძლება, ჩვენ დროზე არ შევისწავლეთ „მაინ კამპფი“, მაგრამ ღმერთმა ნუ ქნას, დროზე არ შევისწავლოთ შრედერის გეგმა“, – განაცხადა სერ პიტერმა, ყოფილი პრემიერის მარგარეტ ტეტჩერის თავგამოდებულმა მომხრემ და თანამოსაგრემ.

„ტაიმსს“ მოჰყავს ტეტჩერის გამონათქვამიც გერმანელებზე, რომელიც სრულად ასურათხატებს კონსერვატორთა მემარჯვენე ფრთის დამოკიდებულებას გაერთიანებული ევროპისა და ერთიანი ვალუტის იდეისადმი: „ცხადია, რომ თქვენ, გერმანელებს, არ გსურთ მიაბათ გერმანია ევროპას, ხოლო ევროპა – გერმანიას“.

პირველი კვირა ოპოზიციამ მოიგო

კონსერვატიულ „დეილი ტელეგრაფს“ პირველ გვერდზე გამოაქვს მეორე წინასაარჩევნო თემა: საგადასახადო ინსპექციის მონაცემებით, დღეს ბრიტანელები კვირაში იხდიან მილიარდი გირვანქით მეტ გადასახადს, ვიდრე ლეიბორისტების გახელისუფლებამდე. ეს, გაზეთის თქმით, თვალსაჩინო წარმოდგენას იძლევა იმაზე, თუ რამდენად გაზარდეს ლეიბორისტებმა სახელმწიფოს წილი ქვეყნის საერთო კუთვნილებაში, ამასთან, ნომინალურად კი არ გაუდიდებიათ საშემოსავლო გადასახადის განაკვეთები, არამედ მოქმედებდნენ ფარული, არაპირდაპირი დაბეგვრის გზით.

როგორც ხშირად ხდება ხოლმე, „ფაინენშლ ტაიმსის“ განყენებული, პარტიათშედა პოზიცია უკავია. გაზეთი იმოწმებს ლეიბორისტული პარტიის ზედა ფენების წყაროების აზრს, რომლებიც აღიარებენ, რომ წინასაარჩევნო შეტაკების პირველი კვირა მოიგეს კონსერვატორებმა, და ახლანდელი მთავრობის ორ ლიდერს – პრემიერ ტონი ბლერსა და ფინანსთა მინისტრს გორდონ ბრაუნს შორის – თანდათან თავი იჩინა უთანხმოებებმა პარტიის წინასაარჩევნო სტრატეგიის გამო.

ამასთან, გაზეთი იმოწმებს კონსერვატორთა ხელმძღვანელობის კერძო მოსაზრებებს იმის თაობაზე, რომ ევრავითარი, ბრწყინვალე წინასაარჩევნო კამპანიაც კი ვერ გადაჭრის ყველა პრობლემას.

კითხვარით – ცრურწმენების წინააღმდეგ

გაზეთი „ინდეპენდენტი“ იუწყება, რომ გერმანელებისადმი – უფრო კონკრეტულად კი, გერმანელი ტურისტებისადმი დამოკიდებულების საკითხი, შეტანილია ბრიტანეთის სატრანსპორტო პოლიციის თანამშრომელთა სპეციალურ კითხვარში.

იმისათვის, რომ თავიდან აიცილონ ყოველგვარი მიკერძოება ბრიტანელ წესრიგის დამცველთა რიგებში, მათ სთავაზობენ 39 კითხვას ადამიანთა სულ სხვადასხვა ჯგუფების: ავტობუსის მძღოლების, ულამაზოების, ავტომობილ „ლადას“ მფლობელების, ვეგეტარიანების, ჰომოსექსუალისტების, შავკანიანების, არამსმელების, და თვით მეძუძური დედების მიმართ, რომლებიც ბავშვს საზოგადოებრივ ადგილებში აწოვებენ ძუძუს.

კითხვარის შემდგენლები ამბობენ, რომ ამრიგად იმედოვნებენ დაეხმარონ თანამშრომლებს, გაიგონ, რომ ცრურწმენები მათ ყველას აქვთ და ამიტომ, განსაკუთრებით გულდასმით უნდა ადევნონ თვალი იმას, ეს მიკერძოება სამსახურებრივ დროს არ გაამჟღავნონ.

კითხვარში შეტანილია, აგრეთვე, პუნქტები იმის თაობაზე, თუ როგორ ექცევიან ინგლისელებს, ირლანდიელებს, ამერიკელებს, ფრანგებსა და უელსელებს, მაგრამ არა – შოტლანდიელებს. სრულიად შემთხვევით, წერს „ინდეპენდენტი“, აღმოჩნდა, რომ კრებულისათვის ზოგადი პასუხისმგებლობა აკისრია მთავარი კონსტებლის მოადგილეს სენდი ფორესტს, შოტლანდიელს.

ამერიკა რუსებს აღმოუჩენიათ

„ტაიმსი“ იუწყება ტურ ჰეიერდალის ახალი გამაოგნებელი აღმოჩენის შესახებ. განთქმული ნორვეგიელი მოგზაური და მკვლევარი ამტკიცებს, რომ ვიკინგების წინაპრები არიან არა ნორვეგიელები, არამედ პირველი კაზაკები, რომლებიც რუსეთის სამხრეთიდან განდევნეს რომაელებმა.

ჰეიერდალის აზრით, სკანდინავიის მითები ოდინ ღმერთის შესახებ ემყარება ისტორიულ ფაქტებს, ხოლო თვით „ღმერთი“ აზოვისპირა ტრამალებში დაბადებულა. სწორედ მან ჩაიყვანა იქიდან პროტოვიკინგები სკანდინავიაში.

ახლა 86 წლის ჰეიერდალი თავად გაემგზავრა რუსეთის სამხრეთში თავისი ნამდვილი ფესვების საძებნელად, იუწყება „ტაიმსი“.

ჩეჩნები ფეხბურთის მოედანზე

„გარდიანის“ კორესპონდენტი დაესწრო სოჭის „ჟემჩუჟინას“ და გროზნოს „ტერეკის“ საფეხბურთო მატჩს: მრავალი წლის მანძილზე პირველად მოხდა, რომ უძლიერესი ჩეჩნური კლუბის ფეხბურთელები კვლავ გამოჩნდნენ. გუნდი დაიშალა 1994 წელს, მოთამაშეების უმრავლესობა სხვა კლუბებში გადავიდა, ხოლო რამდენიმე კაცმა იარაღი აიღო ხელში.

ომის ერთ-ერთი საშინელი ეპიზოდის დროს „ტერეკის“ ახალგაზრდული გუნდის ფეხბურთელები თამაშის დროს სროლაში მოჰყვნენ. მაშინ მეიდი კაცი დაიღუპა. ომებს მორისაც თამაშობდნენ: 97-ში, წერს „გარდიანი“, „ტერეკის“ რიგებში გამოდიოდა შამილ ბასაევი. ახლა მათი სტადიონის ადგილზე რუსეთის სატანკო ნაწილია განლაგებული.

„გარდიანის“ კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ფეხბურთელებს ბაზა კისლოვოდსკში აქვთ, ხოლო მატჩებს მართავენ ჩერკესკში: კისლოვოდსკის ხელისუფლებმა არ ისურვეს, თავისთან მიეღოთ ჩეჩენი გულშემატკივრები.

„ტერეკის“ წარმატება რუსეთის ჩემპიონატში განსაცვიფრებელია, წერს კორესპონდენტი. მაგრამ აქ თვით სპორტული შედეგიც კი არ არის მთავარი. ჩეჩენი მოთამაშეებისა და მწვრთნელებისათვის ეს არის შურისძიებაც, ეროვნული განახლებაც, და, უბრალოდ, შესაძლებლობაც, არ დაივიწყონ საყვარელი თამაში.

მწვრთნელ დინიევის თქმით, „ყოველივე იმის შემდეგ, რაც ამ ბოლო შვიდი წლის მანძილზე მოხდა, ჩვენმა გულშემატკივრებმა კვლავ იციან, რომ არის ასეთი გუნდი – „ტერეკი“, და ეს სრულიად საკმარისია“, – წერს დასასრულ დიმიტრი კარპოვი, ბი-ბი-სის რუსული სამსახურის მიმომხილველი.

ბერლუსკონიმ გაიმარჯვა

ერისაში ტელემიმართვაში 64 წლის მედია-მაგნატმა სილვიო ბერლუსკონიმ, რომლის პარტიამაც მოიგო იტალიის საპარლამენტო არჩევნები, განაცხადა, რომ განამტკიცებს ქვეყნის ურთიერთობას ევროპის კავშირთან და შეერთებულ შტატებთან, აგრეთვე, ხალხს აღუთქვა, რომ მისი მთავრობა დარჩება ხელისუფლებაში მთელი 5-წლიანი ვადის მანძილზე (საქმე ის არის, რომ მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან აქ უკვე 58-ჯერ შეიცვალა მთავრობა).

სენატის 324 ადგილიდან სილვიო ბერლუსკონის კოალიციამ მიიღო 177, ხოლო მისმა მოწინააღმდეგე ფრანჩესკო რუტელიმ – 125 ადგილი. წინასწარი შედეგების მიხედვით, დეპუტატთა პალატაში ბერლუსკონი კონტროლს გაუწევს 273 ადგილს, ხოლო რუტელი 177-ს.

მოელიან, რომ ბერლუსკონის პარტია ჩამოაყალიბებს კოალიციურ მემარჯვენეცენტრისტულ მთავრობას ჩრდილოეთის ლიგისა და ეროვნული ალიანსის წარმომადგენლებთან ერთად.

წინასაარჩევნო კამპანიის დროს ბერლუსკონიმ აღუთქვა ამომრჩევლებს, რომ მკვეთრად შეამცირებს გადასახადს, გაზრდის პენსიებს და შექმნის 1.5 მილიონ ახალ სამუშაო ადგილს.

1994 წელს ბერლუსკონი უკვე იყო იტალიის პრემიერ-მინისტრი შვიდი თვის განმავლობაში. მაშინ მისი მთავრობა დაემხო. მას შემდეგ, რაც მმართველი კოალიციიდან გავიდა ჩრდილოეთის ლიგა, რომელსაც უმბერტო ბოსი ხელმძღვანელობდა.

ამ არჩევნებში ბოსის პარტიამ გაცილებით ნაკლები ხმა დააგროვა, ვიდრე მოელოდნენ. ამას ხსნიან პარტიის ლიდერის იმიგრანტთა წინააღმდეგ მიმართული მკვეთრი განცხადებებით, რის შემდეგაც იგი უკიდურეს მემარჯვენე ავსტრიელ პოლიტიკოს იორგ ჰაიდერს შეადარეს.

ახლა ამბობენ, რომ ბოსის გაცილებით უფრო მეტად სჭირდება ბერლუსკონი, ვიდრე ბერლუსკონის – ბოსი. ეს ბერლუსკონის უსახავს იმედს, რომ კრიზისულ მომენტში ბოსი აღარ დაადალატებს.

არჩევნების წინ იტალიაში აქტიური დისკუსია გაჩაღდა იმის თაობაზე, აქვს თუ არა ბერლუსკონის მორალური უფლება, სათავეში ედგეს მთავრობას. ის არის ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი კაცი – ბერლუსკონის საფინანსო იმპერია 12 მილიარდ დოლარად არის შეფასებული.



ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ ამ იმპერიაში შედის იტალიის სამივე წამყვანი კერძო ტელექსელი. მაგნატის კრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ არჩევნებზე გამარჯვების შემთხვევაში ბერლუსკონი დაიქვემდებარებს იტალიის მთელ საინფორმაციო სივრცეს, ვინაიდან შეძლებს, კონტროლი გაუწიოს სახელმწიფო ტელევიზიასაც.

ევროპაში ეჭვის თვალით უყურებენ ბერლუსკონის უკიდურეს მემარჯვენე მოკავშირეებს – სახალხო ალიანსს, ჩრდილოეთის ლიგას და სიცილიის „სამფერი ალის“ ჯგუფს, რომლებიც ცნობილი არიან თავიანთი ნაციონალიზმითა და უცხოტომელების შეუწყნარებლობით.

გარდა ამისა, ბერლუსკონის არაერთგზის ჰქონია წაყენებული მექრთამეობის, კორუფციისა და გადასახადის გასტუმრებისაგან თავის არიდების ბრალდებები, რომლებიც მას ვერც ერთხელ ვერ დაუმტკიცეს.

ახლანდელ არჩევნებს ჩრდილი მიაყენა სკანდალმა, რომელიც საარჩევნო უბნების ნაკლებობამ გამოიწვია, საქმე ის არის, რომ ეკონომიის მიზნით, მათი რიცხვი 90-დან 60 ათასამდე შეამცირეს.

ყველასთვის მოულოდნელად, კენჭისყრაში მონაწილეობა ძალზე აქტიური გამოდგა – საარჩევნო უბნებში მივიდა ელექტორატის თითქმის 80 პროცენტი, და ხალხის მოზღვავების გამო ვერ მოესწრო ხმის მიცემის დამთავრება დადგენილ ვადაში, ამიტომ უბნები უფრო გვიან დაკეტეს.

ამომრჩევლები, რომლებსაც საათობით უხდებოდათ რიგში დგომა თავიანთი კონსტიტუციური უფლების განსახორციელებლად, იტალიური ტემპერამენტით გამოხატავდნენ თავიანთ უკმაყოფილებას: საჯაროდ ხევდნენ ბიულეტენებს, ზოგმა მაგიდებიც გადააყირავა, ხოლო ბევრი მოხუცი უბრალოდ, დაიღალა და შინ ისე დაბრუნდა, რომ ხმა აღარ მიუცია.

არჩევნების შედეგად მოქმედი მთავრობის ექვსმა მინისტრმა დაკარგა სადეპუტატო პორტფელები. მათი შორის არის შინაგან საქმეთა მინისტრიც, რომელსაც ბრალად სდებენ არჩევნებზე ქაოსის შექმნას.

მაფიამ კვლავ გაიხსენა ცხენის თავი

სიცილიის მაფიამ ააღორძინა ავბედითი ტრადიცია, როდესაც ცხენის თავებს უგზავნიდა იმათ, ვისი დაშინებაც სურდა, იუწყება „ტაიმსი“. ასეთ ამანათებს განსაკუთრებით ხშირად იყენებდნენ 50-60-იან წლებში. შემდეგ ეს ჩვეულება თანდათან გაქრა, ვინაიდან მაფიის თავკაცებმა დისციპლინის დამყარების უფრო მისაღები ფორმები გამოძებნეს. და აი, ახლა იტალიის „ლა სტამპა“ იუწყება, რომ ამ რამდენიმე დღის წინათ ავისმომასწავებელი ამანათი მიიღო ერთ-ერთმა პალერმოელმა პროფკავშირულმა აქტივისტმა, რომელიც გარეული აღმოჩნდა სკანდალში ადგილობრივ გემთსაშენთან პროფკავშირული კონტრაქტების გაფორმების გამო. პროფკავშირულმა ლიდერმა ცხენის თავი საკუთარ მანქანაში იპოვა.

„ლა სტამპა“ მკითხველს შეახსენებს, რომ სიცილიის მაფიოზური კლანები ტრადიციულად აკონტროლებენ სამუშაო ადგილების განაწილებას სანავსადგურო საწარმოებში და თავიანთი ტრადიციული მეთოდებით ცდილობენ, გააქარწყლონ პროფკავშირების ჩარევა.

საინფორმაციო მოზაიკა

BBC, CNN, საქინფორმი.

პალესტინელები „კატასტროფის დღეს“ აღნიშნავენ

პალესტინელთა ტერიტორიებზე გრძელდება სისხლიანი შეტაკებანი ისრაელის სახელმწიფოს შექმნის მორიგი წლისთავის წინ, რომელიც მსოფლიო რუკაზე ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ გაჩნდა. უკანასკნელ შეტაკებათა შედეგად, ღაზაში მოკლეს კიდევ ორი და დაჭრეს რამდენიმე პალესტინელი. ბი-ბი-სის კორესპონდენტის თქმით, ისრაელის შექმნის წლისთავი ერთ-ერთი ყველაზე შავი დღეა პალესტინელთა კალენდარში. მათ ამ თარიღს „კატასტროფის დღე“ უწოდეს და მასობრივ პროტესტებს აწყობენ მის წინააღმდეგ.

იუგოსლავიის ძალები ბუფერულ ზონაში შევლენ

სერბეთის სამხრეთში პრეშევოს ველზე მძიმე ბრძოლების შემდეგ, როგორც სერბეთის უშიშროების ძალებმა, ისე ალბანელმა მეამბოხეებმა განაცხადეს, რომ წარმატება მოიპოვეს. ამასობაში კი ნატოს ხელმძღვანელობა დათანხმდა, გაუშვას იუგოსლავიის ჯარები უკანასკნელ და კონფლიქტების მხრივ ყველაზე სახიფათო ბუფერულ ზონაში, რომელიც კოსოვოს დანარჩენი სერბეთისაგან ჰყოფს. არმია ალბანელი მოთარეშეების მოქმედების ზონაში უნდა შევიდეს მაისის დამლევს. მეამბოხენი ამტკიცებენ, რომ ისინი იბრძვიან ადგილობრივი ალბანელი მოსახლეობის დისკრიმინაციის წინააღმდეგ. ბი-ბი-სის კორესპონდენტის თქმით, ბუფერულ ზონაში იუგოსლავიის ნაწილების შეშვების გადაწყვეტილება გააძლიერებს ზეწოლას მოთარეშეებზე.



ვოიცეხ იარუზელსკი – სასამართლოს წინაშე

კომუნისტური პოლონეთის უკანასკნელი ლიდერი, გენერალი ვოიცეხ იარუზელსკი, გუშინ სასამართლოს წინაშე წარსდგა 70-იან წლებში 44 გემთმშენებლის დაღუპვის განახლებული საქმის გამო. მაშინ გდანსკისა და გდინის მუშები პროტესტებით გამოვიდნენ სურსათის გაძვირების წინააღმდეგ და ჯარებმა მათ ცეცხლი დაუშინეს. გენერალ იარუზელსკის, რომელიც იმხანად პოლონეთის თავდაცვის მინისტრი იყო, ბრალად ედება, რომ ჯარებს უბრძანა, ესროლათ.

იაპონიის პრინცესა ოფიციალურად ცნეს ორსულად

იაპონიის საიმპერატორო სახლის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ კრონ-პრინცესა მასაკო ფეხმძიმედ არის. ამ განცხადებამ, საბოლოო წერტილი დაუსვა მასობრივ მითქმა-მოთქმას, რომელიც წინა თვეში დაიწყო მას შემდეგ, რაც გაცხადდა, „პრინცესას ორსულობის ნიშნები ეტყობაო“. 37 წლის პრინცესას მდგომარეობა დიდხანს იყო დელიკატური თემა იაპონიის პრესისათვის. თუ პრინცესას ქალი ეყოლა, იაპონიაში შეიძლება შეიცვალოს ტახტის მემკვიდრეობის კანონი და ქვეყანაში დიდი ხნის შემდეგ პირველად გაჩნდეს მონარქი ქალი.

ტაივანის ლიდერს – სატრანზიტო ვიზა

ვაშინგტონმა განაცხადა, რომ ტაივანის პრეზიდენტს ჩენ შუი ბიანს ნებას დართავს, შეიაროს ნიუ-იორკში, როდესაც ლათინურ ამერიკაში გაემგზავრება მაისის მეორე ნახევარში. სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა განაცხადა, რომ ვერ ხედავს მიზეზებს, თუ რატომ არ შეუძლია შუი ბიანს გადაკვეთოს აშშ ტერიტორია. გარდა ამისა, ვაშინგტონი, შეეცდება, დაარწმუნოს პეკინი, რომ ტაივანის ლიდერის ხანმოკლე „შევლაში“ საგანგაშო არაფერია, მით უმეტეს, რომ განზრახული აქვს, დაესწროს ბეისბოლის მატჩს.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით გვერდს უძღვება

არჩილ მანჯგალაძე.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ჩვენი თანამედროვე

მთელი ცხოვრება და კიდევ რაღაც მეტი

ესა თუ ის ქალაქი მაშინ უფრო გიყვარს, როცა იქ ახლობელი ადამიანი გეგულება.

მცხეთაში ძველი, კეთილი მეგობარი მყავს – შოთა ამირანაშვილი.

ჩემი მეგობარი რომ არის, ეს სხვისთვის, ამ შემთხვევაში მკითხველისთვის, რა თქმა უნდა, არაფერს ნიშნავს.

მკითხველისთვის ღირებული ის უფროა, რომ შოთა ამირანაშვილი გამორჩეული კაცია თავისი ცხოვრების ნირით, პროფესიონალიზმით და მისი გაცნობა უცილობლად რაღაცას შემატებს.

შოთა მასწავლებელი გახლავთ, ღვთივკურთხეული მასწავლებელი, როგორადაც იბადებიან და არა დიპლომით ინათლებიან.

თითქმის ნახევარი საუკუნეა, ბიოლოგიას ასწავლის მცხეთის პირველ საშუალო სკოლაში. ამ გზაზე ყველა მწვერვალს მიაღწია, რის მიღწევაც შეიძლებოდა: არის პედაგოგიკის მეცნიერების კანდიდატი, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, მეთოდისტი მასწავლებელი (სანამ ეს ყველაზე აღმატებული პედაგოგიური კატეგორია მოქმედებდა), წლების მანძილზე იყო რაიონის ბიოლოგიის მთავარი სპეციალისტი და ბიოლოგიის მასწავლებელთა სექციის ხელმძღვანელი, განათლების სამინისტროსთან არსებული ბიოლოგიის სახელმძღვანელოების შემდგენელი კომისიის წევრი, მცხეთის ბუნების დაცვის სახალხო აკადემიის რექტორი. მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტში ლექციებს კითხულობდა საგნის სწავლების მეთოდიკისა და სასოფლო-სამეურნეო შრომითი აღზრდის საკითხებზე. არის 40 სამეცნიერო მეთოდიკური ნაშრომის, წიგნის „კლასგარეშე მუშაობის მეთოდიკა ბიოლოგიაში“, საკავშირო და რესპუბლიკურ პრესაში გამოქვეყნებული ასობით სტატიის ავტორი. მისი და მისი ბუნების დამცველი მოსწავლეების მრავალწლიან ნაყოფიერ საქმიანობაზე სამი მოკლემეტრაჟიანი ფილმია გადაღებული...

სკოლა მისთვის მთელი ცხოვრება და კიდევ რაღაც მეტია.

იმას, ვისთანაც ვსწავლობთ, სამართლიანად ვუწოდებთ ჩვენს მასწავლებელს, მაგრამ ყველა, ვინც კი გვასწავლის, როდი იმსახურებს ამ სახელსო, – უთქვამს გოეთეს.

– მარტო საგნის ღრმა ცოდნა საკმარისი არ არის მასწავლებლის სახელის დაგდებისთვის. მასწავლებელმა კარგად უნდა იცოდეს პედაგოგიკა, მეთოდიკა, ფსიქოლოგია, მშობლიური ენა, ლიტერატურა და ისტორია. ერკვეოდეს თავისი სპეციალობის მონათესავე მეცნიერებათა საფუძვლებში, იყოს ობიექტური, პრინციპული, ადამიანთმცოდნე, ერთი ნაკლიც კი ჩრდილივით მუდამ თან გაედევნება და უკან დასწევს – ეს შოთას მორალური კოდექსია.

ჯერ მცხეთის საშუალო სკოლის სასწავლო ნაკვეთის ამბავი რად ღირს. თავის დროზე მათ 0,3 ჰექტარი მიწა გამოუყვეს არაგვის ნაპირზე. ალაგ – ქვა-ღორღით სავსე, ალაგ – დაჭაობებული, იგი ნამდვილ ლაბორატორიად იქცა შოთასა და მისი მოსწავლეების ხელში. ასობით ტონა ქვა გაიტანეს, ჭაობი დააშრეს. პარტნიორული კავშირი დაამყარეს სატყეოსთან, წეროვნის მეურნეობასთან. ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკურ სადგურთან, ცნობილ გორელ მებაღე ბესტაევაშვილსა და „მცხეთელ მინდიად“ სახელდებულ დეკორატორ მიხეილ მამულაშვილთან.

მანამდე ქალაქში აქა-იქ თუ ნახაედით კაკლის, ნუშის, თუთის ხეების კორომებს, ვაზის თალარებს. შოთა და მისი აღსაზრდელები მეტყევეებთან ერთად ბეჯითად შრომობდნენ ქალაქის მიშველი აღგილების გასამწვანებლად, ასევე ჯვარის, თეატრონის, „აზნევთის“, თეთრი ფლატის, კოდმანის მიდამოებში, შიომღვიმის გზის გაყოლებაზე, გორისა და ნატახტარის მიმართულების ტრასებზე და სხვაგან. ამ მოძრაობამ არა მარტო პრაქტიკული შედეგები მოიტანა, არამედ შრომის სიყვარულს, სულიერ სიკეთეს აზიარა მოსწავლეები. ისინი ყოველდღიურად ფუსფუსებდნენ ბუნების დიდი მესაიდუმლის მიხეილ მამულაშვილის ზღაპრულ ბაღში, დეკორატორის ხელოვნებას ეუფლებოდნენ, ამ ბაღის შესახებ დაწერილი თემებით კონფერენციებზე გამოდიოდნენ. ბავშვები არდადეგებზე შრომობდნენ საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში, საფუტკრეებში, სათბურებში. შოთას მიერ შედგენილი პროგრამით ასრულებდნენ დიდ და ნაყოფიერ ბუნებისდაცვით სამუშაოებს.

პოეტ ელდარ კერძევაძეს აქვს შოთა ამირანაშვილისადმი მიძღვნილი ლექსი „კაცობის ნიჭი“ (იგი „სოფლის ცხოვრების“ 1984 წლის 9 აგვისტოს ნომერშია დაბეჭდილი):

ექვსი შვილი გყავთ,
შოთა ბატონო,
ექვსი ყვავილი მშობელი მიწის,
როგორ უვლით და
როგორ პატრონობთ,
მე თავად ვნახე და კარგად
ვიცი.
თქვენ არ გჭირდებათ ფიცი
და მტკიცი,
ნეტა თქვენსავით ფიქრობდეს
ყველა:
— პატრონი უნდა ჩვენს
ლამაზ მიწას,
— პატრონი უნდა ჩვენს
ლამაზ ენას,
თქვენს სახლში მაინც
არასდროს ბნელა...
პატიოსნების, კაცობის ნიჭი,
ნურც მოჰკლებოდეს
თქვენს ლამაზ კერას.

ნონა, ლელა, ირმა, თეა, პაატა, თამუნა... ექვსივე ყოველის ღირსებით შემკული მოქალაქეა, ექვსივე უმაღლესი განათლების მქონე ჩინებული სპეციალისტია. ლელას და ირმას საკუთარი ოჯახებიც აქვთ, ისე რომ, შოთა და მისი მეუღლე, რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი კლავდია ჩქოფოია პაპა-ბებიაც არიან და მერცხლებივით შვილიშვილებს შეჰხარიან.

მართალი ცხოვრებით იცხოვრა შოთა ამირანაშვილმა...

ჯერ კიდევ ჩვილობაში მამით დაობლებულ ბიჭს ძელები არც გამაგრებოდა, საკაცო საქმეს რომ შეება. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, აგერ შვიდი ათეული ჩამომარცვლა და არ ჩაუმუხლია. სწორედ ამ დაუზოგავმა შრომამ, და არა წლებმა, ჯანი დაუცოტავა, ამ ბოლო დროს თვალში სინათლე დააკლდა. კითხვა გაუჭირდა, მამისეულ ბაღ-ვენახში (სოფელ გალავანში თვალგასახარი სახლკარი აქვს), შრომა ვეღარ შეიძლო. ამან ქვეყნის საერთო შეჭირვების გამო ისედაც სახსარდაშრეტილი ოჯახის საქმე კიდევ უფრო წაახდინა და ნერვიულობს, უთქმელად განიცდის კაცი.

ისიც უკლავს გულს, სკოლა რომ სკოლას აღარ ჰგავს, სწავლაც გაუფასურდა და მასწავლებლობაც. სხვა მის ადგილზე მხარს დაგისველებდა ცრემლით, შოთას კი წუწუნი არ უყვარს, რა გამონაკლისი ვარ, მთელი ინტელიგენცია ჩემს დღეშიაო. მაინც ქვეყნის დალაგების იმედი აქვს, სულ ასე ხომ არ იქნებაო, ხალხი ისევ მოღონიერდება. წიგნს და სკოლასაც მიხედავსო, უარესი დღეებიც ჰქონია საქართველოსო.

ამ გამძლეობისა და გაუტეხლობის გამო მიყვარს შოთა ამირანაშვილი. სწორედ ასეთმა კაცებმა მოიტანეს საქართველო თავიანთი გამძლე ქუდით დღემდე, სახვალიო ჭაპანსაც მისი მსგავსნი გასწევენ...

ალეკო ასლანიშვილი.

სურათზე: შოთა ამირანაშვილი და „მცხეთელი მინდია“ მიხეილ მამულაშვილი (60-იანი წლები).

გილოცავთ, კოლეგა!

გაფრენილა სიყმაწვილე შფოთიანი...

ხედავთ, თბილისელო, „ძველო ყოჩო, ქამრიანო ბიჭებო“, თქვენი კოიაც რომ სიბერისკენ წასულა?

თქვენი კოია...

ჩვენი გურამ გომართელი...

დამცხრალა, გაფრენილა სიყმაწვილე შფოთიანი და, რა გასაკვირია, რომ სამოცდაათი წლის კაცს გარდასულ დღეთა მოგონებები მოეძალოს.

და იხსენებს ხოლმე გურამი ჩვენთან – კოლეგებთან, მეგობრებთან მცირე პურობის ჟამს – ვარანცოვზე ჩაველილ ბავშვობას და სიჭაბუკეს, დიდი ომის წლების სიდუხჭირეს, საყვარელი მშობლების – გიორგი გომართელისა და ელენე, ჯაოშვილის ქალის, მრავალშვილიანი ოჯახის სიამტკბილობას. იბადრება მამა-პაპის ფუძე-ძირის – გორისის და დედულეთის – ნიგოზეთის გახსენებაზე.

ეს ადგილები, ზემო იმერეთი და ზემოიმერლები, მოგვიანებით, უკვე ჟურნალისტისა და მწერლის – გურამ გომართელის ერთ-ერთი უსაყვარლესი და უსათუთესი თემა ხდება.

მაგრამ თბილისი და თბილისელები სულ სხვა სიყვარულით უყვარს გურამს. ოღონდ, ის თბილისი ენატრება, ის რაინდი ბიჭები ელანდება და ნაღვლიანად გასცქერის ხოლმე დიდ სოფლად ქცეული დედაქალაქის აუტანელ რია-რიას.

სად არიან ის ბიჭები... ბევრი წასულა, წასულა... მათთან ერთად, თითქოს გამქრალა ქალაქური ტრადიციები, ვერა ვერას აღარ ჰგავს, რუსთაველი რუსთაველს... თითქოს ყველაფერს ეჩვევა, მაგრამ ის ვერ აუტანია „ერთ დროს პირველი მეფაიტონე“, „მარშუტკით“ რომ დადის.

გამორჩეული გურამი – ხიბლით, დარდიმანდობით, ვაჟკაცური სულით. მის სიტყვას ფასი ადევს, მტყუან-მართლის გარჩევა იცის, თაყვანსა სცემს ქალის სათნოებას...

ამიტომ უყვართ საბედნიეროდ, – აქა-იქ კიდევ შემორჩენილ მის ძმაკაცებს – ნაღდ თბილისელებს, ნაღდ ქართველებს.

თავის დღიურში, რომლისთვისაც „გარითმული ფიქრები“ დაურქმევია გურამს, ერთგან ვკითხულობ:

კაცი კაცად მიცვნია,
სული არ გამიცვლია
ფულზე!
ყველაზე სპეტაკია,
ყველაზე ძვირფასია
კაცს რომ კოცნი გულზე!

აი, ასეთი კაცია, მკითხველო, გურამ გომართელი.

სხვათა შორის, ამ „გარითმულ ფიქრებში“, ამ დღიურში ბევრი ისეთი სტრიქონია, ძალუმად რომ გვიხატავს გურამის პორტრეტს. აქაც ეფერება ოჯახს, თავის უერთგულეს თანამეცხედრეს, შესანიშნავ ქალბატონ დოდო როინიშვილს, თავის ვაჟიშვილებს – ზაზასა და დათოს, შვილიშვილებს, 93 წლის დედას – ქალბატონ ელენეს, მეგობრებს...

— შეიძლება თუ არა
იყოს კაცი მართალი?
ბავშვობიდან, სიყრმიდან
მუხის ჩამონათალი?
— უნდა იყოს, აბა, რა —
უპასუხებს სიკეთე,
თუ ვინდომე ავის თქმა —
სიტყვა გადამიკეთე.

ერთგან სევდა შერევია სტრიქონებს:

კარგა ხანია, მიმუხთლა
ლიფტმა, სითბომ და სინათლემ,
მე თვითონ მიკვირს — მეცხრეზე —
ბებერ ძვლებს როგორ მივათრევ.

მასზე ბევრი რამ მსმენოდა. კოია – სუფრის თავი და ბეჭის დამთლელიო, კოია – ლხინის უფალი და ჭირის უფალიო... სალმით ვიცნობდით ერთმანეთს, როგორც კოლეგები. ვხედავდი, როგორ ამოიცლიდა იგი ლენინის ქუჩას – ალნაგი, გამორჩეული გარეგნობისა და რუსთაველისკენ მიუყვებოდა.

მისი ნაწერებიც მქონდა წაკითხული – ნათელი, სხარტი თბილისური ჩანახატები თუ იუმორისტული მოთხრობები. მაგრამ, ღმერთმა ინება და, ჩვენ, შეიძლება ითქვას, უკვე ახლოს ვიცნობთ ერთმანეთს. რაკი, რამდენიმე წლის წინათ, გურამი ჩვენი გაზეთის რედაქციაში მოვიდა (მანამდე არ დაჰკლებია ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში, ტელევიზიაში მოღვაწეობა), აქაც ღმერთი ჩაერია – ერთ ოთახში ვსხედვართ, ერთ პურსა ვჭამთ, უკვე მეგობრები გვქვია და, ვცდილობთ, ეს მეგობრობა გაუბზარავი იყოს.

...რასაც დაწერს, წყალი არ გაუვა. ზედმიწევნით იცის ქართული სიტყვის ფასი, გულის ცრემლს აყოლებს ნაწერს და ამიტომაც მკითხველს დიახაც მოსწონს მისი წერილები, ნარკვევები, ჩანახატები, მინიატურები...

გურამის შემოქმედება, შეიძლება, არ „გასწვდენია სიგრძე-განედებს“, მაგრამ დროის სუნთქვა, თანამედროვის ტკივილი და სიხარული მის ნაწერებში ზედმიწევნით რეალურია და სწორედ ამიტომაცაა ძვირფასი.

ჩემს ნათქვამს უთუოდ დაადასტურებს მისი ახალი წიგნი, რომელსაც მალე მიიღებს მკითხველი. ერთხელაც ჩავიხედოთ დღიურში და გურამის პორტრეტს შტრიხი მივუმატოთ:

ვდგები პატარა მაგიდიდან —
თვითონაც არ ვიცი, სად მივდივარ,
ლხინს გადაყოლილი რაინდი ვარ,
ავყიას ყოველთვის გავურბივარ.

ასე იცხოვრა დღემდე და აწი მისი შეცვლა აღარავის და აღარაფერს შეუძლია.

მე კი რა მინდა? კვლავაც დიდხანს ეხმიანებოდეს იგი ტელეფონზე ძმაკაცებს – „კოია ვარ“ და დიდხანს არ მოჰკლებოდეს თბილის-ქალაქს მისი კოლორიტი.



ვილენ მარდალეიშვილი.

სიტუაცია

უცნობმა პედაგოგებს დიდი იაკობის ავეჯი დაუბრუნა

ჩვენი დღევანდელი მოუწესრიგებელი ცხოვრების ფონზე, იშვიათად, მაგრამ მაინც გამოკრთება ხოლმე სინათლე...

ამ დღეებში საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილეს აზა ბუაძეს უცნობმა პიროვნებამ დაურეკა და სასიამოვნო ამბავი ამცნო – პედაგოგიურ საზოგადოებას უსასყიდლოდ შესთავაზა დიდი ქართველი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის სასტუმრო ოთახის გარნიტური (სარკიანი ტახტი, ორი სავარძელი, მრგვალი მაგიდა), რომელიც იაკობის შთამომავლებმა ერთ დროს გადასცეს „ცეკავშირთან“ არსებულ მუზეუმს (მას ჟურნალისტი დავით ბუჩუკაშვილი ხელმძღვანელობდა), მაგრამ ძნელბედობის წლებში გაქრა. საინტერესოა, რომ იაკობის საყვარელი ძმისწული შალვა გოგებაშვილი საქართველოს „ცეკავშირის“ ერთ-ერთი დამაარსებული იყო. შალვას გაზრდილმა ოთარ მკურნალმა სწორედ მის საპატივცემულოდ გადასცა ეს ავეჯი „ცეკავშირის“ მუზეუმს. დაკარგული ნივთების ამბავი ფართოდ გახმაურდა და იძებნებოდა.

და აი, ეს უნიკალური ავეჯი (სხვათა შორის, რესტავრირებული სახით!) უკვე მიიტანეს პედაგოგთა კავშირში, მომავალში იგი იაკობ გოგებაშვილის მუზეუმში დაიდებს ბინას, რომლის მოწყობასაც კარგა ხანია აპირებს ეს ორგანიზაცია.

– განსაკუთრებით იმან გამახარა, – მითხრა პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატმა, ღირსების ორდენის კავალერმა აზა ბუაძემ, – რომ უცნობმა ქველმოქმედმა, ავეჯის გადმოცემასთან ერთად, მუზეუმის მოწყობაშიც სრული თანადგომა აღგვითქვა, ჩვენ მისხალმისხალ გვაქვს შეგროვილი იაკობ გოგებაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მასალები. თუ ჩვენს ამ სანუკვარ ოცნებას ფრთები შეესხმება და მუზეუმი დაფუძნდება, მაშინ თბილისში იაკობ გოგებაშვილის ძეგლის დადგმაზეც დავიწყებთ ფიქრს, რათა მომავალ თაობებს შესაძლებლობა ჰქონდეთ ყოველდღიურად მიაახლონ და პატივი მიაგონ უკვდავი „დედაენის“ ავტორს, რომელმაც უდიდესი ამაგი დასდო შთამომავლობას.

– დიდი იაკობი, – განაგრძობს ქალბატონი აზა, – ისე გარდაიცვალა, რომ ახალი ფეხსაცმელიც კი არ უყიდია თავისთვის, რადგან სისტემატურად ეხმარებოდა ღარიბ მასწავლებლებს, საზოგადო მოღვაწეებს, ახალგაზრდა მწერლებსა და პოეტებს. სწორედ ამ მიზნით დააარსა მან მასწავლებელთა ფონდი, სადაც პირველ თანხად 150 მანეთი შეიტანა. მისი შემწეობით სტიპენდიები დაენიშნათ უნიჭიერეს ახალგაზრდებს – ზაქარია ფალიაშვილს, დიმიტრი არაყიშვილს, მომავალ სხვა დიდ მოღვაწეებს, აკი წერდა კიდეც ამის თაობაზე ფილიპე გოგიჩაიშვილი: „თავის შემოსავლის, სულ ცოტა ნახევარს, გოგებაშვილი საქველმოქმედო საქმეებზე ხარჯავდა... იშვიათად გამოზრდილა იმ დროში საშუალო და უმაღლეს სასწავლებელში ისეთი ხელმოკლე ახალგაზრდა, რომლისთვისაც გოგებაშვილს, აშკარად ან ფარულად დახმარება არ მიეცეს“. სიკვდილის წინ თავისი უძრავ-მოძრავი ქონება იაკობმა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას დაუტოვა. ას-ასი მანეთი უანდერძა გამომცემლობის თანამშრომლებს, საკმაო თანხები ერგოთ სომეხთა და მაჰმადიანთა საქველმოქმედო საზოგადოებებს, ეკატერინე გაბაშვილის ქალთა სკოლას, განათლების საზოგადოებას, ქართულ საბავშვო ბაღს, ხოლო წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ანდერძით დაუბარა, რომ მისი წიგნების გამოცემის შემდეგ შეექმნათ სახალხო განათლების ფონდი, საიდანაც დაეხმარებოდნენ ჟურნალ „განათლებას“. ასეთი იყო იაკობ გოგებაშვილი – უაღრესად თავმდაბალი, მოკრძალებული და უპრეტენზიო მოღვაწე, რომელიც ერის, მისი მომავლის კეთილდღეობაზე ფიქრში ათენ-აღამებდა. შთამომავლობას უმთავრეს და უპირველეს წიგნად დარჩა მისი „დედაენა“ ხელთუქმნელი ძეგლი ქართული ენისა, რომელიც საუკუნეებს გადააშუქებს.

ნანა სულავა.



სურათზე: იაკობ გოგებაშვილისეული უკან დაბრუნებული ავეჯი.

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

ავტომოყვარულთათვის

მერსედესი 200/280 EW123

Mersedes-Benz მარკის პოპულარობას ვერაფერს აკლებს დრო და მოდა. ნახმარ, დაძველებულ ეგზემპლარებსაც კი დასთამაშებს იმ სამსხივიანი ვარსკვლავის პრესტიჟულობის ათინათი, რომელიც შტუტგარტული ავტომობილების რადიატორს ამშვენებს. ასეთია **W**123 საქარხნო სერიის ძარიანი საშუალო კლასის გავრცელებული მოდელიც. იგი გამოდის 1976 წლის თებერვლიდან. კონსერვატიული, სწორხაზოვანი ძარის მქონე და, ამავე დროს, დინამიკური და სოლიდური დიზაინის ოთხკარიანი სედანები უნიფიცირებული იქნა 4725X1786X1438 მმ გაბარიტული ზომებითა და გაწყობით, და მხოლოდ ყველაზე მძლავრი და ძვირფასი მოდელი 280E გამოირჩეოდა სწორკუთხა და არა მრგვალი ამრეკლი ბლოკ-ფარებითა და ბოლოებში მომრგვალებული გრძელი ბამპერებით. **W**123 სერიის მოდელებმა შეინარჩუნეს კლასიკური მონტაჟი და ამავე დროს ძალზე მოიგეს კომფორტის მხრივ სრულიად დამოუკიდებელი ზამბარიანი საკიდარისა და საჭის მართვის ჰიდროგამაძლიერებლის ხარჯზე. მართალია, მათი კურსის მდგრადობა საგრძნობლად არის დამოკიდებული გვერდქარსა და გზის მდგომარეობაზე; ისევე, როგორც ყველა, უკანაამძრავიან ავტომობილს, „123-ე“-ს არ უყვარს მოლიპული გზები და მკვეთრი ვირაჟები. და მაინც, ავტომობილის უსაფრთხოება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ყველა თვალზე დაყენებული დისკოიანი მუხრუჭის, საგულდაგულოდ დაპროექტებული ძარისა და ენერგოშთანთქმელი ელემენტების მქონე ინტერიერის, უკანა ღერძის თავზე მდებარე უსაფრთხო ბენზოავზის წყალობით. თუმცა, ასეთ ტექნიკურ გადაწყვეტას არავითარი გავლენა არ მოუხდენია დიდი საბარგულის ტევადობაზე (500 ლ), რომელზეც ჰორიზონტალურად არის დაყენებული სათადარიგო თვალი.

საკმაოდ პოპულარული იყო რვაკაცის გადასაყვანად განკუთვნილი დაგრძელებული (ძარის სიგრძე – 5355 მმ) ოთხკარიანი ექვსსარკმლიანი ვერსიები.

ფირმის ტრადიციისამებრ, ინდექსი გამოხატავს დასაყენებელი ძრავის მოცულობას, ხოლო ამ უკანასკნელის ლიტერები – ძრავას (**E** – შეფრქვევა, **D** – დიზელი, **TD** - დიზელი ტურბოგაქრევით).

W-120 სერია ცნობილი იყო, აგრეთვე თავისი დიზელებით (ცალკეულ წლებში მისი დიზელიანი ვერსიების გაყიდვა ბენზინიანისას აღემატებოდა).

სათბობის საშუალო ხარჯი ბენზინიანი მოდელებისათვის შეადგენს 11,1-12,5 ლ/კმ-ზე, ხოლო დიზელიანისა – 8,3-10,8 ლ/100 კმ-ზე. 1977 წლის მარტში სედანიძარიან მოდელებს დაემატა ორკარიანი კუპე-პარდტოპი-280-**C** და 280 **CW** ექვსცილინდრიანი **M** 110 ძრავით (156-185 ცძ), მერე კი ნაკლებად მძლავრი მოდელი 230C (109 ცძ).

W123 ოჯახის ყველა მოდელის წარმოება გრძელდებოდა 1985 წლის დეკემბრამდე, როდესაც იგი შეცვალა **W**124 ოჯახის აბსოლუტურად ახალმა მოდელმა, რამაც, სხვათა შორის, გამოიწვია ტაქსის მძღოლების გაფიცვა, რომლებსაც არ სურდათ, ესოდენ გამძლე და საიმედო მანქანა სხვაში გაეცვალათ.

მერსედეს-ბენც **W**123 „სექენდ ჰენდ“ სამამულო ბაზრისათვის კარგა ხანია რჩება ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ავტომობილად, ვინაიდან ნახმარი ეგზემპლარების შედარებითი სიიაფის მიუხედავად, კვლავაც საკმაოდ გამძლეა, ხოლო ძრავები შეუძლიათ კაპიტალურ რემონტამდე 300 ათასი კმ გაიარონ. ოღონდ, რა თქმა უნდა, მაღალხარისხოვანი ზეთისა და საცვლელი ფილტრების გამოყენების პირობით.

ძარა დიდხანს ინარჩუნებს ჰერმეტულობას, და მთლად ძველ მანქანებშიც კი კარის დახურვისას უნდა გაისმოდეს დამახასიათებელი ტკაცანი. კოროზია ჩვეულებრივ არ შეიმჩნევა შედუღების საუცხოო ხარისხის გამო, ამიტომ ყიდვისას საგულდაგულოდ გამოიკვლიეთ ყველა საეჭვო ადგილი.



„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია ამ პუბლიკაციით იწყებს ციკლს თანამედროვე ავტომანქანების მოდიფიკაციის შესახებ.

დედაქალაქი

სხვათა შევიწროების და მზის დაბნელების ხარჯზე...

ძვირფასო რედაქცია!

ჩვენი საცხოვრებელი სახლის (ხოლო მეორე მხრიდან 176-ე სკოლის) მიმდებარედ არის 300-ოდე კვადრატული მეტრი ფართობი, რომელიც წლების განმავლობაში ნაგავსაყრელი იყო.

1984 წელს სკოლის დირექტორის რჩევით ნაგავი გავიტანეთ, შემოვღობეთ და მას შემდეგ, 17 წელიწადია, ჩვენ ვუვლით და ვამუშავებთ. მაშინვე დავრგეთ კაკლის, ვაშლის, მსხლის, ჭერმის ხეები, ჩავყარეთ ვაზი. მეოთხე წელია ნაკვეთში აშენებული გვაქვს რკინის საკუჭნაო, რომელშიც დიზელ-გენერატორი გვიდგას და სასოფლო-სამეურნეო იარაღებს ვინახავთ.

მთელმა ჩვენმა უბანმა იცის, თანაც, ყველა დაგვიდასტურებს (სკოლის ხელმძღვანელობის ჩათვლით), რომ ამ ყოფილ ნაგავსაყრელს მართლა 17 წელიწადია ვუვლით და ვპატრონობთ სოლომონ სახლთხუციშვილისა და გოდერძი სტეფანიშვილის ოჯახები.

ახლა, ჩვენსავე უბანში, ამ ნაკვეთიდან საკმაოდ მოშორებით მცხოვრებმა ოთარ იმერლიშვილმა შეცდომაში შეიყვანა ქ. თბილისის არქიტექტურისა და პერსპექტიული განვითარების სამსახურის ხელმძღვანელობა, თითქოს ის იყო ჩვენი ნაკვეთის მეპატრონე და ჩვენგან ფარულად ნაკვეთი შეატანინა კიდეც საუქციონო საპრივატიზაცია ნუსხაში. ახლახან „გაუმარჯვნია“ კიდეც და... რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, აქეთ გვედავება. საინტერესოა, არქიტექტურის სამსახურმა რატომ არ იკითხა – შემოღობილი, მოვლილ-დამუშავებული, ხეხილის ნარგავებით სავსე ნაკვეთი (თანაც, შიგ რკინის საკუჭნაოთი!) ვისი იყო? თუ რაღაც ანგარება არა, თვითონ იმერლიშვილი ადრე რატომ არ მობრძანდა ჩვენთან?

მოგმართავთ განცხადებით და გთხოვთ დაგვეხმაროთ სიმართლის დადგენაში. თუ ამ ნაკვეთის პრივატიზაცია შეიძლებოდა, მას ჩვენ თვითონ შევისყიდდით. აკი, ჩვენ ვაქციეთ ეს ნაკვეთად, ბაღად, ხელმისაწვდომ ადგილად.

თუ იმერლიშვილი შეეცდება ჩვენს ნაკვეთში ძალით შემოჭრას, ამას გაუთვალისწინებელი, მძიმე შედეგები მოჰყვება. წლობით ნალოლიავებ ნაკვეთს არა და არ დავთმობთ. როგორც იტყვიან, თვით იესო ქრისტეც რომ ჩამობრძანდეს ზეციდან, ამ ნაკვეთს არ დავანებებთ. თუ შესყიდვაა – ჩვენვე შევისყიდით და დავიკანონებთ.

სოლომონ სახლთხუციშვილი, გოდერძი სტეფანიშვილი,

აეროდრომის დასახლების მეოთხე ქუჩის მეორე გასასვლელის №4 და №6 ბინის მცხოვრებლები.

* * *

მოგმართავთ თხოვნით, დაგვეხმაროთ, რათა ჩვენი ჩიხის მჭიდროდ დასახლებულ მცირე ტერიტორიაზე არ აშენდეს დაგეგმილი 6, 8, 9, 10-სართულიანი სახლები.

ჩვენი პატარა ჩიხი ბავშვთა ქალაქ „მზიურის“ ნაწილია და თალით ერთი გასასვლელი აქვს ჭავჭავაძის პროსპექტზე. 19 და 21-ე სახლების უკან, ერთსართულიანი და ორსართულიანი ბინების დანგრევის ხარჯზე, ითვალისწინებენ მრავალსართულიანი კორპუსების აშენებას, რაც ტერიტორიის ათვისების არანაირ ნორმებში არ ჯდება. ეს სასახლეები მთლიანად დააბნელებს ჩვენს ბინებს და ყოველნაირ დისკომფორტს შეგვიქმნის.

პრაქტიკულად, ჩვენი საცხოვრებელი ადგილი არის ჩიხში გამავალი ოთახები, სადაც ვისვენებთ და ვსაზრდოობთ სიცოცხლისთვის აუცილებელი ჰაერით, სინათლით, სიმშვიდით. ქუჩის მხარეს კი, ჭავჭავაძის პროსპექტზე, დარაბები და ფანჯრები მჭიდროდ გვაქვს დაგმანული გამონაბოლქვის, მტვრისა და ხმაურის გამო. ერთადერთი მაცოცხლებელი სივრცე ჩვენთვის არის ჩიხის მხარეს გამავალი ლოჯიები და ოთახები.

არქიტექტორებისა და მშენებლების განმარტებით, ქალაქგეგმარების და ყოფითი ნორმები ერთ სულ მოსახლეზე დაცული არ იქნება, თუ ამ მჭიდროდ დასახლებულ ჩიხში ორი მაღლივი კორპუსი აშენდება.

ვიწრო ჩიხის გამტარობა მოუხერხებელი იქნება როგორც ჩვენთვის, ასევე ახალ შენობებში ჩასახლებული მობინადრეებისთვისაც. ხანძრის, სტიქიური უბედურების შემთხვევაში კი გარდაუვალია გამოუსწორებელი შედეგები.

დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენს თხოვნას, რომელიც ეხმიანება საქართველოს პრეზიდენტის 15 მარტის ბრძანებულებას „ზოგიერთი პირველი რიგის ანტიკორუფციული ღონისძიების შესახებ“, ყურად იღებთ და დაგვეხმარებით.

ილია ჭავჭავაძის პროსპექტის №19 და №21 სახლების მობინადრეები.

ნომრის მორიგე რედაქტორისგან:

როგორც ჩანს, პირველი წერილის ავტორებსა და უკვე აუქციონზე გატანილ ნაკვეთის მეპატრონეს შორის ერთობ სერიოზული, შორს წასული დავა მიმდინარეობს. არადა, ნაკვეთის შერჩევის, აუქციონზე გატანის უფლება ყოველ თბილისელს აქვს. მთავარია, მოძიებული ნაკვეთის პატრონმა, როცა მოშენებულ ხეხილს და მოვლილ არემარეს ხედავს, უპირველესად მოიკითხოს მისი ავტორები, შეუთანხმდეს, მოელაპარაკოს, გაურიგდეს, ელემენტარული ზნეობრივი ნორმები დაიცვას და მერე წარუდგეს არქიტექტურის საქალაქო სამსახურს. როგორც ამ წერილიდან ჩანს, ოთარ იმერლიშვილმა ეს არ გააკეთა და ერთობ უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. არქიტექტურის საქალაქო სამსახურმა კი, ალბათ, ეს დავა კონტროლზე უნდა აიყვანოს და თავისი კომპეტენტური სიტყვა თქვას დაპირისპირებულ მხარეთა შესარიგებლად.

რაც შეეხება ილია ჭავჭავაძის პროსპექტის №19 და №21 სახლების მობინადრეთა გულისტკივილს, ჩვენ ვერაფერში დაგეხმარებით, გარდა ზნეობრივი მხარდაჭერისა. აკი, ვაქვეყნებთ კიდეც მათ წერილს. თუ იქ, კონკრეტულ უბანში, დღეს ქალაქში არსებული მშენებლობის ნორმები ირღვევა, უნდა მიმართონ სასამართლოს.

სპარტაკ ქობულია.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

მუსიკა

საუცხოოდ აღსრულებული მისია

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიამ 12-14 მაისს სასულე მუსიკის დღეებს, მე ვიტყოდი, — დღესასწაულს უმასპინძლა, რომლის ორგანიზატორი იყო ამჟამად გერმანიაში მოღვაწე ქართველი მუსიკოსი, მრავალ ქვეყანაში აღიარებული ჰობოისტი გიორგი ქობულაშვილი. მისი მეოხებით საქართველოს ეწვია რამდენიმე ჭეშმარიტად საუკეთესო მუსიკოსი, რომელთაც აქამდე ჩვენში ნაკლებად იცნობდნენ მსოფლიო აღიარების მიუხედავად, თუმცა, ვფიქრობ, ამ ვიზიტის შემდეგ მათს ხელოვნებასთან კვლავაც ზიარების სურვილი არასოდეს გაგვიქრება.

ვიდრე ამ შემოქმედებითი „ვოიაჟის" შესახებ ვიტყოდე რაიმეს, მანამდე მოკლედ გაგაცნობთ სტუმრებს:

დირიჟორი, მშვენიერი ქალბატონი **კორნელია ფონ კერსენბროკი (გერმანია, ავსტრია)** სხვადასხვა დროს დირიჟორობდა ბადენ-ბადენის ფილარმონიის, ჰალეს აკადემიურ, სოფიის საფესტივალო და სხვა ცნობილ ორკესტრებს. ორი წლის წინათ ჰალეში გამართულ **ჰენდელის** ფესტივალზე იგი ჰენდელის სახელობის პრიზით დაჯილდოვდა.

მშვენიერი სქესის კიდევ ერთი წარმომადგენელი — დანიელი ფლეიტისტი **იანე ტომსენი** არაერთი საერთაშორისო კონკურსის ლაურეატია და მრავალი საერთაშორისო ფესტივალის სასურველი შემოქმედებითი სტუმარი, სადაც მისი პარტნიორები მუსიკალური ელიტის ისეთი მკვიდრნი არიან, როგორებიც გახლავთ ბარენბოიმი, აშკენაზი, როსტროპოვიჩი, აბადო, შრაიერი, ბრუნერი, აიმარდი...

ავსტრიელი ვალტორნისტი **იოჰანეს ჰინტერჰოლცერი** კარგა ხანია დიდი წარმატებით თანამშრომლობს სოლისტის ამპლუაში ზალცბურგის „მოცარტეუმის", ვენისა და ზალცბურგის კამერულ ორკესტრებთან, ლინცის კონსერვატორიაში კი, სტუდენტებს აზიარებს მუსიკალური შემსრულებლობის საიდუმლოებებს.

იტალიელმა ფაგოტისტმა **დიეგო შენამ** 1998 წელს ფ. ჯილეტის საერთაშორისო კონკურსზე პირველი პრემია მოიპოვა და მას შემდეგ ფართოდ გაიხსნა მის წინაშე საერთაშორისო ასპარეზი.

სასულე მუსიკის დღეების ერთ-ერთი მთავარი გმირი — გამოჩენილი ფრანგი ჰობოისტი **ფრანსუა ლელუ** — მიუნჰენის, ტულონის, პრაღის საერთაშორისო კონკურსების უმაღლეს ჯილდოთა მფლობელი, ფედოსეევის, ზავალიშის, მულოვას, სპივაკოვის, ცუკერმანის, იგორ ოისტრახის შემოქმედებითი პარტნიორი, მიუნჰენის რადიოს სიმფონიური ორკესტრის, „მულოვა-ანსამბლისა" და „პარიზ-ბასტილიის ანსამბლის" სოლისტი.

სწორედ ეს შესანიშნავი მუსიკოსები გვეწვიენ მრავალფეროვანი მისიით. 12 მაისს ისინი ფრანსუა ლელუს სახელობის ჰობოისტთა კონკურსის ჟიურში ვიხილეთ. არაერთმა ახალგაზრდა ქართველმა ჰობოისტმა წარმოაჩინა საკუთარი ხელოვნება, გამარჯვება კი პროფესორ გოგი ბერიძის აღსაზრდელს გიორგი გვანცელაძეს ხვდა წილად. ჩინებული საჩუქარიც მიიღო პრიზად თვით ფრანსუა ლელუსგან — „**Marigaux**"-ის ფირმის ძვირფასი ჰობოი.

14 მაისს ფრანსუა ლელუმ, იანე ტომსენმა, დიეგო შენამ და იოჰანეს ჰინტერჰოლცერმა მასტერ-კლასზე (ცხადია, საქველმოქმედოზე) მოიწვიეს ახალგაზრდები და არაერთი საგულისხმო რჩევაც მისცეს, ისეთი, როგორიც ახალ შტრიხებს შემატებს მათს საშემსრულებლო ოსტატობას.

და მაინც, ფართო საზოგადოებრიობის ყურადღება 13 მაისზე იყო აქცენტირებული, რადგან კონსერვატორიის დიდ დარბაზში სწორედ ამ დღეს გაიმართა ჭეშმარიტად დაუვიწყარი კონცერტი, რომელშიც საქართველოს ევგენი მიქელაძის სახელობის სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრთან ერთად, რომელსაც კორნელია ფონ კერსენბროკი უძღვებოდა, სტუმრები მუსიცირებდნენ. თავდაპირველად ვალტორნისტმა იოჰანეს ჰინტერჰოლცერმა მოხიბლა აუდიტორია მოცარტის მი-ბემოლ მაჟორული კონცერტის ვირტუოზული შესრულებით. და კვლავ მოცარტისეული ჰანგი — სიმფონია-კონცერტანტე ფლეიტის, ჰობოის, ფაგოტის, ვალტორნისა და კამერული ორკესტრისათვის. ხუთივე სტუმარი სცენაზე იყო, გია ქობულაშვილი კი, ორკესტრიდან ეხმიანებოდა მეგობრებს. ვფიქრობ, სწორედ ამ ნაწარმოების მეოხებით ირწმუნა დარბაზმა, რომ ავანსცენაზე ჭეშმარიტი ვირტუოზები იყვნენ, რომელთაც ძალუძთ ისედაც ულამაზესი მუსიკის განუმეორებლობის მწვერვალზე აყვანა. რომელი ერთი თვისება გამოვარჩიო მათი ხელწერიდან? — ბგერათწარმოქმნის უმაღლესი კულტურა თუ ტექნიკური სრულქმნილება, აზროვნების დახვეწილობა თუ გემოვნების რაფინირებულობა, უტყუარი ალღო თუ გასაოცარი ანსამბლურობა, ხედვის მასშტაბურობა თუ ინტელექტის შემოქმედებითი ალმაფრენის უშუალობა და კიდევ უამრავი შტრიხი, რომელთა ერთიანობა ბრწყინვალე მუსიკოსთა იმიჯს უქმნის ფრანსუა ლელუს, დიეგო შენას, იანე ტომსენს, იოჰანეს ჰინტერჰოლცერს. სასიხარულოა, რომ ავანსცენაზე მყოფთ საკადრისი პარტნიორობა გაუწია ორკესტრის კამერულმა შემადგენლობამაც, რაშიც, ცხადია, დიდი წვლილი მიუძღვის დირიჟორს. დიახ, ორივე ნაწარმოები შესანიშნავად აჟღერდა.

არანაკლებად შთამბეჭდავი აღმოჩნდა კონცერტის მეორე განყოფილებაც. ორკესტრის პირველ პულტებთან სტუმრები მოთავსდნენ და ერთგვარად „გააძლიერეს" შემადგენლობა, უმთავრესი, დირიჟორის პულტი კი, რასაკვირველია, კვლავაც კორნელია ფონ კერსენბროკს დაეთმო, რათა ეხელმძღვანელა ბრამსის პირველი სიმფონიის შესრულებისთვის. და მართლაც, ძალზე მომხიბლავად აჟღერა ერთ-ერთი უდიდესი თანამემამულის წარმტაცი თხზულება. დირიჟორს კარგად ჰქონდა გააზრებული ბრამსის ხელწერის უმთავრესი „საიდუმლო" — ემოციურობის შერწყმა აზროვნების მკაცრ დისციპლინასთან, — და შესაბამისად. დირიჟორის შინაგანი კონცენტრაცია ცხადად შეიგრძნობოდა ორკესტრის ჟღერაში, რომელიც პოეტურობითა და გამომსახველობით გამოირჩეოდა. სიმფონიის კონტრასტულ სახეობრივ-ემოციურ სფეროთა მკვეთრ დაპირისპირებებს ზედმიწევნით შეესაბამებოდა საორკესტრო ელფერთა სიმდიდრე, რომელშიც ჭარბობდა რომანტიკულად აღგზნებული ტონები. მშვენიერად შეესხა ხორცი ბრამსისეულ ჩანაფიქრთა სერიოზულობასა და სიღრმეს. საქართველოს ევგენი მიქელაძის სახელობის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის მუსიკოსების სანაქებოდ უნდა ითქვას, რომ ამ საღამოს მათ ძალისხმევა არ დაიშურეს და კარგ შედეგსაც მიაღწიეს, რაშიც მათთან ერთად, ცხადია, დირიჟორმა კორნელია ფონ კერსენბროკმა და უცხოელმა სტუმრებმაც დიდი როლი შეასრულეს. ამიტომაც აუდიტორიამ ოვაციები და გულმხურვალე აპლოდისმენტები არ მოაკლო მუსიკოსებს.

დიახ, უცხოელმა შემოქმედმა სტუმრებმა საუცხოოდ განახორციელეს მისია, რომლითაც საქართველოს ეწვიენ — კეთილი საქმითაც და საკუთარი ხელოვნებითაც აღაფრთოვანეს მუსიკალური საზოგადოებრიობა.

სასულე საკრავებზე შემსრულებელი რამდენიმე ახალგაზრდა ქართველი ყმაწვილის კულუარულ საუბარს მოვკარი ყური: „მართლაც საოცრება მოვისმინეთ, ეს რა შესანიშნავი მუსიკოსები ყოფილან, ნეტავ ჩვენც შეგვეძლებინა ასე დაკვრა და მეტი რა გვინდაო".

ღვთის მადლით, იქნებ ასეც მოხდეს და ამ ახალგაზრდათა ოცნების ახდენაც წაადგეს სასიკეთოდ სასულე საკრავებზე ქართული შემსრულებლობის განვითარებას.

ზურაბ ოიკაშვილი.

სურათებზე: დირიჟორი კორნელია ფონ კერსენბროკი; ფრანსუა ლელუ, იანე ტომსონი, გიორგი ქობულაშვილი, დიეგო შენა და იოჰანეს ჰინტერ-ჰოლტერი.

ჯავარ ლომაძის ფოტო.



დაიკარგა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, საკადასტრო რუკა და სხვა საბუთები, რომელიც შეეხებოდა ნინო ჯინაშვილის მიერ რუსთავში, მშენებლის 70-ში მდებარე საწარმოო-სამრეწველო დანიშნულების ნაკვეთისა და შენობის შესყიდვას. ტ: 877-46-62-74 (თამაზ სინჯიაშვილი).

სპორტკლუბი

„მიმინოს" სისხლსავსე ცხოვრება

დასასრულს უახლოვდება საქართველოს „უნივერსიადა-2001", რომლის პროგრამა წინა წლებთან შედარებით საკმაოდ მასშტაბურია. სპორტის 18 სახეობაში ეცილებიან ერთმანეთს პირველობას ქვეყნის 24 სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის საუკეთესო სტუდენტი ათლეტები. პირველ ჯგუფში ფავორიტად ითვლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტული კოლექტივი უმაღლესი სასწავლებლის სპორტკლუბ „მიმინოს" და ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის საერთო ხელმძღვანელობით. უნივერსიტეტელები უნივერსიადის დამთავრებამდე რამდენიმე დღით ადრე ლიდერობენ საერთო გუნდურ ჩათვლაში და ღირსეულად განაგრძობენ წინა თაობების ტრადიციას.

ტრადიცია კი, იცოცხლეთ, მართლაც, სასახელო აქვთ. იგი სათავეს 1918 წლიდან, ანუ უნივერსიტეტის დაარსებისთანავე იღებს. მაშინ შეიქმნა აქ სპორტკლუბი, რომლის დამფუძნებელი გახლდათ ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი და მრავალმხრივი სპორტსმენი გიორგი ნიკოლაძე. ქვეყანაში პირველად შექმნილ სპორტულ საზოგადოებას და კლუბს „შევარდენი" ეწოდა. მისი წევრები სტუდენტებთან ერთად იყვნენ პროფესორ-მასწავლებლები და თბილისის საზოგადოების ყველა ფენის ახალგაზრდა სპორტის მოყვარულნი. სწორედ „შევარდენთან" ჩამოყალიბდა პირველად ტანმოვარჯიშეთა, მძლეოსანთა, ალპინისტთა, ფეხბურთელთა, კალათბურთელთა გუნდები და სექციები, წლების განმავლობაში აქ მოღვაწეობდნენ ცნობილი მწერლები და სპორტსმენები, რომლებსაც სახელი და დიდება მოჰქონდათ სამშობლოსთვის. გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში „შევარდენი" საქართველოს პროფკავშირთა სპორტულ საზოგადოებას დაერქვა, ამიტომ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის და სპორტული საზოგადოების წინადადებით, სპორტკლუბს „მიმინო" დაერქვა, რომელსაც დღემდე უნარიანად უძღვება ცნობილი სპორტსმენი, ქართული წყალბურთის ოდისევსად მონათლული, ეთნოგრაფიის კათედრის დოცენტი ოთარ მიმინოშვილი.

ამჟამად უნივერსიტეტის რეგისტრირებული სპორტული კლუბი ახალი სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე შექმნილი წესდებითა და პროგრამით ღირსეულად განაგრძობს უწინდელ ტრადიციებს. „მიმინოსთან" არსებულ სპორტულ სექციებსა და ჯგუფებში ასობით სტუდენტი იმაღლებს ოსტატობას. ნაყოფიერად მოქმედებს ფეხბურთის, კალათბურთის, წყალბურთის, ალპინიზმის, აღმოსავლური ორთაბრძოლებისა და ავტომოყვარულთა დამოუკიდებელი კლუბები. ათლეტიზმისა და მკლავჭიდის კლუბების ბაზაზე ეროვნული ფედერაციებიც კი შეიქმნა.

„მიმინო" ყოველდღიური სისხლსავსე ცხოვრებით ცოცხლობს. რეგულარულად ეწყობა შიდასაუნივერსიტეტო შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში რექტორატის და პირადად რექტორის — აკადემიკოს როინ მეტრეველის აქტიური მხარდაჭერითა და დახმარებით.

— საქართველოს უნივერსიადაში ღირსეულად საასპარეზოდ და გუნდების დასაკომპლექტებლად შიდასაუნივერსიტეტო უნივერსიადა მოვაწყეთ ფაკულტეტებს შორის სპორტის რამდენიმე სახეობაში, — მითხრა ოთარ მიმინოშვილმა. — აქტიურად გამოეხმაურნენ ამ ღონისძიებას სტუდენტები. ასობით ქალიშვილი და ჭაბუკი გამოვიდა სარბიელზე. განსაკუთრებით ეკონომიკის ფაკულტეტის სპორტსმენებმა გამოიჩინეს თავი. მათ რამდენიმე სახეობაში დაიკავეს პირველი ადგილი. შიდასაუნივერსიტეტო შეჯიბრებებმა საშუალება მოგვცა, უკეთ დაგვეკომპლექტებინა ნაკრები გუნდები, რომლებიც წარმატებით გამოდიან უნივერსიადაზე...

უნივერსიტეტელი სპორტსმენები საერთაშორისო სარბიელზე აღწევენ საგულისხმო წარმატებას. ახლახან ელდარ კურტანიძემ თავისუფალ ჭიდაობაში ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა, ალექსი მოდებაძე კი ვერცხლის მედალს დაეუფლა. სტამბოლის საჭადრაკო ოლიმპიადაზე ნინო ხურციძემ გუნდური მეორე ადგილი დაიკავა, ხოლო თავის დაფაზე პირველობა არავის დაუთმო. ამას წინათ პოლონეთში ევროპის მოჭადრაკე ქალთა მე-2 ჩემპიონატზე მან მსოფლიო პირველობის საგზური მოიპოვა. შარშან ახალგაზრდებს შორის ევროპის ჩემპიონები გახდნენ გიორგი გუგავა და დავით მარგოშვილი, მკლავჭიდელთა მსოფლიო პირველობის კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა ვახტანგ ჯავახაძე. დიდ წარმატებას მიაღწიეს აქაურმა წყალბურთელებმა — საქართველოს ჩემპიონობას და თასს რუსეთის ღია პირველობის ოქროს მედლებიც მიუმატეს.

ყველა იმ წარმატების ჩამოთვლა, რომელსაც უნივერსიტეტელმა სპორტსმენებმა ბოლო წლებში მიაღწიეს, შორს წაგვიყვანს. ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ ისინი ახალ სეზონსაც მომზადებულები შეხვდნენ და, როგორც ეროვნული ნაკრები გუნდების წევრები, წლეულსაც საგულისხმო წარმატებებით გაახარებენ ქართველ გულშემატკივრებს.

ვაჟა დანელია.

სურათზე: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კალათბურთელთა ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი მატჩის მომენტი.

ალექსანდრე
კოტორაშვილის ფოტო.

ცინცხალი ამბები

თურქეთის „გალათასარაის" ყოფილი მწვრთნელი ფატიჰ თერიმი გადადის იტალიის „მილანში". სხვათა შორის, სტამბოლის გუნდის ერთ-ერთი ხელმძღვანელი მეჰმედ კანსუნი შეხვდა თერიმს და ცდილობდა მის გადაბირებას, მაგრამ „გალათასარაის" ყოფილ მწვრთნელს „მილანთან" კონტრაქტი უკვე გაფორმებული ჰქონია.



იტალიის ქალთა საჩოგბურთო ტურნირზე, რომლის საპრიზო ფონდიც 1 200 000 დოლარია, დამთავრდა პირველი დღის შეხვედრები. ზოგიერთი შედეგი ასეთია: ლამანდე (გერმანია) — დრაგომირი (რუმინეთი) — 7:6 (7:3), 7:5; კამერინო (იტალია) — დას-ოლივა (არგენტინა) — 6:2, 6:3; პუსაროვა (სლოვაკეთი) — სიდო (საფრანგეთი) — 6:3, 1:6, 6:3.

მოკლედ

გუშინ საქართველოს სტადიონებზე გაიმართა ფეხბურთელთა ეროვნული თასის გათამაშების საპასუხო ნახევარფინალური მატჩები. გაუწყებთ მათ შედეგებს:

„მერანი" — **„ლოკომოტივი"** 0:1 (0:2),

„ტორპედო" — „ვიტ ჯორჯია" 1:0 (2:1).

ამრიგად, 26 მაისს ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან საპატიო პრიზის ამჟამინდელი მფლობელი და ქვეყნის მოქმედი ჩემპიონი.

* * *

გუშინვე საქართველოს 18 წლამდე ასაკის ჭაბუკ ფეხბურთელთა ნაკრებმა (მთავარი მწვრთნელი **გელა გომელაური**) შინ საპასუხო საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა წააგო ირანელ თანატოლებთან 2:4 (პირველი მატჩი 1:1).

ფაქტები სხვას ლაპარაკებენ

ევროპაში აფასებენ ჩვენს ფეხბურთელებს

საქართველოში კი მათ უნიჭოებს ეძახიან

საქართველოს პრეზიდენტის კონსულტანტს თემურ მირიანაშვილს კარგად იცნობს გულშემატკივარი, როგორც ჩვენი ფეხბურთის ავ-კარგით სისხლხორცეულად დაინტერესებულ პიროვნებასა და დაუცხრომელ პოლემისტს. მისი პირუთვნელი პუბლიკაციები „საქართველოს რესპუბლიკაშიც" ხშირად გამოქვეყნებულა. დღეს გთავაზობთ ჩვენი სტაჟიანი ავტორის მორიგ არგუმენტირებულ მოსაზრებას, ქართულ ფეხბურთში კიდევ ერთი მავნე ტენდენციის დამამკვიდრებელთა წინასწარ განწირულ მცდელობას რომ ეხმიანება. ვიმედოვნებთ, სათქმელი მეორე მხარესაც გაუჩნდება. ჩვენი გაზეთის ფურცლები, ბუნებრივია, მათ სტატიებსაც დაეთმობა.

— ჩვენი ფეხბურთის ერთი მთავარი უბედურება არის ის, რასაც მე ვუწოდებდი მინიმალიზმს, ან, თუ გნებავთ, არასრულფასოვნების კომპლექსს. მახსოვს, რამდენიმე წლის წინათ ფეხბურთის ზოგიერთი სპეციალისტი გაიძახოდა, სანამ ქვეყანა ეკონომიკურად არ აყვავდება, საფეხბურთო წარმატებებზე ლაპარაკიც ზედმეტიაო. პირადად მე დიდი დრო და ენერგია შევალიე მათთან პოლემიკას. ან, რა იყო საკამათო. რამდენ ღატაკ ქვეყანას აქვს მოპოვებული წარმატებები ნაკრებთა დონეზე და პირიქით, რამდენ უმდიდრეს სახელმწიფოს ენატრება მცირედი საფეხბურთო მიღწევაც კი. მადლობა ღმერთს, ამ პოლემიკას წერტილი დაესვა, მაგრამ ამ ბოლო წლებში მინიმალიზმმა და არასრულფასოვნების კომპლექსმა ახალი „თეორიის" სახით იჩინა თავი. სპეციალისტთა ნაწილი დაუღალავად ჩაგვჩიჩინებს, გაწყდა საქართველოში ნიჭიერ ფეხბურთელთა სახსენებელიო. ჯერ კიდევ ორი წლის წინათ ერთ ინტერვიუში ალენი- [illegible] ადამიანები წამოყოფენ ხოლმე თავს და გაიძახიან: „არ უნდა მოვიგოთ ეს თამაში!" „რატომ უნდა მოვიგოთ?!", „სად ჩვენი ფეხბურთელების დონე და სად, მაგალითად, რუმინელებისაო?.." მორიგ უსახურ მეტოქესთან წაგების შემდეგ კი ამავე თეორიით ამართლებენ წაგების სულისჩამდგმელებს. ამიტომ კიდევ ერთხელ მინდა გავიმეორო: ქართველი ფეხბურთელები ნიჭიერებით ტოლს არავის, ან თითქმის არავის უდებენ.

— იქნებ, ნაწილობრივ მაინც დაასაბუთოთ ასეთი თამამი მოსაზრება.

— ნაწილობრივ კი არა, გარწმუნებთ, სრულად დავასაბუთებ. დამეთანხმებით, რომ ამა თუ იმ ქვეყნის ფეხბურთელთა ნიჭიერების ყველაზე ნაღდი კრიტერიუმი არის ის, თუ როგორი მოთხოვნილებაა მათზე წამყვან საფეხბურთო სახელმწიფოებში.

— გასაგებია, რომ თქვენ ლეგიონერებზე მოთხოვნილებას გულისხმობთ, მაგრამ წამყვან ქვეყნებად რომლები მიგაჩნიათ?

— დამეთანხმებით, რომ დღეს ყველაზე ძლიერი ჩემპიონატები 4 ქვეყანაში ტარდება: იტალია, ესპანეთი, გერმანია, ინგლისი. მათ „უმაღლესი ლიგაც" შეგვიძლია ვუწოდოთ, ევროპაში „პირველი ლიგაც" არსებობს: ჰოლანდია, ბელგია, შოტლანდია, საფრანგეთი და რამდენიმე სხვაც. და აი, მივადექით ჩემს მთავარ არგუმენტს: ევროპის ამ „უმაღლეს " და „პირველ" ლიგებად წოდებულ ჩემპიონატებში ქართველი ფეხბურთელების რაოდენობა ტოლია, თუ არ აჭარბებს, ყველა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის ლეგიონერებს, ერთად აღებულს. ქართველთა რიცხვი ამ ქვეყნებში ორ ათეულზე მეტია (სია თან ერთვის).

— მათ შორის რუსები და უკრაინელებიც იგულისხმებიან?

— რა თქმა უნდა, რუსებს სულ ათიოდე ლეგიონერი თუ ჰყავთ, უკრაინელებს კი ამის ნახევარი. ხუთამდეც არ მოითვლება ლეგიონერთა რიცხვი დანარჩენი პოსტსაბჭოური ქვეყნებიდან.

— დავიჯეროთ, რუსები და უკრაინელებიც ასე „აფასებენ" თავიანთ რჩეულ ფეხბურთელებს, დანარჩენებზე რომ აღარაფერი ვთქვათ?

— თქვენი არ ვიცი, მაგრამ მე არც ლობანოვსკისგან, არც რომანცევისგან, არც თვით ძოძუაშვილისგან, როცა იგი ლატვიაში მუშაობდა, მსგავსი არაფერი მსმენია, მაგრამ, სჯობს ფაქტებს დავუბრუნდეთ... ე. წ. უმაღლეს ლიგაში, ანუ იტალიაში, ესპანეთში, გერმანიასა და ინგლისში ათი ქართველი თამაშობს, ერთი გუნდის შესაქმნელად ესენიც კმარა.

— კი, მაგრამ, ციფრებით მანიპულირება რომ არ გამოგვივიდეს, მოდით, მათ მიღწევებზეც ვილაპარაკოთ.

— სიამოვნებით! ამაზე მართლაც სიამოვნებით მოგახსენებთ. თქვენთვის ცნობილია, რომ თანამედროვე მსოფლიოში არსებობს სუპერკლუბის ცნება. ესაა 7-8, მაქსიმუმ 10 კლუბი სწორედ იმ მოწინავე ქვეყნებიდან, იქ ადგილის დამკვიდრება პოსტსაბჭოური სივრციდან სულ 2 ფეხბურთელმა შეძლო: უკრაინელმა შევჩენკომ და ქართველმა კალაძემ. კახი სულ რამდენიმე თამაშით „მილანის" ჭეშმარიტ ლიდერად იქცა. საგულისხმოა კლუბის პრეზიდენტ სილვიო ბერლუსკონისა და ვიცე-პრეზიდენტ ადრიანო გალიანის სიტყვები:

„ეს ბიჭი (**კალაძე — რედ.**) დესაის მიღწევებს გაიმეორებს და ვინძლო ფრანკო ბარეზივით ჩაწეროს თავისი სახელი „მილანის" ისტორიის ფურცლებზე" (**სილვიო ბერლუსკონი**).

„კალაძე თანამედროვეობის ერთ-ერთი დიდი ფეხბურთელია" (**გალიანი**).

იქნებ, გალიანიმ არ იცის ფეხბურთი, ან ბერლუსკონიმ გადაყარა წყალში 15 მილიონი დოლარი?

— არანაკლები სათქმელი სხვა ქვეყნებზეც გვაქვს.

— ქართულ კლუბად წოდებული „ფრაიბურგი" ბოლო ტურის წინ ბუნდესლიგაში ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძვის. იქნებ ესეც პატარა მიღწევაა? იაშვილი აპრილის თვის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს და კობიაშვილთან ერთად არაერთხელ შეიყვანეს ტურის სიმბოლურ ნაკრებში. სულ ახლახან „კობიმ" მრისხანე „ბაიერნთან" მიუნხენის „ოლიმპიაშტადიონზე" გერმანელთათვის უმაღლესი შეფასება „2" დაიმსახურა, გერმანელი ტელეჟურნალისტების აზრით კი, იაშვილი მატჩის საუკეთესო მოთამაშე იყო. „ფრაიბურგის" ცნობილი მწვრთნელი ფოლკერ ფინკე ისეა აღფრთოვანებული ჩვენებურთა თამაშით, რომ მადა ჭამაში მოუვიდა და ქართული ლეგიონის გაზრდას აპირებს.

— ჩვენს მეზობლებზე რას იტყვით?

— ჩემი კლასიფიკაციით, რუსეთის უმაღლესი ლიგა, ევროპული თვალსაზრისით, პირველ ლიგას შეესაბამება და იქ ჩვენი ზაზა ჯანაშია და გიორგი დემეტრაძე (სამშობლოში ათვალწუნებულნი!) წლის საუკეთესო ფორვარდებად დაასახელეს, ისევე როგორც დღეს საერთოდ თვალთახედვის არედან გამქრალი მამუკა წერეთელი (უნიჭიერესი მცველი, რომელიც მრავალჯერ მოხვდა ტურის სიმბოლურ ნაკრებში).

როგორც ხედავთ, ქართველ ფეხბურთელთა დღევანდელი თაობა უნიჭიერესია, მაგრამ ჩვენი ფეხბურთის ზოგიერთი მესვეური, მწვრთნელი და ჟურნალისტი განაგრძობს იმ აზრის დამკვიდრებას, რომ ყველასთან უნდა წავაგოთ. თუ ამგვარი ფსიქოლოგია დამკვიდრდა, გამარჯვებებს მართლა ვერასოდეს ველირსებით, აქ დიდი კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვებს გავიხსენებ: „ალექსანდრე მაკედონელიც ვერ გაამარჯვებინებს ერს, რომელსაც გამარჯვება არ სურს".

ესაუბრა
გია პლატონიშვილი.

ქართველი ლეგიონერები წამყვან და ძლიერ ლიგებში

იტალია. კახი კალაძე („მილანი").
ესპანეთი. გიორგი დემეტრაძე („რეალ სოსიედადი").
გერმანია. ალექსანდრე იაშვილი, ლევან კობიაშვილი, ლევან ცქიტიშვილი, გიორგი კიკნაძე („ფრაიბურგი"); არჩილ არველაძე („კიოლნი").
ინგლისი. გიორგი ქინქლაძე („დერბი ქაუნთი"), რატი ალექსიძე („ჩელსი").
I ლიგა — თემურ ქეცბაია („ვულვერჰემპტონი").
ჰოლანდია. შოთა არველაძე („აიაქსი"), გიორგი გახოკიძე („ეინდჰოვენი").
ბელგია. გელა შეყილაძე („ლიერსი"), ლაშა ჯაკობია („აალსტი").
შოტლანდია. გიორგი ნემსაძე, ზურაბ ხიზანიშვილი („დანდი").
შვეიცარია. გოჩა ჯამარაული, მიხეილ ყაველაშვილი („ციურიხი"), ლევან ხომერიკი („არაუ").
საბერძნეთი. ლევან ქებაძე („ირაკლისი").
რუსეთი. ზაზა ჯანაშია („ლოკომოტივი"), ოთარ ხიზანეიშვილი („სპარტაკი"), გიორგი ფოფხაძე („ალანია").

პოსტსაბჭოთა ქვეყნების ლეგიონერები ამავე ლიგებში

რუსები
ესპანეთი. მოსტოვოი, კარპინი („სელტა"), ონოპკო („რასინგი"), ხოხლოვი („რეალ სოსიედადი").
გერმანია. ბუტი („ფრაიბურგი").
ჰოლანდია. ნიკიფოროვი („ეინდჰოვენი").
პორტუგალია. ალენიჩევი, ოვჩინნიკოვი („ბენფიკა").
საფრანგეთი. სმერტინი („ბორდო").
საბერძნეთი. თეთრაძე (პაოკი).
უკრაინელები
იტალია. შევჩენკო („მილანი").
ინგლისი. რებროვი („ტოტენჰემი"), ლუჟნი („არსენალი").
გერმანია. მაქსიმოვი, სკრიპნიკი („ვერდერი").
რუსეთი. პარფიონოვი („სპარტაკი").

უნივერსიადა — 2001

თანაბარი ქულები

დიღმის ჭიდაობის ოლიმპიური რეზერვების სპორტული სკოლის დარბაზში დასრულდა საქართველოს V უნივერსიადის პროგრამით გათვალისწინებული თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა პირად-გუნდური ტურნირი, რომელშიც 100-ზე მეტი ფალავანი მონაწილეობდა.

წონითი კატეგორიების მიხედვით 2001 წლის უნივერსიადის გამარჯვებულები გახდნენ: 54 კგ. — ამირან ელბაქიძე, 58 კგ. — ბესიკ გუჩაშვილი (ორივე — უნივერსიტეტი), 63 კგ. — გიორგი ლელუაშვილი (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი), 69 კგ. — ოთარ თუშიშვილი (გორის უნივერსიტეტი), 76 კგ. — გელა სალირაშვილი (პოლიციის აკადემია), 85 კგ. — მალხაზ ჯორბენაძე (საქართველოს ფიზიკური აღზრდის და სპორტის აკადემია), 97 კგ. — დავით ოთიაშვილი, 130 კგ. — ალექსანდრე მოდებაძე (ორივე — თსუ).

შეჯიბრების შემდეგ თბილისისა და გორის სახელმწიფო უნივერსიტეტების მოჭიდავეთა გუნდებს მედლებისა და ქულების ერთნაირი რაოდენობა დაუგროვდათ, რის გამოც, ორივე კოლექტივს პირველი ადგილი მიეკუთვნა.

„ქარიშხალას" დარბაზში

„ქარიშხალას" სპორტულ კომპლექსში დასრულდა მინიფეხბურთელთა ასპარეზობა, რომელშიც საქართველოს 18 უმაღლესი სასწავლებლის გუნდები მონაწილეობდნენ. პირველი ადგილი დაიკავა საქართველოს ფიზიკური აღზრდის და სპორტის აკადემიის გუნდმა. კვარცხლბეკის მეორე-მესამე საფეხურებზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და გორის უნივერსიტეტის ფეხბურთელები ავიდნენ.

უნივერსიადა გრძელდება.

შოთა ბოკერია

ყოველი მხრიდან

ირაკლი ლაბაძის გამარჯვებით

შეიძლება იმ დიდ ტურნირებს შორის, რომლებშიც მსოფლიო საჩოგბურთო ელიტის ვარსკვლავები მონაწილეობენ და რომელთა საპრიზო ფონდი მილიონობით დოლარით ითვლება, აშშ ალაბამის შტატის ბირმინგემში კაცთა „ჩელენჯერის" ტურნირში, რომლის საპრიზო ფონდი რაღაც 50 ათასი დოლარი იყო, გამარჯვება ზოგ-ზოგმა, იქნებ, დიდ წარმატებად არ მიიჩნიოს, მაგრამ ჩვენთვის, ჩოგბურთის ჩვეულებრივი გულშემატკივრებისთვის, ჩვენებური ირაკლი ლაბაძის ჯერ ფინალში გასვლა და შემდეგ ამერიკელი ჯ. ბლეიკის დამარცხება, თანაც როგორი ანგარიშით — 6:2, 6:3, უაღრესად სასიხარულოა. ვულოცავთ ირაკლის ამ დიდ წარმატებას და ვუსურვებთ გამარჯვებების გზით სიარულს.

* * *

მართალია, ცოტა მოგვიანებით, მაგრამ მაინც უნდა აღვნიშნოთ, რომ რომში, დიდ საჩოგბურთო ტურნირზე, მისი საპრიზო ფონდი კი 2 მილიონ 950 ათასი დოლარი იყო, ფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ მსოფლიო რეიტინგით მერვე ჩოგბურთელი ესპანელი ხუან კარლოს ფერერო და მსოფლიოს პირველი ჩოგანოსანი, ბრაზილიელი გუსტავო კუერტენი. მატჩი 3 საათსა და 4 წუთს გაგრძელდა და წლევანდელ 3 ტურნირში გამარჯვებულმა ესპანელმა მეოთხეც დაამატა — 3:6, 6:1, 2:6, 6:4, 6:2 და მსოფლიო რეიტინგში მეორე ადგილზე გადაინაცვლა.

ახლა წინ ჰამბურგის ტურნირია და მან, შეიძლება, არსებითი ცვლილებები მოახდინოს საელიტო რეიტინგში.

* * *

ამ დროსვე ბერლინში დამთავრდა ტურნირი, სადაც ქალებს მილიონ ოთხმოცი ათასი დოლარი უნდა გაენაწილებინათ. ფინალში იბრძოდნენ ფრანგი აბელი მორესიმო და ამერიკელი ჯენიფერ კაპრიატი. აქ ფრანგმა იმარჯვა — 6:4, 2:6, 6:3.

მსოფლიოს პირველი ჩოგანოსანი მარტინა ჰინგისი ნახევარფინალში სწორედ მორესიმოსთან დამარცხდა.

ნოკდაუნი არ აკმარა, ნოკაუტშიც გაუშვა

ნიუ-იორკში გამართულ ამ მატჩში უნდა გადაწყვეტილიყო WBA ვერსიით საშუალო წონაში მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მფლობელის ვინაობა. პუერტო-რიკოელი ფელიქს ტრინიდადი-უმცროსი იბრძოდა, რათა ეს საპატიო წოდება ჩამოერთმია ამერიკელი უილიამ ჯოპისათვის. ბრძოლა, მართალია, დაძაბული იყო, მაგრამ მეოთხე რაუნდში ტრინიდადის მოწინააღმდეგე უკვე ნოკდაუნში აღმოჩნდა, ხოლო მეხუთეში მსაჯებმა უკვე ტექნიკური ნოკაუტი აღნიშნეს.

ეს იყო ტრინიდად-უმცროსის მეორმოცე გამარჯვება პროფესიულ რინგზე, სადაც მას ჯერჯერობით დამარცხება არ უგემია.

სურათზე: ტრინიდადის კიდევ ერთი დარტყმა და მოწინააღმდეგე განადგურებულია.

სპორტის რედაქცია.

ალბომი

ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



სხედან – მარცხნიდან მარჯვნივ: დადული დადიანი, ბადრი პატარაია, ნოდარ ანდღულაძე; დგანან – ოთარ მგელაძე და ოთარ ქლენტი. სურათი გადაღებულია 1958 წელს.

მოგვაწოდა 0. ქლენტმა.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

რედაქცია გთხოვთ, მობრძანდეთ დაბეჭდილი სურათების ორიგინალებისათვის. დაკარგვის შემთხვევაში ჩვენ პასუხს აღარ ვაგებთ.

თაობა

წყლისა და არქიტექტურის პოეზია



მომავალ არქიტექტორთა წლევანდელ კლაუზურა-კონკურსი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის მეათე წლისთავს მიეძღვნა. რიგით მეთერთმეტე კონკურსში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის და თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის 100-ზე მეტი სტუდენტი-არქიტექტორი მონაწილეობდა. „ქაღალდის არქიტექტურის" წლევანდელი თემა იყო „წყალი და არქიტექტურა". შარშან სტუდენტები შეეჭიდნენ უმძიმეს თემას – „ძირს კორუფცია!" და, როგორც „საქართველოს რესპუბლიკის" მკითხველებს ახსოვთ, საოცრად ორიგინალურად გაიაზრეს ეს პრობლემა. წყალი და არქიტექტურა სტუდენტური ოცნების, ფანტაზიის, მხატვრულობის, თავისუფლების მეტ შანსს იძლეოდა.

ვინც სტუდენტთა ნამუშევრები 11 მაისს იხილა ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ინსტიტუტის საგამოფენო დარბაზში, ყველა ერთსა და იმავეს ამბობდა: ნახეთ, რა მშვენიერია, რა პოეტური ხედვაა, სიღრმე და მოულოდნელობა... მართლაც, რა ნიჭიერი ახალგაზრდობა გვყავს, აქ წარმოდგენილი ერთმანეთის მჯობნი არქიტექტურული „ოცნებანი" ცალ-ცალკე სამყაროა, წყლის (სიცოცხლის ამ უმთავრესი ფენომენის) სამყარო...

კიდევ კარგი, რომ ქაღალდის არქიტექტურა, როგორც მხოლოდ ოცნების სფერო, პრაქტიკული განხორციელების აუცილებლობას არ საჭიროებს (ასე ყოფილა გასული საუკუნის დასაწყისიდან, როცა არქიტექტურის ამ მიმართულებას ჩაეყარა საფუძველი), თორემ ქართველ სტუდენტთა ხორცშეუსხმელი ნამუშევრები უდიდეს გულისტკივილს გამოიწვევდა.

კომპეტენტურმა ჟიურიმ (შოთა ბოსტანაშვილი, თენგიზ გოგოლაშვილი, ნიკა შაიშვილი, გია აბულაძე, ლევან ბოკერია, ოთარ კალანდარიშვილი, გივი მეტრეველი, ზურაბ ნემსაძე, რატი ჩომახიძე, მამუკა ჩხაიძე) ფარული კენჭისყრით დაასახელა წლევანდელ კონკურსში გამარჯვებული სტუდენტები.

გრან-პრი – თბილისის მერიის მიერ გამოყოფილი თანხა, 150 ლარი დაიმსახურა სამხატვრო აკადემიის მეხუთე კურსის სტუდენტმა **გეგა ასტახიშვილმა**.

ორი პირველი პრემია – ტექნიკური უნივერსიტეტის და სამხატვრო აკადემიის რექტორატების მიერ გამოყოფილი 100-100 ლარი დაიმსახურეს სტუ არქიტექტურის ინსტიტუტის მეოთხეკურსელმა **მამუკა რამიშვილმა** და სამხატვრო აკადემიის მესამეკურსელმა **ელენე ციციშვილმა**.

სამი მეორე პრემიის – სტუდია „არსის", შპს „არქსტუდიის", კომპანია „კიდ არქიტექტურის" მიერ გამოყოფილი 75-75 ლარი დაიმსახურეს სამხატვრო აკადემიის მეხუთე კურსის სტუდენტმა **ნესტან ადვაძემ**, სტუ არქიტექტურის ინსტიტუტის მეოთხე კურსის სტუდენტმა **შოთა ჩხაიძემ** და სამხატვრო აკადემიის მეოთხეკურსელმა **რუსუდან მირზიკაშვილმა**.

სამი მესამე პრემიის – 50-50 ლარის მფლობელები გახდნენ სტუ არქიტექტურის ინსტიტუტის სტუდენტები **ალექსანდრე თაყაიშვილი**, **გიორგი მუხიაშვილი** და სამხატვრო აკადემიის სტუდენტი **ნინო მახარაშვილი**.

წამახალისებელი პრემიები დაიმსახურეს **სოფო მელითაურმა**, **ეკა კანკავამ** (სტუ) და **ნინო გამხოშვილმა** (სამხატვრო აკადემია).

კლაუზურა-კონკურსის ორგანიზატორები იყვნენ ტექნიკური უნივერსიტეტის და სამხატვრო აკადემიის არქიტექტურული გეგმარების კათედრები.

როგორც წინა ათი, ისე ამ შთამბეჭდავი კონკურსის მთავარი სულისჩამდგმელები იყვნენ პროფესორები ვახტანგ დავითაია და გიორგი სალუქვაძე.

რუსუდან ქოზულია,
თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი.

გამოფენა

ბერნაკი – ქართული ხელოვნების მასპინძელი

ოთარ ჩაკვეტაძე



Otar Chakvetadze

საქართველო-გერმანიის საზოგადოების პატრონაჟით „N" გალერეაში საგამოფენო სივრცე XX საუკუნის ცნობილ და თანამედროვე მხატვართა ნამუშევრების ექსპოზიციას დაეთმო.

წლების განმავლობაში ქართველ ხელოვანთა გამოჩენა ევროპაში გარკვეულ სენსაციად აღიქმებოდა, დღეს კი იგი საკუთარი ძალებითა თუ დაინტერესებულ ორგანიზაციათა მხარდაჭერით ჩვეულებრივ, თითქოს ყოფით მოვლენად გადაიქცა. პატივსაცემი და დასაფასებელია ის ხალხი და მათი ხელისშემწყობი საზოგადოებაც, რომელიც ზრუნავს და პოპულარიზაციას უწევს ხელოვანთა საქმიანობას. ყოველი მხატვრის ოცნებაა, რომ მისი ნამუშევრები ნიადაგ იფინებოდეს სხვადასხვა პრესტიჟულ ცენტრებში და ამით მავანის შემოქმედებითი ხელწერა უფრო ფართო და ცხადი გახდეს. სწორედ ამ მისიას ახორციელებს საქართველო-გერმანიის კულტურული გაერთიანება, რომელიც ცდილობს დაეხმაროს ქართველ მხატვრებს, მათი საქმიანობა საზღვრებს გარეთ გაიტანოს და შექმნას იმიჯი სამხატვრო მოღვაწეობაში. ამის ნათელი დადასტურებაა „N" გალერეაში მოწყობილ ექსპოზიციაზე XX საუკუნის გამოჩენილ მხატვართა ნამუშევრების გვერდით იმ თანამედროვე შემოქმედთა წარმოჩენა, რომელთა ნიმუშებიც ივლისის თვეში გერმანიის სამხატვრო ცენტრ ვორპსვედეში, ბერნაკის გალერეაში გამოიფინება.

ბერნაკის საგამოფენო სივრცე მთელ გერმანიასა და ვორპსვედეს 26 გალერეას შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს. XX საუკუნის გერმანელმა მხატვრებმა ფრიც მაკენზენმა, ჰანს ამ ვენდემ, ოტო მოდერზონმა, ფრიც ოვერბეკმა, პაულა ბეკერმა და ჰაინრიხ ფოგელერმა სწორედ აქ დააფუძნეს მხატვართა გაერთიანება და დღეს ნებისმიერი შემოქმედისთვის პრესტიჟულია თანამედროვე ვორპსვედელ ხელოვანთა გვერდით ბერნაკის საგამოფენო სივრცის დაკავება.

„N" გალერეის ექსპოზიციაში მცირე დარბაზი ძველი თაობის გამოჩენილ ქართველ მხატვრებს დაეთმო, რომლებმაც ევროპას საქართველო თავის სიცოცხლეშივე გააცნეს და გასული საუკუნის მანძილზე კლასიკური შედევრები შექმნეს. ამგვარ ქმნილებებს მიეკუთვნება ლადო გუდიაშვილის „მოცეკვავე კინტო", „პარიზის კაფეში", დავით კაკაბაძის „ესკიზი", მოსე თოიძის „მოცეკვავეები", გიგო გაბაშვილის „პორტრეტი", მირზა ზეგენსკის „ასოციაციები", ზურაბ ნიჟარაძის „მაიმუნი", „შადრევანთან", ნათელა იანქოშვილის „მონასტერი მთებში" და სხვები. შედევრებს გვერდს უმშვენებს შესანიშნავ ხელოვანთა ნაკრები, რომლებმაც დიდი ხანია მოწონება დაიმსახურა, ესენი არიან გია ბუღაძე, გია გუგუშვილი, გია ედგვერაძე, ჯემალ ხუციშვილი, მათი ფერწერული ტილოები მნახველთა ყურადღებას იპყრობს.

ყურადღება მიიპყრო იმ მეიდი თანამედროვე მხატვრის ნამუშევრებმაც, რომლებიც ბერნაკის გალერეაში შეაბიჯებენ რეალისტური თუ აბსტრაქციული კომპოზიციებით, კერძოდ, ოთარ ჩაკვეტაძის „სიმღერა თბილისზე" (გრავიურა მუყაოზე), „ვენეციური მოტივი" (აკრილი), „ნატურმორტი ჩაიდნით" (აკვარელი), „დღე და ღამე" (ზეთი), ფერთა სიღრმით და პროპორციებით გამორჩეული შოთა შანიძის „პეიზაჟი", „ნიუ", „ქრიზანტემები", გელა გიორგაძის ტიხრული მინანქარი „ნატურა", „სიზმარი", „ნატვრის ხე", „აბსტრაქტული კომპოზიცია", „პეიზაჟი", ხუტა ირემაძის ფერწერული ტილოები ოქროს კოლაჟით სერიიდან „აღმოსავლეთის ქალები", ნატიფი ხელოვნების ნიმუში ნანა მჭედლიშვილის „კერამიკული ყვავილები", ე. წ. ტამებით, ანუ ლაქებით განსაზღვრული, ჯულიეტა (ჯუდი) ფანჯიკიძის „შეყვარებულები", „ნატურმორტი თევზით", „ღალატი", „აბსტრაქციული კომპოზიცია", საქართველოში ერთადერთი პუანტელისტის კოკა ციხელაშვილის „ევა", და „ცხენი"...

XX საუკუნისა და თანამედროვე მხატვართა ჯგუფური გამოფენა „N" გალერეაში შუა მაისამდე გაგრძელდა.

მზეხა მახარაძე.

მუსიკა

ტრადიციას არ ღალატობენ

ამას წინათ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში კოტე ფოცხვერაშვილის სახელობის მე-7 სამუსიკო სკოლის მოსწავლეთა კონცერტი გაიმართა.

ნორჩმა შემსრულებლებმა ნათია მარლანიამ, გიორგი ფარქოსაძემ, მარიამ ასათიანმა, თამარ მებონიამ, მარიკა ლელუაშვილმა, სალომე ჯამბაზიშვილმა, თემურ ჯაიანმა, ნინო კალმახელიძემ, დავით ალადაშვილმა, ნინო კომახიძემ, ნიკა ბერიძემ, მარიამ მაღრაძემ, ირაკლი ნარმანიამ, მაკა ზარქუამ შრომისა და ცოდნის შედეგი ცხადად გამოამჟღავნეს და დარბაზის დიდი მოწონებაც დაიმსახურეს და ამგვარად საკუთარ ნიჭთან ერთად აღმზრდელთა შრომის ნაყოფიც სამზეოზე გამოიტანეს.

განსაკუთრებული მოწონება ხვდა წილად ამავე სკოლის ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლის „მძლევარის" გამოსვლას, რომელმაც მშვენივრად აჟღერა ქართული ხალხური ჰანგი. ანსამბლის ხელმძღვანელია კახა ონაშვილი.

აღნიშნული კონცერტი წლის მანძილზე გაწეული შემოქმედებითი მუშაობის ერთგვარი საჯარო ანგარიშია, რომელიც კარგად ჩააბარა საზოგადოებრიობას მეშვიდე სამუსიკო სკოლამ. სკოლა დამკვიდრებულ ტრადიციებს არ ღალატობს, პირიქით, არაერთი სიახლის დანერგვაც სურთ მის ახალ მესვეურებს, – დირექტორს თემურ ცომაიას და სასწავლო ნაწილის გამგეს ლეილა მუმლაძეს, ცხადია, მთელ პედაგოგიურ კოლექტივთან ერთად.

ანა ჯანიკაშვილი.

ღიმილის დოზა

ექიმის კაბინეტი. ექიმი ავადმყოფობის ისტორიას ათვალიერებს და იქვე მდგარ ქალს ეუბნება:

– თქვენი ქმარი სრულიად ჯანმრთელია. ამას ადასტურებს ყველა ანალიზი და რენტგენის სურათები.

– გმადლობთ, ექიმო, მაგრამ ბოლომდე დარწმუნებული რომ ვიყო, არ შეიძლება გავკვეთოთ კიდეც?

* * *

– სინდისი გაქვთ?

– გვაქვს, მაგრამ არა ეხმარობთ.

* * *

ქორწინება – განქორწინების საბაბი.

* * *

სამი მონაზონი ერთმანეთს შთაბეჭდილებებს უზიარებს:

– წინამძღვრის ოთახის დალაგებისას პორნოჟურნალების მთელი შეკვრა ვნახე.

– მერე რა ჰქენი?

– სანაგვეზე გადავყარე.

– მე კი წინამძღვრის საძინებელ ოთახს რომ ვალაგებდი, ახალი პრეზერვატივების ორი შეკვრა ვიპოვე.

– მერე რა ჰქენი?

– ყველა ნემსით დავხვრიტე.

მესამე მონაზონი გულწასული გადავარდა.

გახსენება

სიკეთეს დავიწყება არ უწერია

საქართველოს მოსახლეობას, განსაკუთრებით, უფროს თაობას, კარგად ახსოვს საყვარელი ქალბატონი ნინო ქვანია. იგი, გარდა თავისი საპასუხისმგებლო სამსახურისა, ვეტერან ქალთა სექციასაც ხელმძღვანელობდა. მისი უშუალო ხელმძღვანელობით ბევრი სასიკეთო საქმე გაკეთდა; მხოლოდ ერთზე გავამახვილებ მკითხველის ყურადღებას, რომლის უშუალო მოწმე და აქტიური მონაწილე მეც გახლდით.

თემქაზე, № 3 ბავშვთა საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიაზე 1978-79 წლებში მხოლოდ ტრიალი მინდორი იყო. ქალბატონ ნინო ქვანიას წინადადებით გადაწყდა, სწორედ იმ მინდორზე შეგვერჩია ადგილი მოხუცთა პანსიონატისათვის. მისი უშუალო ხელმძღვანელობით შეირჩა ადგილი და, ჩვენი, ვეტერანი ქალების მონაწილეობით, საძირკველიც ჩაუყარა.

ირგვლივ უამრავი ხეები ჩავრგეთ. ამ საქმიანობაში ჩვენს გვერდით იყვნენ ნანული შევარდნაძე, ნელი გურგენიძე, ზინაიდა კვაჭაძე, თამარ ლაშქარაშვილი, ელენე ჩოფიკაშვილი და მაშინდელი ლენინის სახელობის რაიკომის მეორე მდივანი ქეთევან ლაცაბიძე, პანსიონატის საძირკვლის ჩაყრა საზეიმო ვითარებაში მოხდა და მნიშვნელოვანი დღე მტკვრის პირას პურ-მარილითაც აღვნიშნეთ.

პანსიონატი

მოხუცთა პანსიონატი მოკლე დროში აშენდა და 1980 წლის 18 აპრილს გაიხსნა. ამ შენობაში სიცოცხლის ბოლო წლებს მშვიდად და უზრუნველად ატარებენ ჩვენი ღვაწლმოსილი მოხუცები. მათთვის შექმნილია საუკეთესო საცხოვრებელი პირობები, ეს კი პანსიონატის დირექტორის, ქალბატონ მერი დარსაველიძე-გოგოლის დამსახურებაა.

ამ ამბების გახსენება და ამ წერილის მოწერა ერთმა შემთხვევამ გადამაწყვეტინა. როგორც ბევრისათვის არის ცნობილი, პანსიონატის შენობის უკან აშენდა იტალიელთა პოლიკლინიკა, რომელიც უფასოდ ემსახურება საქართველოს გაჭირვებულ მოსახლეობას; მეც მხვდა წილად ბედნიერება მემკურნალა ამ პოლიკლინიკაში. იქ მისულს თვალში მეცა ჩემი დიდი ხნის უნახავი, მოხუცთა პანსიონატის შენობა, გარეგნულად ჩემსავით „დაბერებულა", კედლები საშინლად დახეთქია და დაბზარვია, თითქმის წასაქცევად დაზნექილა, განსაკუთრებით იმ მხარეს, სადაც პოლიკლინიკაში მიმავალ ავადმყოფებს უხდებათ გავლა (გზის შემოკლების მიზნით), რასაც შეიძლება ცუდი შედეგი მოჰყვეს.

გული მეტკინა და გადავწყვიტე შიგნით შესვლა, დათვალიერება. გამოგიტყდებით, რომ ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ვიხილე გარემონტებული, ლამაზად, გემოვნებით გაფორმებული ვესტიბიული, ოთახები, ირგვლივ სანიმუშო სისუფთავე. გავესაუბრე პანსიონატის დირექტორს მერი დარსაველიძე-გოგოლს. მისგან შევიტყვე, რომ შენობა, რომელიც მან ჩაიბარა, მთლიანად დაშლილი და ავარიული იყო, კედლებში სინათლე იმზირებოდა, ყველა ოთახი შესაკეთებელი იყო. მან თურმე შეძლების ფარგლებში მოახერხა შიგნით მაინც მოეწესრიგებინა პანსიონატი. გამოეცვალა საკომუნიკაციო სისტემა, მაგრამ ბევრი მაინც გასაკეთებელია. არ არის გათბობა (წარმოიდგინეთ, რას ნიშნავს მოხუცისათვის გათბობა და რაოდენ საშიშია ელექტროქურების ხმარება). პანსიონატის ხელმძღვანელს კი ამ პრობლემების მოგვარების საშუალება არა აქვს, მთლიანი მომსახურებისათვის დაფინანსება ძალზე მცირეა (კვება, სამეურნეო ხარჯები, სამედიცინო მომსახურება, ხელფასი და სხვა).

ამიტომ, კარგი იქნება, თუ ვინმე გულკეთილობას გამოიჩენს ამ ასაკოვანი ადამიანების მიმართ და სპონსორობას გაუწევს ამ უაღრესად კეთილშობილურ საქმიანობაში. მათი სიკეთე ხალხს შემორჩება, როგორც ქველმოქმედი ზუბალაშვილების, ლაღიძეების და სხვათა სახელები შემორჩა.

ნორა კალანდაძე,
ნაძალადევის რაიონის ომის ვეტერანთა საბჭოს მდივანი,
II ჯგუფის ინვალიდი.

ხსოვნა

შოთა ბადრიძე

ქართულმა საისტორიო მეცნიერებამ მძიმე დანაკლისი განიცადა, გარდაიცვალა საქართველოს ისტორიის თვალსაჩინო მკვლევარი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი **შოთა ბადრიძე**.

შოთა ბადრიძე დაიბადა 1939 წლის 10 თებერვალს ქ თბილისში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1957 წელს ჩაირიცხა თსუ-ის ისტორიის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1962 წელს. ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში შ. ბადრიძემ გამოიჩინა თავი, როგორც უაღრესად ნიჭიერმა და პერსპექტიულმა ახალგაზრდამ, რისი დადასტურებაცაა მისი თანაავტორობით პირველი მონოგრაფიის გამოცემა ექვთიმე თაყაიშვილზე. 1962-1965 წლებში შ. ბადრიძე იყო თსუ საქართველოს ისტორიის კათედრის ასპირანტი, სადაც პროფ. შ. მესხიას ხელმძღვანელობით მოამზადა და 1965 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, 1975 წელს მან დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. 1980 წლიდან იყო თსუ-ის პროფესორი. სიცოცხლის ბოლო პერიოდში ის მუშაობდა თსუ-ის ქართული სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიის ისტორიის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში. შ. ბადრიძის მეცნიერული კვლევის სფერო ძირითადად იყო შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის სოციალურ-პოლიტიკური პრობლემები. შ. ბადრიძე არის 100-ზე მეტი მეცნიერული პუბლიკაციის ავტორი, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია მონოგრაფიები: „საქართველოს ურთიერთობები დასავლეთ ევროპასთან და ბიზანტიასთან", „ილია ჭავჭავაძე, როგორც ისტორიკოსი", „წიწამურის ტრაგედიის საიდუმლოება" და ა. შ. შოთა ბადრიძის ავტორობით, აგრეთვე, გამოვიდა „საქართველოს ისტორიის" დამხმარე სახელმძღვანელო. ის მონაწილეობდა „საქართველოს ისტორიის ნარკვევების" III ტომის შექმნაში. შ. ბადრიძე ცნობილი იყო, როგორც საქართველოს ისტორიის პოპულარიზატორი, ის სისტემატურად აქვეყნებდა სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის ნარკვევებს ცენტრალურ პრესაში, გამოდიოდა რადიოთი და ტელევიზიით; იყო ილია ჭავჭავაძის სიცოცხლის ბოლო პერიოდისა და მკვლელობის გარემოებათა დამდგენი კომისიის წევრი.

შ. ბადრიძე იყო ახალგაზრდა თაობის გულისხმიერი აღმზრდელი, დიდი წვლილი მიუძღვის არაერთი ახალგაზრდა მეცნიერის დაკვალიანებაში. იყო საქართველოს ისტორიის დარგში თსუ-ის სადისერტაციო სამეცნიერო საბჭოს წევრი.

ღვაწლმოსილი მეცნიერ-ისტორიკოსის, უმაღლესი სკოლის თვალსაჩინო მუშაკის შოთა ბადრიძის ხსოვნა მარად დარჩება მისი კოლეგებისა და მეგობრების გულში.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატი; ისტორიის ფაკულტეტის დეკანატი; საქართველოს ისტორიის კათედრა.

ხელოვნება

მესამე პერსონალური

აჭარის წარმომადგენლობაში ახალგაზრდა მხატვრის ქეთი კალანდაძის პერსონალური გამოფენა გაიხსნა.

ქეთი კალანდაძე 1974 წელს დაიბადა თბილისში. დამთავრებული აქვს მოსე თოიძის სახელობის სასწავლებელი და თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მონუმენტური ფერწერის განყოფილება.

2000 წლიდან არის საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი. მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოსა და ისრაელის კერძო კოლექციებში. ეს ნიჭიერი მხატვრის მესამე პერსონალური გამოფენაა.

წარმოდგენილი ნამუშევრებიდან მნახველთა ყურადღებას იქცევს „ავტოპორტრეტი", „ნატვრის ხე", „ბებიას პორტრეტი", „გასეირნება", „სინათლე", „ცეკვა" და „მოძრავი ფიქრები". მისი გრაფიკული ნამუშევრები მონუმენტურობით გამოირჩევა. მათში ნათლად იგრძნობა მხატვრისათვის დამახასიათებელი თვალთახედვა, ფერთა გამა გამოკვეთილია, დახვეწილია გემოვნება, ცეცხლოვან ტემპერამენტთან შეზავებულია სიფაქიზე.

მხატვარი თავის შემოქმედებაში ფართოდ იყენებს შერეულ ტექნიკას, აქ ნახავთ აკვარელით, პასტელით შესრულებულ ტილოებს.

ქეთი კალანდაძე სამი წლიდან ხატავს. ბუნებით მორცხვი(?)

ქეთი კალანდაძე სამი წლიდან ხატავს. ბუნებით მოკრძალებული ხელოვანი ძალზე მადლიერია თავისი პედაგოგების ალექსანდრე სლავინსკის, ნინო ზაალიშვილის და კარლო ფაჩულიასი.

ეს გამოფენაც მათი ძალისხმევის შედეგია.

ახალგაზრდა შემოქმედმა მათი იმედი გაამართლა, ამ გამოფენამ ეს ცხადყო.

ნანა სულავა.

ზენალი სანაიას ფოტოები.







ტელევიზია

ოთხშაბათი, 16 მაისი

08.00 ალიონი 09.30 სერიალი "**ძილის წინ**" 09.50, 23.50 ვიდეოპატრული 10.00, 20.50 სერიალი "**ქამელეონი**" 10.50 კონცერტი "გაზაფხული" 11.10 სერიალი "**საზღვაო პოლიცია**" 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 100 გრადუსი 13.00 ნაშუადღევს 14.05 დიდების ზღაპარი 14.25 ჩვენი მისამართია 15.15 მხ.ფ. "**ზებერი მეზურნეები**" 16.40 ქართვლის დედა 17.05 50-50 18.00 ვესტნიკი 18.25 სერიალი "**საზღვაო პოლიცია**" 19.20 ენერგია 19.40 ბასტი-ბუბუ 21.40 კონცერტი 22.00 მაესტრო 22.20 საქმე 22.40 ტელესერიალი "**ძილის წინ**" 00.00 მე ქალი ვარ 00.35 კომუნიკატორი 01.10 მხ.ფ. "**უკიდურესი ზომები**"

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.05 იყო და არა იყო რა 19.30 ზღაპარქალაქი 19.55 მხ.ფ. "**ალსარების საიდუმლო**" 21.30 ოპერისა და ბალეტის ვარსკვლავები 22.05 ბუდარია 22.30 ჰიტ-პარადი 22.35 მხ.ფ. "**მსურველებს შეუძლიათ ჩაენერონ**"

07.00 მუსიკა. 07.30 ტექს ავერი, ფიფქია 08.00, 12.00, 15.00 კურიერი 08.55 სერიალი "**გვადალუპე**" 09.50 სერიალი "**ათასწლეული**" 10.40 კვაზიმოდოს ჯადოსნური თავგადასავალი 11.10 სერიალი "**იოლი ფული**" 12.15 მულტსერიალი 13.30 მხ. ფილმი 15.20 **ჩემპიონთა ლიგა. "ბაიერნი" - "რეალი"** 18.00, 21.00, 23.00, 01.55 კურიერი 18.35 კვაზიმოდოს ჯადოსნური თავგადასავალი 18.50 სერიალი "**მეზობელი გოგონები**" 19.00 სერიალი "**გურმანთა მეგზური**" 19.50 სერიალი "**იოლი ფული**" 22.00 ტელევიქტორინა "ვის უნდა ოცი ათასი" 00.05 **უეფას თასის ფინალი. "ლივერპული" - "ალავესი"** 02.05 კლასიკა

იბერია **მიმდინარეობს არხის რეორგანიზაცია** 08.00, 20.00 ანონსი, მულტფილმი 08.15, 20.15 ალსავალი 08.20, 10.00, 20.20, 22.15, 00.00 მუსიკა 08.25 მხ.ფ. "**ლეგენდა ბებარ ვენისზე**" 10.05 მხ.ფ. "**ქვიშის კარიერის გენერლები**" 20.25 მხ.ფ. "**იმედის ნაპერწკალი**" 22.20 მხ.ფ. "**მაკენას ოქრო**"

ევრიკა 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 "ვესტი" 10.15 ზღაპრის ტელედარბაზი 10.45 სპორტული პროგრამა 11.45 მუსკოლაჟი 13.00 პროგრამა "სალონი" 13.45, 15.15 მხ.ფ. "**მოწმე**" 18.30 გადაცემა "ლაბირინთი" 19.45 ზღაპრის ტელედარბაზი 20.00 მსოფლიო სპორტი 21.30 თინეიჯერი 22.30 საუბრები მწვანე ბუხართან 00.15 მხ.ფ. "**თამაში**"

10.00 "ბისი". მხ.ფ. "**რომანოვები: გვირგვინოსანი ოჯახი**" 12.20, 21.00, 23.00, 00.50 კლიპ-მიქსი 14.00 კონცერტი 18.00 მულტფილმები 19.00 "Co.მედია" მხ.ფ. "**სიყვარული სცენარის მიხედვით**" მთ. როლში პიტერ დე ლუისი 19.20 საინფორმაციო პროგრამა "რვის ნახევარზე" 19.30 მორწმუნის ძლევამოსილი ხმა 21.15 პროგრამა "F" მხ.ფილმი "**დაე, ყველაფერი ცეცხლმა შთანთქოს**" მთ. როლში ბილი ზეინი 23.15 "ბრავო" მხ.ფ. "**პეპლების ენა**" მთ. როლში მანუელ ლოზანო 01.10 "ღამურა" მხ.ფ. "**ალქაჯი ბლერიდან-2 - ჩრდილთა წიგნი**" 02.40 ნონ-სტოპი

09.00, 15.00, 18.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღის ამბები" 09.15, 18.15 მულტფილმი "ტომი და ჯერი" 09.40 მხ.ფ. "**სინათლე ბნელეთში**" 11.50 ევროპის სტადიონებზე 12.10, 21.00 დოკ. ფილმი "დევიდ გრიფიტი - კინოს მამა" 13.05 მხ. ფილმი "**ბურა**" მთ. როლში ბრიუს უილისი 15.15, 18.40 შემეცნებითი პროგრამა "დისქავერი" 16.20 მხ.ფ. "**მინის ცახცახი**" მთ. როლში ფრედ უორდი 20.00 "ევროპის სტადიონებზე" 20.25, 23.55 ხუთი წუთი ეკონომიკა 21.55 მხ. ფილმი "**შეყვარებული შექსპირი**" მთ. როლში გვინეტ პელტროუ 00.15 მუსიკა 00.40 მხ. ფილმი "**უკანასკნელი სიტყვა**" მთ. როლში ტიმოთ ჰატონი

მაია და გურამ ახალაიები ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან, რომ ბორის წიფურიას გარდაეცვალა დედა – სათნო, კეთილი, ნათესავებისა და ახლობლების მზრუნველობასა და თანადგომაში გამორჩეული ქალბატონი

შურა (ალექსანდრა) ბუღაშვილი-წიფურია

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტი სამძიმარს უცხადებს საჩხერის რაიონში საგადასახადო ინსპექციის უფროსს რამაზ ენუქიძეს

დედის

გარდაცვალების გამო.

ინსულტის დაძლევის საქართველოს ფონდი „ნეიროექსპრესი" თანაგრძნობას უცხადებს ფონდის აღმასრულებელ დირექტორს თემურ დათიაშვილს დედის

ნანი გრიგოლის ასულ უგლავას

გარდაცვალების გამო.

ბელა ლოლაძე და ომარ მარგველაშვილი თანაუგრძნობენ მარინა ერისთავისა და გია ჯაფარიძის ოჯახს – დედის უსათნოესი ქალბატონის

სოფიო ჯაფარიძის

გარდაცვალების გამო.

შვილები მურმან, სოსო, ნაირა, გულნაზ მანიები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვალიკო ერასტის ძე მანია

პანაშვიდი 17, 18 V, დაკრძალვა 19 V, ზუგდიდი, სოფ. ჭითაწყარო, გამოსვენება ონარიის მეურნეობიდან.

საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი „დინამო" თანაუგრძნობს ამავე კლუბის წევრს მალხაზ ხუნწარიას

დედის

გარდაცვალების გამო.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-98"

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, როლანდ ბასილაშვილი, გურამ გოგიაშვილი, ბონდო გულიაშვილი, გიორგი ლალიაშვილი, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქოზულია, ბექა ჭედია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები – „საქართველოს რესპუბლიკის" ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
სპარტაკ ქოზულია.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება – ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა –
PRESS-98@CAUCASUS.NET

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსში, ხომარაულის 29.